

659
1971/2



ტერმინი

1 , 7 1 2

უძრავი

შინაარსი

5. მალაზონია — ლექსები	3
3. ლორია — გვიპი	
მოთხრობა	5
7. ხალვაში — ლექსები	19
7. რობა — გაცილება	
მოთხრობა	24
8. ვარჯანიძე — ლექსები	49
5. შლენი — განთიადის ფინ	
მოთხრობა	51
7. ზოიძე — ლექსები	55
5. მოლეგაძე — გაუტიხილი	
მოთხრობა	58
2. დავითაძე — გალადა მტკვრის დაშრობისა ლექსი	67

წ ე რ ი ლ ე ბ ი

3. ცეციქარია, ა. სურგულაძე,	
შ. ჯაფარიძე — გათუმას კომუ-	
ნისტური ორგანიზაციის ისტორიის	
ზოგიარეთი დაგანვითარების	
შესახებ	69
ალ. ჯაფარი — გამარჯვების	
შემთხვებ	81
აზ. ახვლედიანი — ორთაბათუმი	
ეტიმოლოგიური შენიშვნა	86

ხ ე ლ ო ვ ა ნ ე ბ ა

ა. ხინიაძე — გათუმას თავარი	90
-----------------------------	----

წიგნების მიმოხილვა

საიუზილეო	95
-----------	----

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ტურნელი

საქართველოს საგვოთა
მჯერლების კავშირისა და
აჰარის განყოფილების
ორგანო

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლელიანი, მ. ვარშა ნიძე (პ. მგ.
მდიგარი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდიგარის — 33-72.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.4.1971 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი,
შეკვეთის № 1374, ემ 01125, ქალალის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფერენციის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 22).

უბერებელი თებერვალი

კარს მოგვდგომია იისა და ენძელას ჯარი,
მალე სილურჯე და სიმწვანე უფრო იფერებს,
მარტი მზადაა გაზაფხულის გაფეთქოს კარი
ზეიმით შეხვდეს სუსნიანი ზამთრის სიბერეს.
მზის მოლოდინში ცის სარკეზე იფრქვევა დილა
და ყელწითელა ისევ შიშველ ტოტზე ჭილიკობს.
რა იქნებოდა შფოთიანი თებერვლის დილა,
ოქტომბრის მზე და განთიადი არ ყოფილიყო.
ახლა ზამთარმა ცრემლი ღვაროს რამდენიც უნდა,
დაე, ბუნების კანონთ წესი აღსრულდეს მკაცრი.
უბერებელი თებერვალი მოილხენს მუდამ,
სანამ იცოცხლებს თუნდაც ერთი ქართველი კაცი!

ნამდვილ მიყვარხბრ

თუ დაიბადე საქართველოში,
ქართლის მიწა ხარ
და ჭირსაც იყრი საქართველოსი, —
ნამდვილ მიყვარხარ,
დედის ჭირი ხომ ჩვენი ჭირია!

თუ ეჭიდები მომხდურს მქუხარალ,
მტრების რისხვა ხარ

და გულით მებობ „მუმლი მუხასა“ —
ნამდვილ მიყვარხარ,
დედის მტერი ხომ ჩვენი მტერია!

თუ გიმლერია ჩვენი ლილეო,
ჩვენი შვიდკაცა
და ჩვენს ზეიმშიც მონაწილეობ, —
ნამდვილ მიყვარხარ,
დედის ლხინი ხომ ჩვენი ლხინია!

და თუ არ იშვი საქართველოში,
სხვათა მიწა ხარ,
და ჭირს კი იყრი საქართველოსი —
სამგზის მიყვარხარ.
და რომ მიყვარდე,
გულით მიყვარდე, გასაკვირია?!

პარენტი

გ ზ ე ბ ი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მორებით დატვირთული მანქანა მდინარის პირას შარაგზაზე გაჩერდა და ცოცხალ არსებასავით ამოისუნთქა. მძღოლი ჩამოხტა, მანქანის თვლები ჩათვალიერა, ყუმულატორი და სხვა ნაწილები შეამოწმა და კვლავ საჭეს მიუჭდა.

— ომარ ბიძია, ომარ ბიძია! — მოისმა ამ დროს ხმა და მძღოლმა იქითკენ მიიხედა.

სერიდან ბილიკით ახალგაზრდა ვაჟი მოიჩაროდა.

— ცოტა დამიცადე, ომარ ბიძია, — აქოშინებული მოიჭრა იგი მანქანასთან. — ხულოში უნდა წამიყვანო, — ძველი ჩემოდანი, ხელში რომეჭირა, მიწაზე დაღო და უკან მიიხედა.

— თემურა ხარ! მოახტი, ჭო, — მძღოლმა მოტორი ჩართო და ავტომანქანა აძიგძიგდა.

— ნენეც მახლავს, — კვლავ მიიხედა ბიჭმა.

— მეხფულეც მოგყვება თუ? — საჭეს ხელი უშვა მძღოლმა. — საით გაგიწევიათ ამ თავარა დღეს?

— ნენე ხულომდე მომყვება, მე კი..

— ბათუმში თუ აპირებ გასეირნებას? კარგია ახლა ზღვაში გაგრილება, თან გოგონებსაც... — რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამასობაში მეხულეც მოვიდა.

— კაი ბედად გამოგივლია, ომერავ, ჩვენს გზაზე. — მისალმებამდე უთხრა მძღოლს მეხფულემ. — ჩვენთან მოსელას ხომ აღარ კადრულობ. არ ვარგა მამილის ასე დავიწყება.

— რა ვქნა, მეხფულე მამიდა, ვერ გავწვდი ყველაფერს. ოჯახი,

ბალვები, სამსახური. ახლა ამ მორების გადმოსაზიდად გამომგზუნეს, თუ-
რემ ამ გზით ორი წელია არ გამივლია... მობრძანდი! — კაჭინწყვიტი
გააღო და მეცფულეს თავის გვერდით შესთავაზა ადგილი. — შექვეუცნები
მორჩე ჩამოჯექი — უთხრა ვაჟს.

მორებზე ორი ზემოსოფლელი გლეხი იჯდა. ერთი საკმაოდ მოხუცე-
ბული, მეორე უფრო ახალგაზრდა.

თემური იმ ორ მგზავრს შუა ჩაჯდა და ზურგით მორს მიეყრდნო.

— შენ საღაური ხარ? — თვალებში ჩახედა მოხუცმა მგზავრმა ჭა-
ბუქს.

— აი, იმ სოფლიდან, — მახლობელ მთისაკენ გაიშვირა ხელი ბიჭმა,
— იმ ფერდობზე რომ სოფელი მოჩანს.

— ღურტადან ხარ? ვიცი, ვყოფილვარ ღურტაში. რომლის შვილი
ხარ? — საუბრის გუნებაზე დადგა მოხუცი.

— რეგებ გერაძის. — მოუგო ვაჟმა და სახე დაუნაღვლიანდა.

— რეგებას ბიჭი ხარ, მართლა? — თვალები მოიწმინდა მოხუ-
ცმა და უფრო ბეჭითად შეაჩერდა ახალგაზრდას. — ვიცნობდი, რავა
არ ვიცნობდი. ჩემი შეგირდი იყო. ღურგლობა ჩემგან ისწავლა.

— თქვენ ისმაილ დედე ბრძანდებით? — თვალები გაუბრწყინდა
ბიჭს. — თქვენი სახელი ბევრჯერ უხსენებია მამაჩემს. ძალიან გაქებდათ.
პატიოსანი და კეთილშობილი კაციაო. რიყეთიდან ბრძანდებით, ვიცი,
ყველაფერი ნათქვამი აქვს თქვენს შესახებ... ეჰ. — ნაღვლიანად ამოიოხ-
რა ბიჭმა.

— ჴო, მიამბნია ჩემი თავგადასავალი... შენ კი... ტირილი და გლოვა
არ მართებს სახელოვნად დაცუმული ვაჟკაცის შვილს.

მანქანა უეცრად პატარა ლოდს მოედონ და დაფერდდა. მგზავრებმა
მორებს ჩასკიდეს ხელები, რომ არ გადმოცვენილიყვნენ.

— გზა არ გვივარგა. — ჩაილაპარაკა აქამდე ჩუმად მყოფმა მესამე
მგზავრმა.

— ასეთი რომ გვაქვს, ესეც ბედნიერებაა. — თქვა თემურმა. — ომი
რომ არა, აქამდე ყველაფრით კმაყოფილი ვიქნებოდით.

— ეჰ, მაშინ მამაშენიც ცოცხალი იქნებოდა, ჩემი ბიჭებიც დაცოლ-
შვილებული მეყოლებოდნენ. დღეს კი... მათი საფლავის ნახვის მონა-
ტრული ვარ.

მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა და გაჩუმდა.

ისმაილ დევაძე ოთხმოცდახუთი წლისაა. ვისთვის მეტად დიდია ეს
ასაკი. ბევრს ოთხმოცი წლისთავიც არ უზეიმია, ზოგმა სამოცამდეც ვერ
მიაღწია, ზოგს უფრო ადრე გამოელია საგზალი. ისმაილმა კი გამძლეო-
ბის რეკორდი დაამყარაო, ამბობენ სოფელში.

მოხუცს ბევრი რამ უნახავს, რამდენი რამ ახსოვს... როგორ ჩაება

რევოლუციურ მოძრაობაში, საიდან მოხვდა მანთაშევის ქარხანაში, როგორ დადიოდა არალეგალურ კრებებზე, როგორ დაპატიმრეს, რა მდგრადი მარეობაში იყო მაშინ მუშათა კლასი..

შემდეგ რევოლუცია. თებერვალი. ოქტომბერი. და ღღეს.. ამისამართება — ამ ომს რომ არ დავეზარალებით... ვა შვილები!..

მანქანა შედარებით უკეთეს გზაზე გავიდა და ახლა უფრო ჩქარა გასრიალდა.

რაიონულ ცენტრში ხალხი ბლომად შეგროვილიყო. მეტ ნაწილს ახალგაზრდობა შეადგენდა, ჩემოლნებითა და ჩანთებით ხელში. ესენი ამ რაიონის მცხოვრებლები იყვნენ, საშუალო სასწავლებელ დამთავრებულები, უმაღლესში შესასვლელად მიემგზავრებოდნენ. მისაღები გამოცდები იწყებოდა ყველგან.

მანქანა რომ გაჩერდა და თემური გადმოვიდა, მის ირგვლივ მაშინვე თანატოლების წრე შეიკრა. ყველას გაეხარდა ამ ჭაბუკის გამოჩენა.

— ვა თუ ვერ წამოვიდეს-მეთქი. — მორცხვად უთხრა ერთმა ცქრიალა გოგონამ ვაჟს და ხელი გაუწოდა.

— განცხადება და საბუთები გაგზავნილი მაქვს. — და ვაუმა თვალი მოარიდა გოგონას.

— ეს ვიცი, მაგრამ... ცხოვრებაში რამდენი რამეა მოსალოდნელი. ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა, სამგზავრო და სახარჯო, ყველაფერი სათქმელია.

— ჯანმრთელობა არ მაკლია, ოჯახური მდგომარეობა... საგზაო და სახარჯო ნენებ მომიქუჩა ყველაფერი. — დედისაკენ მიიხედა ვაუქა. — აქამდეც მომაცილა... ნენე, მოდი, ამხანაგი გაგაცნო. — და მეხფულეს ქალიშვილი წარუდგინა. — ჩემი თანაკლასელია.

— თაილე. — ხელი გაუწოდა ქალიშვილმა.

მეხფულემ ხელის ჩამორთმევამდე კარგად შეათვალიერა ქალიშვილი, თვალებით ასწონ-დასწონა, შემდეგ კმაყოფილმა გაიღიმა, ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

— არავინ გახლავს შვილ?

გოგონამ მიიხედ-მოიხედა.

— ესენი სულ ჩემი მხლებლებია. — თვალი მოავლო იქ მყოფო.

— არა, შენიანებზე ვამბობ, — არ მოეშვა მეხფულე.

გოგონამ პასუხის ნაცვლად თემურს შეხედა.

— თაილე ობოლია, ნენევ, მშობლები არა ჰყავს.

— ობოლია? მაშ ვინ გზრდიდა და გპატრონობდა, შეილო?

— ბიძისას გაიზარდა. — აქაც თემურმა გასცა დედის კითხვებს პასუხი. ამდენი ლაპარაკი აღარ აღროვეს ახალგაზრდებმა, ყველას თავისი

კითხვა და ამბავი გაუჩნდა. ვინ თაილეს გაესაუბრა, ვინ თემურის შეგო-
მარებით დაინტერესდა. გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც შეიფრენებ
გაცნობაც ისურვეს. აქმდე მას თითქმის არავინ იცნობდა თემურის უა-
ნაგებიდან. გავონილი კი ჰქონდათ, რომ თემურის დედა სოჭილელი. უკ-
რალო ქალია, სიღარიბეში გამოზრდილი. სიმწრით სოფლის სკოლა დაუ-
მოვრებია, წერა-კითხვა იცის, ქმარიც ისეთივე შეხვდა, რომ იტყვიან,
ფერი ფერსაო. ომი რომ გამოცხადებულა, ორი შვილი პყოლია — ათი
წლის თემური და ექვსი წლის თამარი. ქმარი იმედიანად გაუსტუმრებია
ომში. ოჯახშე და ჩვენზე არ იდარდოთ, ყველაფერს კარგად დაგხვე-
ღრებო. რეგებმაც ასეთივე იმედიანი სიტყვები დაუტოვა: მალე გამარჯ-
ვებული დავბრუნდები და კარგად დამხვდითო.

არ გაუმართლდათ: რეგებმა და მისმა თანამებრძოლებმა გამარჯვება
მოიპოვეს, მტერი გაანადგურეს, სამშობლო გადაარჩინეს, მაგრამ....

უბედურებას უბედურება დაემატა — იმ სუსტიან დღეებში გაუცივ-
და პატარა თამარი და....

მესამე კლასში იყო მაშინ თემური. მამის დაკარგვა ისე არ დაუტირია
როგორც უმცროსი დისა. კიდევ მეხფულემ გამოიჩინა სიმხნევი და
ვაკაცობა, თორემ თემური შეეწირებოდა დარწა და გლოვას. ორი
თვე სკოლაში არ დადიოდა. მუდამ დაღვრებილი იყო.

ჰოდა, ამ დროს მოიკრიფა მთელი ძალ-ღონე მეხფულემ. დღენიადაგ
ამხევებდა შვილს.

— შენ გინდა დედაც არ გუავდეს? მამისეული ოჯახი განადგურდეს?
მითხარი, რას აპირებ?! — და ამგვარ ხშირ შეტევას ვერ გაუძლო თემუ-
რმა, დედის სურვილს მიყვა. დაუბრუნდა სკოლას, ამხანაგებს, წიგნებს.
და ბავშვის გულმა მალე შეიცალა განწყობილება.

— მაგრამ იციდე, თუ ვისწავლი, ექიმობა უნდა ეისწავლო, ავადმყო-
ფი ბავშვების მორჩენა-განკურნება. — გამოუტყდა ერთხელ ის დედას.

— ექიმობა?! — გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა მეხფულეს.
— მასწავლებლობა არ ჯობია?

— არა, არ ჯობია. მასწავლებელი წერა-კითხვას ასწავლის, მაგრამ
ბაღეს სიკვდილისაგან ვერ იხსნის. მე კი... განა ჩვენს თამარს სიკვდილს
დავანებდი? — და თვალზე ცრემლი მოადგა.

მაშინ ამ სურვილის წინააღმდეგ დედას არაფერი უთქვამს, მაგრამ
შემდეგ, როცა დამამთავრებელი წელი დადგა და ახალგაზრდების წინაშე
მომავალი პროფესიის არჩევის საკითხი დაისვა, მეხფულემ აზრი შეი-
ცვალა.

— თბილისში რაფრა გაგიშვა ჭო? — უთხრა მან შვილს. — იმდენი
ხარჯის გაღებას ვინ შეძლებს!

თემური ჯორზე შეგდა: ან თბილისში წავალ და ექიმობას და ან სოფელში დავრჩებიო.

შეცფულეს ურჩევნია სოფელში დარჩეს, დაოჯახდეს, შვილების ურჩევნია რდოს, მამისეულ სახლკარს მიხედოს, მაგრამ ყველა რომ ქალაქში მიღის და ცოდნას იძენს! ყველას რომ ქალაქში სურს გახდეს! არა, თემურმა უმაღლესიც უნდა დაამთაყროს, მაგრამ განა ბათუმში ცოტა სასწავლებელია? პატარა ექიმობას აქაც კი ასწავლიან თურმე. ესეც არ იყოს, მასწავლებლობა ურიგო პროფესია არაა.

— საექიმოზე ძნელი მოსაწყობიაო, ამბობენ. — გაუმხილა ერთხელ შვილს. — ფულებია საჭიროო.

თემური მაინც არ იშლის თავისიას. დედისაგან დახმარებას აო მოითხოვს, სახარჯოდ სტიპენდიას იქმარებს, ბინად საერთო საცხოვრებელში მოთავსდება, ტან-ფეხზედაც გაიჩენს რამეს, არდადეგებზე ჩამოვა და ოჯახს მიხედავს.

— ნეტა კი ჩავაბარებდე და... — გული აუძგერდა ჭაბუკს.

ეს იყო შარშან. დღეს კი იგი გამოცდების ჩასაბარებლად მიემგზავრება. მიემგზავრება ქალაქში, სადაც არც ერთი ნაცნობი არ ეგულება. გარდა ტარიელ ბზიაძისა აქედანაც არავინ მიღის. ტარიელის მდგომარეობა კი სულ სხვაა, შეძლებული მამა ჰყავს. ორი წელი გააცინა, წაუზარმაცა, თორემ ახლა მესამე კურსის სტუდენტი იქნებოდა. ნოდარს შვილის მოწყობა არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ გაუჭირდებოდა, იმ ორ წელიწადისაც არ დააკარგვინებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიუდგა მათემატიკის მასწავლებელს. რამდენი ეხვეწა, რამდენი რამ შეპირდა, ნუ დამიტვებ ბავშვს, ნუ დამიჩარევო... საკმაოდ გავლენიანი პირებიც ჩარია საქმეში, მაგრამ ამაოდ...

უეცრად საიდანლაც ერთი ახოვანი ჭაბუკი მოიჭრა, მეხფულეს გვერდით გაჩერებულ თაილეს მოურიღებლად ჩავლო ხელი მკლავში და თითქმის ძალად გაიყოლია.

მეხფულე განციფრებული დარჩა.

— არ იშლის ტარიელობას! — ჩაილაპარაკა დაბალმა ბიჭმა, რომელიც თემურის გვერდით იდგა.

— სახელს ხომ არ შეირცხვენს! — დაუმატა მეორემ.

თემურს ხმა არ ამოულია, თუმცა სახეზე ალმური მოდებოდა და თვალებში ცეცხლი ენთო.

— ვისი ბიჭია? — სხვების შეუმჩნევლად წასჩურჩულა მეხფულემ შვილს და იმ ვაჟისაკენ გაიხედა. ტარიელი ძალად მიათრევდა ქალიშვილს გზისპირას გაჩერებულ მანქანისაკენ.

— არ მინდა, არა, არ წამოვალ! — უკან იხევდა გოგონა და პატარა ჩანთას, ხელში რომ ეჭირა, აქეთ-იქით აქნევდა.

— წამოდი და! — ძალადობდა ბიჭი. — ჩვენი მანქანაა, ბრძანებული თავს, მზის ჩასვლამდე ბათუმში ვიქნებით.

— არ მინდა, არ მოვდივარ, ხელი გამიშვი! — ძალად გამოსტრიცვებულ გოგონაშ, იხელთა დრო და სირბილით იქ მივიდა, საღაც თემური და მისი ამხანაგები იდგნენ. იგი მეხფულეს გვერდით გაჩერდა.

ჭაბუქს არ მოეწონა ქალიშვილის საქციელი, სწრაფად მოირბინა, კვლავ მოიწადინა ხელის წავლება და ძალად წაყვანა, მაგრამ გოგონა დაუსხლტა და თემურს ამოეფარა, ტარიელი იქ მისვლასაც არ დაერიდა, ცალი ხელით თემური განზე მისწია და თაილესაკენ წაიწია.

— გზას ვერ იპოვნი?! — შეუბლვირა თემურმა და უფრო აენთო...

თავი მეორე

თბილისში ტარიელი და თემური ერთი მატარებლით ჩავიდნენ. ტარიელი მამასთან ერთად რბილი ვაგონიდან ჩამოვიდა, თემური კი საერთო ვაგონიდან.

ნოდარ ბზიაძე თავის ვაჟიშვილს გაუძლვა, სადგურის წინ ჩამომდგარ ტაქსში ჩასვა და გააქროლა.

ტარიელს რა დაავიწყებს გუშინდელ დღეს. ახლაც ეწვის ლოკა, თემურმა რომ აუწითლა...

თემურისთვის უცნობი იყო ეს ვეებერთელა ქალაქი. ერთი პირი შეკრთა, შეშინდა, არ იცოდა საით წასულიყო, რომელ ტრამვაის ან ავტობუსს გაყოლოდა, სად ჩამოსულიყო. ტრამვას გაჩერებასთან მივიდა, ჩემოდანი მიწაზე დაღლ და წუთით ფიქრებს მიეცა.

ნეტავი ტარიელსაც სამედიცინო ინსტიტუტი არ აერჩია, აქ ხომ ხშირად შეხვდებიან ერთმანეთს! პოლა, ხომ შეიძლება გაუხსენოს, უმტროს.

— ეჭ, — ამოიხრა თემურმა, — ისე ვამბობ თითქოს გამოცდები ჩაბარებული მქონდეს და მოწყობილი ვიყო.

— შვილო, ვერ მეტყვი სადოხტორო ინსტიტუტისაკენ რომელი ტრამვაი მიდის? — შეეკითხა ამ დროს ერთი შავთავსაფრიანი ქალი, რომელსაც ჩია ტანის გოგონა ახლდა.

— სამედიცინო ინსტიტუტისაკენ, — გაუსწორა ქალს გოგონაშ.

— სამედიცინო ინსტიტუტისაკენ? — იმეორებს თემური. — სამედიცინო ინსტიტუტისაკენ... აგერ ახლავე ვიკითხავ. — გაბედულება მოემატა ჭაბუქს. მივიდა და იქვე გაჩერებულ მოქალაქეს შეეკითხა.

— აი, იქ დგას. — ხელით ანიშნა უცნობმა. — უნივერსიტეტთან მისვლამდე, გაჩერებაზე ჩამოხტები და იქვეა.

— გმადლობთ. — თემურმა უცნობ თანამგზავრებს ხელით ანიშნა მო-
შეევითო და გაჩერებულ ტრამვაის შეახტა. შევთავსაფრიანი ქალი და
გოგონაც მიყვნენ მას და ერთმანეთის მახლობლად ჩამოსხდნენ კუკურულები
— შენ სადაური ხარ შვილო? — კარგად შეათვალიერა შემდგრადება
მური.

— შორილან, აჭარის მაღალმთიანი რაიონიდან. — მიუგო ვაუმა. —
გაგიგონიათ აჭარა?

— უიმე, რას ამბობ, შვილო, გამიგონია რომელია. ჩემი ვაჟი აჭარა-
შია მასწავლებლად... რა ქვია შვილო იმ სოფელს? — გოგონას მიუბრუნ-
და ქალი.

— ხიხაძირი.

— ხიხაძირი? ჩვენი რაიონის სოფელია. მეც იმ რაიონიდან ვარ. რამ-
დენჯერ ვყოფილვარ ხიხაძირში! — სიხარულს ვერ ფარავდა ბიჭი. თითქოს
თავისიანი ვინმე ენახოს, ისე გაუბრწყინდა სახე.

— აქ რაზე ჩამოდი, შვილო. ნათესავი გყავს ვინმე?

— არა, არავინ არ მყავს. ინსტიტუტში ვარ მისასვლელი, გამოცდები
უნდა ჩავაბარო.

— ინსტიტუტში? რომელში, შვილო?

— სამედიცინოზე.

— მართლა? — გაეხარდა ქალს. — ა გოგო, შენი ამხანაგი ყოფილა-
გაიცანი, შვილო, ჩემი ქალიშვილია.

— თამარი. — პატია ხელი გაუწოდა გოგონამ.

— თამარი? — გაიმეორა ვაუმა. გოგონას თვალებში ჩახედა და რა-
ტომლაც რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილი და მოაგონდა. —
ინსტიტუტში აპირებთ?

— თუ ჩავაბარე... — ნაღვლიანად თქვა გოგონამ.

თემურმა გაიღიმა.

— მე კი მეგონა, თქვენ მეექვსე კლასის მოსწავლე იყავით.

— პატარა ტანისაა, შვილო, თორემ თვრამეტი შემოდგომაზე შეუს-
რულდება... აბა იყითხეთ ერთი, სად უნდა ჩამოვიდეთ.

თემურს ახლა ამის თქმაც არ უნდოდა, ისე გათამამდა და გაბედუ-
ლი გახდა ამ რამდენიმე წუთში, რომ ვერავინ ვერ შეამჩნევდა ამ ქალაქ-
ში ახალი ჩამოსული იყო.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

გამოცდები რამდენიმე ღლეში დამთავრდა. შედეგები ყველასათვის
ცნობილი იყო. მაგრამ ინსტიტუტის კარებს მაინც არ სცილდებოდნენ.
სიის გამოკვრას ელოდებოდნენ. თემურიც აქ იყო, ერთი სული პქონდა,



სიაში ამოეკითხა თავისი გვარი. ამ დღეში იყო პირველ დღეს გაცნობილი თამარ ზერეკიძეც, რომელიც ისე დაუმეგობრდა ამ აჭარელ ბეჭედისა—შეილი მთელი დღე მასთან დალიოდნენ. თამარსა და თემურს გამოც-დებზეც ერთ ჯგუფში მოუწიათ შესვლა. ყველა გააკვირდა ამ პატარა ტა-ნის ცერიალა გოგონას მომზადებამ. თემურს ცოტათი გაუჭირდა. ერთ-ორჯერ კარგად ვერ გაიგო დასმული კითხვა და ჩაიმუხლა. მაგრამ მალე გაიმართა წელში. პროფესორმა, რომელიც მას ცდიდა, კეთილად შეხედა, იქამდეც მივიდა, რომ ხელები მიჩვენეო უთხრა.

თემურს შერცხვა, მაგრამ უარი ვერ ჰყადრა. ხელები ჯერ აქეთ-იქით იღლაში ამოისვა, თითქოს ჭუჭყი მოიშორაო, და შემდეგ გაუშვირდა.

— ეს კოურები რატომ გაქვს ხელისგულზე? — შეეკითხა პროფესორი.

— კოურები? კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, საკარმილამოსაც ვთო-ხნიდი და ვბარავდი. საზამთროდ შეშაც დავიზადე მთაში და ჩამოვზიდე. ჩენში აღრე იცის დაზამთრება.

პროფესორს გაეღიმა.

რა ბედი ეწია ტარიელ ბზიაძეს? თემურმა ამ ბიჭს მხოლოდ ერთ-ხელ მოჰკრა თვალი, მამასთან ერთად რომ მიადგა ინსტიტუტის კარებს.

თემური ჯერ ბავშვია, გამოუცდელი, ცხოვრებას კარგად არ იცნობს, შაგრამ ზოგი რამ მაინც იცის. გაიგო, რომ კეთილი, მიუღომელი პროფესორებისა და გამომცდელების სახელით გაიძვერები ფულებს სტუურებენ გულუბრყვილო ადამიანებს, ჯიბეს ისქელებენ, პატიოსან ხალხს სახელს უტეხნენ.

თემურს არ უგრძენია უყურადღებობა. ცოდნა და შრომა დაუფასეს.

ახლა მხოლოდ სიაში იხილოს თავისი გვარი და... ეჭ, როგორი სიხა-რულით გაეშურება შინისაკენ.

ნეტავი თაილემ როგორ ჩააბარა? თუ მოეწყო? თაილეს ბედი საკუ-თარ ბედზე უფრო ოწუხებს. ერთხანს ახალგაცნობილი თამარის ბედიც აწუხებდა, მაგრამ, როცა გოგონამ გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა, ეს დარღი მოეხსნა.

რამდენი რამე გაიგო თემურმა ამ დღეებში, რამდენი ამხანაგი გაი-ჩინა, რამდენს დაუმეგობრდა, რამდენი ძმურად შეიყვარა და ასევე შეა-კვარა თავი.

თემური ყველაზე ბოლოს მივიდა სიასთან. ალფაბეტის მიხედვით ჩაიკითხა. სანამ თავის გვარს იპოვნიდა, ტარიელ ბზიაძის გვარს წააწყდა და ძალიან გაუკვირდა. როდის გავიდა ეს ბიჭი გამოცდებზე, ვის ჩააბა-რა. რა ნიშნები მიიღო. ნუთუ ისე ჩააწყო მამამისმა ყველაფერი...

არ ესიამოვნა, მაგრამ...

აი მისი გვარიც. თამარ ზერეკიძეც იქვე ქვემოთ ეწერა და მან მა-
ლიან გაახარა. მიღებულთა სიაში იღმოჩნდა ახალგაცნობილი უკრაინული
ვაჟიც, სხვებიც... პირველ შაკითხულს იგი არ ენდო, მეორედ, უკრაინულიც
წაიკითხა.

— მომილოცავს, მომილოცავს! — მიახარა ამ დროს მოსულ თამარ
ზერეკიძის დედას. შემდეგ თამარს მიუბრუნდა, ხელი ჩამოართვა და
მკვიფრ დასავით მოეხვია. თავისი უნებლივ საქციელი თვითონ მასაც
გაუკვირდა, მაგრამ ახლა შეცდომის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

თამარს ლოყები შეუფაყლდა, კატოს კი გაეღიმა და ქალიშვილს
თავზე ხელი გადაუსვა.

ტარიელ ბზიაძის საკითხი პირველ სემესტრშივე გადაწყდა. საგნები
ვერ ჩააბარა და ინსტიტუტიდან გარიცხეს. მაინცდამაინც არ იმჩნევდა,
თუმცა, დეპეშა აფრინა მამასთან, დაუყოვნებლივ ჩამოდიო.

ნოდარ ბზიაძემ არ დააყოვნა, მეორე დღესვე თბილისში გაჩნდა და
წამხდარ საქმეს დაუტრიალდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

გაშტოლებული მამა-შვილი დაბრუნდნენ რაიონში და ხმა დაარჩიეს,
ტარიელს ავადმყოფობის გამო ერთი წლის აკადემიური შეებულება მის-
ცესო.

ტარიელს ახლა ინსტიტუტის დატოვება ისე არ აწუხებდა, როგორც
მისი შეტოქის თემურ გერაძის გამარჯვება. მაშინ იყო და ისეთი შეურაცხ-
ყოფა შიაყენა, სილა გააწნა, ახლა ინსტიტუტში ჩაირიცხა, კარგადაც
სწავლობს, სტიპენდიაც დაუნიშნეს, მოწინავე სტუდენტად ითვლება და...

სამაგიეროს გადახდა ხომ უნდა, რამეთი ხომ უნდა აწყენინოს, ხომ
უნდა ანანოს მაშინდელი საქციელი?

და მოიფიქრა:

თემურს თაილე უყვარს, თაილეც უთანაგრძნობს მას. ერთი თბილის-
ში სწავლობს, მეორე ბათუმში. ორივეს თავი ქუდში აქვს. დაამთავრებენ
სწავლას და... დიახ, ასე იქნება, მაგრამ...

არა, ტარიელი არ მისცემს მათ ბედნიერი შეულლების საშუალებას.
ამოვა თუ არა თაილე არდალეგებზე, აიყოლიებს ერთ რომელიმე თავზე
ხელაღებულ ახალგაზრდას, მასთან ერთად დაუხვდება გოგონას და... შემ-
დეგ თქვეს უარი ტარიელის ცოლობაზე.

იმ დღიდან ამ გეგმის განხორციელებაზე ფიქრობდა და ხელშემწყობს
ეძებდა. ერთს, ციხიდან ახალ გამოსულ ახალგაზრდას გაანდო თავისი გუ-
მანი.

— ჯემალ, შენთან რა დასამალია... ამ არღადეგებზე თაილანდური კულტურული მართვა, უნდა მოვიტაცო.

— ბოიტაცო, რა ბოხრიყია?! ქალს რა მოტაცება უნდა, უთხარი გამოყევი-თქო და...

— თუ უარს მეუბნება?

— იმფერი ცოლი რად გინდა ჭო, თუ არ უნდიხარ და უარს გეუბნება!

— როცა მოვიტაცებ, მერე რაღა ჩარა ექნება, ყაბულს გამიხდება.

— ძალით წამოყვანილი ქალი რაში გამოგადგება, არ ეყვარები, ოჯახს გულს არ დაუდებს, ერთი სიტყვით, კერას არ გაგითბობს.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მე მოვუვლო...

— არა, არა, მე მაგ საქმეში ვერ გამოგადგები.

— გეშინია? — დაცინვით, ზიზლით უთხრა ტარიელმა და ნიკაპზე ხელი ამოჰკრა.

— კი არ მეშინია, — გაბრაზებით ხელი აუკრა ახალგაზრდამ, — მრცხვენია, რას იტყვის სოფელი, ციხიდან ახლა გამოვიდა და ჭიუა კიდევ ვერ უსწავლიაო.

— ბიჭო, ტყუილად ხომ არ მინდა, — უცბად მოუჭრა ტარიელმა და ჯიბიდან წითელი თუმნიანების შეკვრა ამოილო და ცხვირწინ აუთამაშა.

— ტარიელავ, ჭიუით იყავი, თორებ შენც მიგუეუავ და ერთხელ კი-დევ შევალ ციხეში. ჩამოეხსენი იმ ბაღვს, გესმის, ჩამოეხსენი, ობლობაში გაზრდილ გომბიოს სიცოცხლეს ნუ გაუმწარებ.

— მე ჩემი უნდა გავაკეთო, — ხმადაბლა, მაგრამ ღვარძლიანად თქვა ტარიელმა და მაგარი ნაფაზი დაარტყა.

— მაშინ დღეიდან ჩემთან გექნება საქმე. — მტკიცედ უთხრა ჯემალ-მა და უმალ გაშორდა.

ტარიელი ერთხანს გაოგნებული იდგა. როგორ იფიქრებდა, რომ ამ ჩეუბისთავს ვერ აიყოლიებდა, ფულზეც კი უარს ეტყოდა. ერთხანს უყურა აღმართზე მიმავალ ჯემალს, მერე ბრაზით შორს გადაისროლა პაპიროსის ნამწვი და თავქვე ხევში დაეშვა.

თ ა ვ ი მ ე რ თ ხ ე

აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ოცნებაში გართული თემური ნელა მიაბიჯებდა ახალმოკირწყლულ გზაზე და მომავალზე ფიქრობდა.

გაუმართლა ღურტელ ბიჭს ბედმა. აგერ მეოთხე წელიწადია ინსტი-ტუტში სწავლობს და მოწინავე სტუდენტად ითვლება. კიდევ ორიოდე

წელი და პედიატრი იქნება. უმკურნალებს პატარებს, დარაჯად დაუფლება/ ბა მოზარდი თაობის სიცოცხლეს და სიკვდილისაგან იხსნის. რამდენი/ რამე იცის ახლა თემურმა, რამდენ რამეში ერკვევა. ასეთი ცოდნა/ უძრავი მიზანისა კენონდა მაშინ, თავის საყვარელ დაიკოს გადაარჩენდა. უბრალო სენა/ იმსხვერპლა თურმე პატარა თამრიყო. სულ მცირე მიშველება იყო საჭირო ბავშვის გადასარჩენად. ჯერ კიდევ შორსა თემური, მაგრამ იმდენი მაინც იცის, რომ გაჭირვებულ ადამიანს დახმარება აღმოუჩინოს. ახლა ჯიბით დაქვე ზოგიერთი პრეპარატი: თავის ტკივილის, სულის ხუთვის, თავბრუ- ხვევის, ჭრილობისა და სხვა ტკივილების დასაყუჩებელი.

სხვაც ბევრი საინტერესო და საყურადღებო ამბები მოხდა მის ცხო- ვრებაში. შარშან ზაფხულის არდადეგებზე, რამდენიმე დღით თამარ ზერე- კიძის ოჯახის სტუმარი იყო ნიკორწმინდაში. ძალიან მოეწონა რაჭა. თა- ვის კუთხეს ამსგავსა. თამარის ძმაც გაიცნო, ხიხაძირის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი. ისე დაუახლოვდა ამ ოჯახს ღურტელი ბიჭი. რომ განუყრელი მეგობრობა შეფიცა. გურამ ზერეკიძე ძმალ გაიხადა, თა- მარი დის მაგივრად.

მეხფულე ძალიან გაახარა ამ ამბავმა. შვილს დაავალა, მომავალ წელს იმ შენს კეთილ მეგობრებს ჩვენი ოჯახიც გააცანიო.

თემურს ძალიან გაუჭირდა თამარისთვის ეთხოვა ოჯახში მესტუმრე, მაგრამ დედის სურვილს ვერ აღუდგა და თამარი თავისი ძმით ღურტაში მოიპატიუ.

რაჭველმა მეგობრებმა არ გააწილეს ჭაბუკი და ამ არდადეგებზე მოინახულეს მისი ოჯახი.

ხიხაძირის სკოლის მასწავლებელმა გურამ ზერეკიძემ წამოიყვანა თავისი და თამარი და თემურს ოჯახში ესტუმრა.

მეხფულემ დედაშვილურად მიიღო ისინი. თავისი ხელით დაწურული კამკამა ღვინო მიართვა. სამი ღღე გაატარეს სტუმრებმა ღურტაში და ღღეს დილით გაემგზავრნენ. რაიონის ცენტრამდე თემურმა გააცილა ისინი. მერე მანქანით ბათუმისაკენ გაისტუმრა.

მეორე სასიამოვნო ამბავიც: არდადეგებზე თბილისიდან წამოსული თემური ბათუმში თაილეს შეხვდა. ორივემ ერთად იღეს ბილეთი, ავტო- ბუსით რაიონის ცენტრამდე ერთად იმგზავრეს და...

თემურმა დედას ყველაფერი უამბო.

მეხფულემ ბედი დაულოცა შვილს.

ამ ფიქრებსა და ოცნებაში გართულ ჭაბუკს უეცრად მსუბუქმა მანქანამ ჩაუქროლა, ჩაუქროლა ისე ახლოს, რომ კინაღამ ხრამში გადა- აგდო. თემური ელვის სისწრაფით განზე გახტა და ამან იხსნა. მანქანას

თვალი გააყოლა. საჭესთან ტარიელი იჯდა. მიხვდა, რომ ეს არაუკან მემონე-
ვევითი. მანქანას ერთი ფერდი რომ გაეკრა, ვინ იცის ახლა სკოლაში მეტად
ამაზე ფიქრიც არ დასცალდა, დიდი სისწრაფით მიმავალდა მარტინ ბრანდის
მოსახვევში გზას აცდა და ხევში გადაეშვა. თემურს ყურში ჩაესმა გან-
წირულის ხმა.

— მიშველეთ!..

— გვიშველეთ! — მისდაუნებურად აღმოხდა თემურს და მისაშვე-
ლებლად გაიქცა.

არც მანქანა ჩანდა, არც კაცი, არც არავინ იყო ახლომახლოს.

რა ქნას, მარტო რას გახდება, მისი ძახილი აღარავის ესმის. მიატო-
ვოს და სოფელში გაიქცეს შშველელთა მოსაყვანად? გვიანი იქნება. და
იგი ხევში დაეშვა.

მანქანა ორ ხეს შუა გახერგილიყო, ფერდები ჩალეწოდა. ტარიელი
მოესწრო კაბინის კარის გაღება და გადმოვარდნილიყო, მაგრამ რაღაცა-
ზე თავი დაერტყა. სისხლი სდიოდა, უმოძრაოდ, უგრძნობლად ეგდო.

თემურმა მაშინვე მოისაზრა, რა უნდა გაეკეთებინა. პირველ ყოვლი-
სა საჭირო იყო სისხლის დენის შეწყვეტა, ჭრილობის შეხვევა, აღამიანის
გრძნობაზე მოყვანა. თუ ამას შესძლებდა, შემდეგ როგორმე ხევიდან ამო-
ყვანაზე უნდა ეფიქრა.

პირველი მოახერხა. სისხლის დენა შეუწყვიტა, ჭრილობაც შეუხვია, მაგრამ გრძნობაზე ვერ მოიყვანა.

როგორმე უნდა ივიყვანო, გაიფიქრა ღურტელმა ბიჭმა და ძალლონე
მოიკრიბა. ფრთხილად ასწია. გამწარდა, გაიღვარა თფლად, როგორც იქ-
ნა, მომაკვდავი ხევიდან ამოიყვანა და გზის პირას ბალახზე დააწვინა.

ახლა შეიძლებოდა მოშველების იმედი ჰქონდა. საღამომდე უთუოდ
გამოივლიდა ვინმე, ან მანქანა გამოჩნდებოდა. დასახიჩრებულმა თვალები
გაახილა და გამოიხედა, გამოიხედა მაგრამ უაზროდ, ორიოდე წუთის
შემდეგ კვლავ მინაბა თვალები და ასე მთელი საათი გაატარა.

თემურს ბევრი მომაკვდავი უნახავს პრაქტიკის დროს, ბევრის გაკ-
ვეთას დასწრებია, ბევრი ჭრილობაც შეუხვევია, მაგრამ ასე საშინლაჲ არ
განუცდია არასდროს.

ხალხი თითქოს ამოწყდა ქვეყანაზე, ამოდენა შარაგზაზე ადამიანის
კაჭანება არაა.

— აჲ, წყალი, — პირი დაალო ტარიელმა და ცალი თვალით გამოიჭყიოტა.

— წყალი — გაიმეორა თემურმა და ჩაფიქრდა. — დიახ, წყალი წა-
მალია გულწასულისათვის, მაგრამ მძიმედ დაკრილისათვის რომ მომაკვ-
დინებელია?! არა, წყალი მაინც აუცილებელია. მიმოიხედა: აგერ ახლოს

ნაკადული მოჩერიალებს. თემურმა უნდა მოიტანოს იქიდან წყალი მო-
აგონდა, პატარაობისას რომ თხმელის ფოთლებისაგან ქუდს უკარგუდა.
ახლაც იმ საშუალებას მიმართა და მალე ნაკადულის ცივი წყლულა მოჰა-
ელს სახე მობანა, ტუჩებზე მოუსვა, ორიოდე წვეთი დაღებულ პირში
ჩაასხა.

— გადარჩება? იცოცხლებს? — ახლა კი მოაგონდა ყველაფერი: ის
მტრობა, ის შური, რომელსაც თემურის მიმართ იჩენდა, ამ ორიოდე სა-
ათის ჭინ ხომ სასიკვდილოდ იმეტებდა!

„შაგრამ თემური მომავალი მეურნალია: მას არა აქვს მორალური
უფლება, რომ შურისძიების გრძნობას აჰყვეს. მისი მტერი — ავადმყო-
ფობა და სენია. მათ უნდა ებრძოდეს და ამარცებდეს სიკვდილ!“ ეს
სიტყვები თითქოს ყურში ჩასჩურჩულა ვიღაცამ.

არა, ტარიელი უნდა გადარჩეს, მან უნდა იცოცხლოს, ამისათვის
თემურმა არაფერი არ უნდა დაზოგოს.

— წყალ! — ახლა უფრო გარკვევით ამოილაპარაკა ტარიელმა და
ორივე თვალით გამოიხდა.

თემურმა კვლავ მიაშველა წყალი.

ტარიელი მოსულიერდა. უკვე გამოერკვა. იცნო მისი გადამრჩენელი
და ცრემლმორეული თვალებით ახედა. ამ გამოხედვაში სინანულიც იგრ-
ძნობოდა, შეცოდებაც, მწუხარებაც და შენდობის თხოვნაც.

— ტარიელ, ნუ გეშინია, ბიჭო, გადარჩენილი ხარ. მორჩები, კარ-
გად გახდები, იცოცხლებ... — და კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ამ
დროს შორიდან მომავალი ცხენოსანი შენიშნა და იმას მიაჩერდა.

ცხენოსანი ჯემალ მაგრაძე აღმოჩნდა. იგი თოფით მხარზე გადაკიდე-
ბული სანადიროდ ამგზავრებულიყო. მოუახლოვდა თუ არა შემთხვევის
ადგილს, ცხენი შეაჩერა, სწრაფად ჩამოქვეითდა.

— რა ამბავი?! რა მოხდა? — თავზე დაადგა მიწაზე გაშოტილ
ტარიელს.

— ამის დრო არ არის. — გაბრუნდი უკანვე და სასწრაფოდ მანქანა
მოიყვანე. — ბრძანების კილოთი უთხრა მას თემურმა და ხელით ანიშ-
ნა ხევში გადაჩებილ მანქანაზე.

ჯემალს ხმა არ ამოუღია. მაშინვე ცხენს მოახტა და რაიონის ცენტ-
რისაკენ გააჭინა.

ტარიელს კვლავ შეულონდა გული. თვალები დაუბნელდა, თემურმა
სასწრაფოდ მიაშველა წამლის წვეთები და მალე მოაბრუნა.

— თემურ! — ამოილაპარაკა მოსულიერებულმა ტარიელმა. — მე
შენ... გეშმის? მე შენ... არა, თქმა რა საჭიროა, შენ ყველაფერი იცი... მე
შენთვის... შენ კი... — ცრემლი მოერია და ბავშვივით აქვთინდა.



— დამშვიდლი, ბავშვი ხომ არა ხარ? — გაუღიმა თემურმა. მარტო ასე გადასაცილებელი გადასაცილებელი გადასაცილებელი ელს აჩაზე მეტი ხიფათი შეხვედრია და ლომებსა და ვეფხვებს ტებულობია...

— ჰო. — მწარედ გაიღიმა ტარიელმა. — ჩვენ მხოლოდ სახელი გვაქვს საერთო. — მიხვდა რომელ ტარიელზე ამბობდა თემური. ახლა უფრო შეეცოდა თემურს ტარიელი. თითქოს ყველაფერი დავიწყდა.

— კიდევ მასვი ჭო, ცოტაი იგი წამალი. — და ტარიელს კვლავ გული შეუღლონდა.

თემურმა მიაშველა გულის გასამაგრებელი წამალი, კვლავ სველი ხელით მოწმინდა სახე და სული ჩაუდგა.

ამასობაში რაიონიდან სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა და მძიმედ დაშავებული ტარიელი თემურთან ერთად რაიონისაკენ გააქროლა.



სვეტიცხოველი

თუა ქართული მუსლიმანობა,
ის ერთგულების ფიცს გიუბნება.
ვის ეჩვენება ჩვენში სხვაობა,
ჩვენი გათიშვის ვის აქვს უფლება?!

პეშვი ღულაბით მეც მიგლესიხარ,
შენა ხარ ჩემი მკვიდრი სავანე.
დიდო ტაძარო, დიდო მესია,
შენ მომარჩინე, შენ მინანავე.

კარიკარ დადის ჩემი ძახილი,
ესმით, მიცნობენ, მეფერებიან...
შენთვის აწვდილი ჩემი მახვილი
შენს გამო ბრძოლას შებერებია.

ის კახეთია, ეს ქართლი არის,
იმერ-ამერი, — ჩემი აკვანი,
ჩემი ცოდვილი ბედისტრიალი
ისევ შენია, ისევ აქ არი.

მოვკვდები, შენთან დამასაფლავი,
შენი ღიდება ჩემი მცველია.
ძველია შენი წმინდა სავანე,
ჩვენი სიცოცხლე უფრო ძველია.

პახელებთან თქმული

გიორგი ნატროშვილს



საქართველოს წარსული
იყო მუდამ ასეთი:
დუშმანს პირველ ხედებოდა
აჭარა და კახეთი.
ქვეყნის პირველ ძახილზე
სცემდა ბრძოლის ნაღარას
ორი გმირი ქართველი —
კახეთი და აჭარა.
— საქართველო იქნება,
მზე ქართული არ ჩავა! —
სისხლდაცლილნი იძახდნენ
კახეთი და აჭარა.
— რა ვარამსაც ვზიდავდით,
რა ჭირსაც ჩვენ ვიტანდით, —
ამბობს ტაო-ქლარჯეთი,
ამბობს ფერეიდანი.
— სხვა საშველი არ იყო,
მტრის ხმლებს მკერდებს ვახევდით,
ჩვენ — კედლებად დამდგარნი,
აჭარა და კახეთი!
ძმებო, ქუხდეს მარადეამს
კახეთიც და აჭარაც:
— საქართველო იქნება,
მზე ქართული არ ჩავა!

ღ ვ ი ძ ი ღ ი

ღამდება?
როგორ თეორად ღამდება!
დაშლილ-დაწეწილ ღრუბლებს მიჰყვება
დღეთა ღანდები
სიტყვით, სიზმრებით, ფიქრით, იღბლებით.

წვიმდება?
 გზებო, როგორ წვრილდებით,
 ხეებს აწუხებთ ლითონთ ღვიძილი.
 წვათა სიცხელე, ჩარხთა დიდება.

ღამდება?
 როგორ თეთრად ღამდება.
 ლურჯო ხეებო, სევდის ამშლელნი
 ჩრდილები კლდეზე დაგიფენიათ,
 როგორც თავშლები.

მგზავრო, ძველ ბილიქს აჰყევ აღმართზე?
 გესმის, — გუგუნებს შარა გადაღმა.
 — ძველ აღმართებზე უკეთ ავათრევ
 მე აღბათ ამდენ ტვირთქვეშ გადაღლას.

იცის სურვილმა დაღამებისას დაუოკლობა.
 დამოკლებული გზა ძვირფასია, არგასამეტი.
 შორს, ზღვის ბლონდებზე
 დევს მზის ნატეხი, როგორც კრამიტი.

მე მებახიან ქარტეხილები
 ახლა ნიავად მოჩურჩულენი,
 და სულ ვიღაცას,
 და სულ რაღაცას
 ველი, სულ ველი.

ძილით მძიმდება მთები, ტაძრები.
 რა სიმშვიდეა ამ სიჩუმეში,
 რა სიმკაცრეა.
 და მე ძილისთვის არ მემეტება
 არც ეს სიცხადე,
 არც ეს ვეღრება.

ღამდები,
 როგორ თეთრად ღამდები.
 გხედავ, გონიოს
 და მე მგონია
 აქ დაყორილი, გაქვავებულიან
 ხმები, რაც ქვეყნად გამიგონია.

როცა შენია მთები, ტაძრები
ახლობელია ტურის კნავილიც.
ვინ იცის, აქ კვლავ როდის აივლი,
ან ამ წყაროთი როდის გაძლები.

ღამდება?
როგორ თეთრად ღამდება.
ძილისწინ მშობელ ქედებს გავხედავ, —
ხილვა ბუნების ნაცნობ სახეთა
კაცს ალბათ მუდავ გაეხარდება.

პ ა ლ მ ბ ა ს ი

რა ლამაზია, რა ძლიერია,
რა კეთილია, რა ველურია.
ვით ცისარტყელას ერთი გრეხილი
თეთრ ჩანჩქერებში შერეულია.

ეს სინატიფე, ეს სიანკარე,
ეს სიცქრიალე შენეულია.
შენსავით ისიც ახლობელია,
შენსავით ისიც შორეულია.

ბადეს ამოჰყვა.
გაპკრა, გახია,
გაფრინდა, ჩქერზე ფრთები აქნია.
ცის ვარსკვლავები ტანზე დაისხა,
მარგალიტები შემომაფრქვია.

რა უცნაურად ჩამომალონა,
რა უცნაურად გამახალისა...
დასამშვიდებლად ისიც მეყოფა —
ჩემი მთისაა, ჩემი წყალისა.

ԱՃՐՈՅԼՈ ԾՇԵ



ամանց սովորո դուռո և օմանցի,
ամանց սովորո դուռո և սոյալոց,
ամանց սովորո դուռո և օվորոց,
ամանց սովորո դուռո և գուշորոց,
ամանց սովորո դուռո և ապահովութեա,
ամանց սովորո դուռո և օնանուլու,
ամանց սովորո դուռո և սորչուլու,
ամանց սովորո դուռո և գանշորութեա,
ահսագ ահասութեա ալ օյնեթեա.
ցոռտլութեա յարո սնձատ,
ցուսցութեա թյալո սնձատ,
ցուլութեա — և սոյցարուլու, —
սացեց դռութեա.
ըմբերտու, դաշտութեա հիզեն և սորչուլու,
ծոցքեր սորչուլուց եռմ
դուռո և օմանութեա.

* * *

Թովուց արա, թիւ հռմ սուսուցուց
մուռութեա մուսութեա լրութեա.
մացրամ դումուլու ալութեա դուռուց
դապուրեա կալապ դաժունեթեա.

ՑՄԱՆ ՑՎԵՏՐՈՒՅՑ

Ցման սուսուցու կլուց առաջ,
մյ օմ նայուրուտ ազուց է պատ.
մամաս հռմ մուց մյուլաց մութեա լունու,
Ցման դագիծրունա ուսցու մութեա.
իյմու սագուլու մուս պացուլութեա,
թյառուտան իյմու թաթլա-լունու.
եցութեա, հռացուր միարյուլութեա,
տյուրուն նուլութեա մութու-մունու.

მოთა აოყვა

გ ვ ც ი ლ ე ბ ა

ავტორში, დილდილობით ჩაის პლანტაციები ყოველთვის ნამით სველია. ფოთოლი, თითქოს ხელიდან დასხლტომას ცდილობსო, მკრეფა- ვის თითებში სრიალებს.

ჯერ კიდევ ალიონია. მარინეს წელზე კალათი ჩამოუკიდია და ჩაის მწვრივში ჩამდგარა. ფეხსაცმელი, კაბა მთლიანად დასველებია. უძინარი თვალები თითქოს შეშუბებული აქვს. აცხიკვებს. „გავცივდი ალბათ“ — ფი- ქრობს ქალი და ბუჩქებს უტრიალებს.

რატომლაც თავს ცუდად გრძნობს მარინე.

საერთოდ, ჩაის კრეფა რომ სასიამოვნო და სახალისო საქმე იყოს, ივი- რომ ისე მიმზიდველი იყოს, როგორც ერთ ჩვენს სახელოვან მხატვარს ტი- ლოზე წარმოუსახავს, სადაც ჩაის მკრეფავი ტანწერწეტა გოგონები, აბრე- შუმის სამოსელში გახვეულნი, ისე გალავებულნი არიან, თითქოს სამაისს ცეკვენო. — ყოველგვარ ამინდში ჩაის ბუჩქთან წელში მოხრილი დგომა რომ ადამიანს არ ქანცავდეს და ჭანმრთელობას არ ვნებდეს, მაშინ იგი გმი- რობა როდი იქნებოდა და მკრეფავებს იქროს ვარსკვლავებით როდი და- ჯილდოებლნენ.

ივლის-აგვისტოში ქალები ჩაის საკრეფაც ალიონზე დგებიან, რადვან შემდეგ სიცხე დაპყრის და კრეფა გაძნელდება. ამიტომ დილით ადრე ვამოსელის „ხვავის მოკიდებას“ ეძახიან. ვინც ადრე გამოვა, მას „დილის ხვავი“ დაპყვება.

მაგრამ მარტო ამიტომ არ გამოსულა ამ ალიონზე მარინე. წუხელ ცუ- დად ეძინა, მერე ადრე გამოელეიძა და ხელახლა დაძინებას ადგომა ამ- ჯობინა.

ფრონტიდან ქმრისა და შეილის ამბავი კიდევ არ ისმის. მამუკა მთაში,

ფერმაშია და ქალი შინ მარტოდ დარჩა. ადრე გამოეღვიძა და პლანტაციას
მიაშურა.

ამ პლანტაციაში თაგა ბედნიერად გრძნობს. აქ მისთვის ყავის გადასახლება
მახლობელია. ყველაფერს ქმრისა და შვილის ხელი ატყვავა. წელს მაინც
რა საგულდაგულოდ დამუშავა ეს ფართობი გრიშამ! ჯერ კიდევ მარტში
შექრის მაგარი ლობე შემოავლო. ბიჭიკო და მამუკა მხარში ედგნენ. მერე
შებარეს, ნიადაგში სასუქი შეიტანეს. მარინეს სადილიც აქ მოჰქონდა:
თქვენ შემომილობეთ და შემიბარეთ, გასხვლა და მოკრეფა კი ჩემი საქმე
იყოსო. ერთად სადილობდნენ, მღეროდნენ, მოელი ოჯახი ბეღნიერი იყო.

ვაჟებმა დედას პლანტაციაში ჩასასვლელად ისეთი ალაგვი გაუკეთეს,
გამვლელ-გამომვლელს თვალი ზედ რჩებოდა.

პლანტაციაში წიფელი იდგა. მის ქვეშ ძელსკამი და პატარა მაგრა გა-
აკეთეს. ყველაფერი ლამაზად, საგულდაგულოდ გამოიყურებოდა.

ამიტომ მოუხაროდა მარინეს ამ პლანტაციაში. ახლა მან გუმანით იცო-
და, რომელ მწყრივში, რომელ ბუჩქთან, როდის რა იხუმრა გრიშამ, რომელ
ბუჩქთან, როდის რა სიმღერა წამოიწყო ბიჭიკომ, სად რა იანგლა მამუკამ.

ბიჭიკო მაშინ ჯარიდან ახალდაბრუნებული იყო. სამუშაოზე ჯერ კი-
დევ სამხედრო ფორმით დადიოდა. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლე-
ლად ემზადებოდა. უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე
აპირებდა მოწყობას. მათემატიკის ნიჭი ჰქონდა. ერთხელ მამუკამ „ნიუ-
ტონა“ შეარქვა და მერე მოელი სოფელი ასე ეძახდა.

— მეც შევალ მათემატიკურზე! — თქვა ერთ დღეს მამუკამ.

— მერე იცი ნიუტონის ბინომი? — ცბიერად ჰქითხა ძმამ.

— რაა ნიუტონი?

— რა კი არაა, ვინაა? — მიუგო ბიჭიკომ, — ნიუტონი დიდი მეცნიე-
რი, დიდი მათემატიკოსი ყო.

— ა, იმიტომ შედიხარ მათემატიკურზე, გინდა ნიუტონი გახდე?

— ნიუტონი ვერ გახდები, უნდა დაიბადო! იცი, რა ჰქნა ერთმა
პროფესორმა?

— ჰო, რა ჰქნა? — დაინტერესდა მამუკა.

— ერთ მშენიერ დღეს შევიდა საპროფესოროში და განაცხადა: დღე-
ისან ლექციებს მე აღარ წავიკოთხავ, კათედრას ვუთმობ ჩემს სტუდენტს,
ჩემზე მცოდნეს და ყველა ჩვენგანზე უფრო ნიჭიერსო. ეს სტუდენტი
ცხრადები წლის ნიუტონი იყო. მხოლოდ დიდბუნებოვან კაცს შეეძლო
ასე ეთქვა.

— მერე შენი პროფესორიც ასე განაცხადებს და ერთ მშენიერ დღეს
შენც ნიუტონი იქნები. — არ ეშვებოდა მამუკა. — თუ არ გეწყინება,
დღე-დან შენც ნიუტონს დავიძახებთ.

- და მართლაც. მას მერე ბიჭიკო ბიჭიკო აღარ იყო.
- სადაა ნიუტონი? — იყითხავდა სკოლიდან დაბრუნებულის შამუკა.
— წყალი ნიუტონმა მოგიტანოს, ხომ იცი, რა მარჯვი ჰქონდებოდა
— სად მე და სად ნიუტონი? მას უთხარი, უფროსი შეიღია!
— მარინე ბიცოლა, ნიუტონი ხომ არა შინ? — იყითხავდა მეზობლის
ბიჭი.

შესანიშნავი ახალგაზრდა იყო „ნიუტონი“. მარჯვე, მუყაითი, ცოცხა-
ლი, დაუზარებელი.

არმიიდან რომ დაბრუნდა, შინ ახალი სახლი დახვდა, ჯერ კიდევ
გადაუხურავი.

ერთ დღეს სიტყვამ მოიტანა თუ როგორ მოხდა, სახლის ოსტატებს
ნაძლევი შესთავაზა — ივალ და წინა ბოძის თავზე ყირას გავჭიმავო.

— არ ქნა, შენი ჭირიმე! — იყვირა უსტამ.

— ავალ! — დაიჩემა ბიჭიკომ.

ხალხი აჩოჩეოლდა.

— თავს რად ილუპავ, ნიუტონ! — იყვირა მამუკამაც.

მარინე შინ არ იყო.

— კარგი, არ ვიზამ, — ხალხი დააშვიდა ნიუტონმა. მერე ავიდა და
წინა ბოძის თავზე ყირაზე დადგა. ოსტატებმა თვალი დახუჭეს.

— რა ჰქენი, ჯარში ეს გასწავლება? ყველა გაბედულება ვაჟკაცობა
როლია, ჩემო ნიუტონ! — უთხრა მამუკამ, როცა ბიჭიკო ძირს ჩამოვიდა.

ახლა ამ „ნიუტონს“ წიგნის მაგივრად ხელში შაშხენა ეჭირა და საღ-
ლაც შორს, მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით მტერს იგერიებდა. მაგრავ
წერილები არ მოდიოდა და მარინეს ძილი და მოსვენება არ ჰქონდა.

ალაგესთან ხანა გამოჩნდა. გოდორი ალაგეზე დააგორა და პლანტა-
ციაში ჩაგდო, თვითონ ალაგეს საფეხურზე ჩამოვდა.

მარინემ გამოიხედა.

— მოდი, შვილო, რავა გამოქნარებს, შენც უძინარი ხომ არა ხარ!

— შეისვენე, მარინე ბიცოლა, რას გავხარ, მთლად გალუმბულხარ.
შეისვენე, წერილი წავიკითხოთ. — უთხრა გოგომ და სამკუთხა წერილი
დაანახა.

მარინეს სიხარულისაგან გულის ფრიალი აუტყდა.

— არიქა, შენ გაიხარე, არიქა, შენი ჭირიმე! — ჩაის კრეფა მიატოვა
და ნანასაკენ წელმოხრილი გამოეშურა.

— რა წაგეკიდა, კაი ამბავია, ცუდი ხომ არა!

— ვისია, საიდანა?

— მთიდან, მამუკას წერილია.

მარინე უცებ შედგა, გაიმართა.

— რატომ მომკალი, შვილო, ესაა ფრონტიდანაო?

— მე ფრონტი არ მიხსენებია.

— აბა, მოშეყურა?

— მამუკაც ხომ შენი შვილია?

მარინე ახლოს მოვიდა.

— ტყვევისპირზე რომ მყავს გაგზავნილი. ახლა მათი ამპავი მინდა, თორ რემ მძმუკას რა უჭირს... ჰო, მაინც რას იწერება ჩემი უმცროსა, გახსენი, წამიერთხე.

ნანამ აღაგეზე ერთი საფეხურით დაბლა ჩაიშია და წერილის კითხვა-დაიწყო.

„გამარჯობა, საყვარელო დედა. — იწერებოდა ბიჭი. — ერთი თვეა არ მინახავხარ და მომენატრე. ჩვენ კარგად ვართ, ვმწყემსავთ საქონელს და მედგრად ვიბრძოთ პირსისხლიანი დათვების წინააღმდეგ“...

— მასხრობს, ხომ? — გაიღიმა მარინემ.

„გუშინ ორი ძროხა გადავარჩინეთ. დათიკომ ჯერჯერობით მხოლოდ ორი მოზვერი შეგვიჭამა. დანარჩენი სახეზეა“...

— ეს დათიკო ვინდაა, მოზვერი შეგვიჭამა? — იქითხა გაკვირვებულმა მარინემ.

— დათიკო დათვია.

— უიმე, — გაიცინა მარინემ, — მე რაიონის ვეტექიმი მეგონა.

„რომ არ შევარცხვინო მამის ულვაში,

დათვებს მხნედ ვებრძვი ბაისურაში“.

— უყურე შენ, რავა გალაზლანდარებულა!

„დედა, მომწერე, რა ამბავია სოფელში, რა ისმის ფრონტიდან, მამაჩე-მის ან ჩვენი ნიუტონის წერილები ხომ არ გამოჩენილა? თუ მოვიდა, გა-მომიგზავნე, ვინიცობაა, ვინმე აქეთ წამოვიდეს“...

— სადაა, შვილო... ფრონტზე რა ამბავი იქნება, ჩვენები კიდევ უკან იხევენ. — თქვა შეწუხებულმა და წამოდგა. მერე შემოჭერილი ქაბარი გა-იხსნა და სისველით დამძიმებული იუბკა მიწაზე დავარდა. სველი იუბკა გაწურა, მეორე, მშრალი ჩაიცვა და ალაგზე ნანასთან ჩამოჯდა.

— მთელი ღამე არ მიძინია, თავი მტკივა, — უთხრა ნანას და შეწუხე-ბული ხმით გაიმეორა: — ჩვენები ისევ უკან იხევენ. წერილები არ ჩანს.

— მართლა, რა ამბავია ამდენი უკან დახევა, მარინე ბიცოლა, დაღ-მების და გათვენების მეშინია.

— შენ გეშინია? შენ რისი გეშინია, შვილო, ეს მე ვარ, რომ მეშინია, ემარი და შვილი სად მყავს რომ არ ვიცი, მე ვარ, დაღამების და გათვენების-რომ მეშინია.

— გული მეც მაქვს, მარინე ბიცოლა. — ჩუმად თქვა გოგომ.

— შენს გულში ჩიტია დამწყვდეული, ჩემო გვრიტო.

გზაზე ფეხის ხმა გაისმა.

ჯერ დააყურადეს, მერე ნანა წამოდგა და გაიხედა.

ამბროსი მოდიოდა, ჯოხდაბიჭებული, ჩაფიქრებული, შეწუხუბული
— ვინაა?

— ამბროსი მასწავლებელია. — ოღნავ დაბალი ხმით თქვა ნანამ, —
რაღაც ჩაფიქრებული მოდის.

— რა გაამხიარულებს! — ჩაიჩურჩულა მარინემ, — მისი შვილებიც
იმ ქარცეცხლშია.

ფეხის ხმა მოახლოვდა.

ერთი თვის წინ, როცა სკოლის დირექტორი ომში გაიშვიეს, დირექ-
ტორად ამბროსი დანიშნეს.

თუმცა, დანიშნენა რად უნდოდა, რაც ამ სოფელში შენობა ააგეს და
სკოლა უწოდეს, იმ დღიდან სკოლის მასწავლებელი და გამგე ამბროსი
იყო. ოც წელიწადს დირექტორად მუშაობდა. მერე დირექტორობიდან გან-
თავისუფლება ითხოვა, — ახლა სხვებიც არიან, ამ საქმეს რომ გაუძლვე-
ბიანო. დაუჯერეს და გაათვისუფლეს.

ახლა სოფელში ყველა „ამბროსი მასწავლებელს“ და „ბატონო ამბ-
როსის“ ეძახდა.

სკოლის გამგე თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჩის ფაზრიკის
დირექტორი თუ სასოფლო საბჭოს მდივანი, მჭედელი თუ მენავე, შოთერი
თუ მეურმე, ყველა ამბროსის ნამოწაფარი იყო და ყველას ამბროსის და-
ნახვა უხაროდა.

ყველა მოწაფის მშობელს, ყველას ბებიას და ბაბუას იცნობდა. ამ სკო-
ლაში სხვა სოფლებიდან რომ მოწაფეები დადიოდნენ, იმათ მშობლებსაც
იცნობდა.

თუ მოწაფე სკოლაში არ მიეიდოდა, რა მანძილზეც არ უნდა ყოფილი-
ყო, ამბროსი შინ მიაკითხავდა, მშობლებს მოინახულებდა და ამბავს გაი-
გებდა.

ყველამ იცოდა, ამბროსის ვერაფერს გამოაპარებდი და ყველა ცდი-
ლობდა მის წინაშე ყოველთვის მართალი ყოფილიყო, ყოველთვის სიმარ-
თლე ეთქვა.

უკვე სამოც წელს გადაცილებული იყო მასწავლებელი.

სკოლიდან ორ კილომეტრზე ცხოვრობდა, მაგრამ სკოლაში ყველაზე
ადრე მიდიოდა და იქედან ყველაზე გვიან ბრუნდებოდა. დილით დარაჯს
მიასწრებდა, თუ ცივი ამინდი იყო, ყველა ოთახს ჩამოივლიდა და
ცეცხლს დაანთებდა, კარ-ფანჯრებს დაალებდა, ჰერს გაანიავებდა. ზამთა-
რში მოწაფეებს უკვე თბილი და სუფთა ოთახები ხვდებოდათ.

არც ერთი შეკრება, კოლმეურნეობაში თუ სკოლაში, არც ერთი საერ-
თო კრება, სკოლაში თუ სოფლის კლუბში, ამბროსის გარეშე არ ჩატარდე-
ბოდა. კრებაზე ყველას მიუხაროდა: იქ ამბროსი იქნება და კარგ სიტყვას
იტყვისო.

სოფლის ჭირი და ლხინი ამბროსის საზიარო იყო. კვირა დღეს აუგის /
ლებლად გლეხებთან მუშაობდა. კოლმეურნეობის პლანტაციაში, კუნძულ /
ან ვენახში ტრიალებდა. გლეხივით ჩაიცვამდა, თვეზე გახუნებულს შემდეგით და
ფას ქუდს დაიხურავდა, მხარზე თოხს გაიდებდა, თოხის ტარზე საღილს
გამოჰკიდებდა და სამუშაოდ მიდიოდა. ის დღე გლეხებს უხაროდათ, —
ამბროსი ენამოსწრებული, იუმორის კაცი იყო და მთელი დღე სიცილსა
და მხიარულებაში მიდიოდა.

როცა ვალიკო რაიკომში მივიდა და განაცხადა მოხალისედ ფრონტზე
მივდივარო, რაიკომის მდივანმა ბევრი იფიქრა და ერთ დღეს ამბროსი და-
იბარა.

მდივანმა საუბარი ბოლიშით დაიწყო, — ვიცი, ისედაც დატვირთული
ხარ, მაგრამ რა უნდა ვწენათ, ერთ ხანს მაინც უნდა შეითავსო კოლმეურ-
ნეობის თავმჯდომარეობა და საბჭოს თავმჯდომარეობაცო. მერე რაღაცას
მოვიფიქრებთ, შენც გვეტყვი ვინ დავნიშნოთ, ვინ შეძლებს ამ ძნელ პე-
რიოდში ამ საქმის გაძლილასო.

ამბროსის რა უნდა ეთქვა. რაიკომიდან დაღინებული წამოვიდა. იმი-
ტომ კი არა, რომ პასუხისმგებლობის ეშინოდა, ანდა პირადი მოსვენება-
ეკარგებოდა. გუნება გაუფუჭდა. ფიქრობდა, ნუთუ ისე წავიდა საქმე, ვი-
საც ხელში თოფის დაჭერა შეუძლია, ყველა უნდა გაიწვიონო!

ერთი თვის წინ სკოლის დირექტორად დანიშნეს, ახლა, შეთავსებით,
კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც და, რადგან სასოფლო საბჭოს დეპუტა-
ტიც იყო, დროებით საბჭოც დაუქვემდებარეს.

მაგრამ ვალიკო ჭერ კიდევ არ იყო წასული, ჭერ სოფელში იყო, და ეს
ამბები ყველამ არ იცოდა.

ამბროსი ალაგესთან უხალისოდ მოვიდა, ჭოხს მძიმედ ჩამოეყრდნო
და ღობეში ჩაიხედა.

— გამარჯობა! — თავი დააჭინა მან. მერე ნანას ხელში სამკუთხა-
წერილი რომ დაინახა, თითქოს თვალები გაუფართოვდა.

— ვისია, ნანა?

— მამუკას გამოუზავნია მთიდან, ამბროსი მასწავლებელო.

— ფრონტიდან აღარ ჩანს წერილები და მთიდან მამუკა გვამხნევებს.

— თქვა მარინემ.

მცირე დუმილი ჩამოვარდა.

— მამუკა დღეს ჩამოვა, თევდორეს ჩამოყვება, ფერმაში გუშინ მაგი-
ერი კაცი გავგზავნეთ. — უხალისოდ თქვა ამბროსიმ.

ეს მოულოდნელი ამბავი იყო.

— ვალიკოს გასაცილებლად ჩამოვლენ. თუ სხვა რამეცაა, ამბროსი
მასწავლებელო? — ცნობისმოყვარედ იკითხა ნანამ.

ამბროსი წამით ჩაფიქრდა.



მარინე ამბროსის მიაჩერდა.

— ესეცაა და ისიც. — ამბროსიმ თავი მიაბრუნა, ქალებს და ქალებულება... რიდა.

მარინე ეს ცუდად ენიშნა და ელდა უცა, ტანში ურუანტელმა დაუარა — მშვიდობა ხომაა, ამბროსი ბატონო? — ჩურჩულით იკითხა შან.

— ეჲ, ჩემ მარინე, — ამოიგმინა ამბროსიმ და მიწაზე დაბრუებულ ჯოხს ადგილი გადაუნაცვლა, — ომი და მშვიდობა ერთად ვერ იქნება... ცუდი ამბავია!

ქალმა შიშისაგან უკან დაიხია.

— ვაიმე, არ მითხრათ, თქვენი ჭირიმე!

— რა უნდა ვქნათ, — დამნაშავესავით ხმის კანკალით თქვა ამბროსიმ, — გავარდა პირველი მეხი ჩეენს სოფელში.

— ააჲ! — ამოიგმინა მარინემ.

— ვისი, ამბროსი მასწავლებელო? — იკითხა დაბნეულმა ნანამ.

— წყნარად, წყნარად... არ მინდა ჯერ სხვებმაც გაიგონ. — ხმა წერ-თვა მასწავლებელს, — თევდორეს ქალიშვილი აღარაა ცოცხალი. — ძლიერ გასავინად თქვა და ყრუდ აქვითინდა.

— დედა, შვილო! — გულზე მუშტი დაირტყა მარინემ და სახე გაულურჯდა.

— ვაიმე, დაო ეთერი! — იყვირა ნანამ.

— ჩუმად, ჩუმად! — გაიმეორა ამბროსიმ, ჯოხს მაგრად დაეყრდნო, ცხვირსახოცით თვალებზე ცრემლი ჩქარა მოიწმინდა და აქეთ-იქით მზე-რა დაიწყო.

— მეხი რატომ არ დამეცა ამის გავონებამდე! — სიმწრით ჩურჩულებდა მარინე, — უბედურო ოჯახო! უიმე, შე საწყალო თევდორე... ვაიმე, შვილო, მარგალიტის ქეკალო, ეს რა გავიგონე!

— აბა, რა ანგელოზივით ბავშვი! — თქვა ამბროსიმ და ცხვირსახოციდამალა, — გული დათუთქული მაძვეს, მაგრამ რა უნდა ვქნათ!

ნანას ხელისგულებში სახე ჩაემალა და მხრები უცახცახებდა.

— კარგით, ახლა! — გააფრთხილა ამბროსიმ, — რაიმე უნდა მოვიფი-ქროთ... შენთან იმიტომ მოვედი მარინე, ჭკვიანი ქალი ხარ და, ხელა ნუ დაიბნევი!

— მერე, ეს როგორ უნდა ვუთხრათ უბედურ მამამისს?

— თევდორე ამას როგორ გადაიტანს! — ახლოს მოვიდა ნანა.

— ორი დღე ამაზე ვფიქრობ და ჭიუაზე არა ვარ, მაგრამ სანამდე უნდა დაგვალოთ. კიდევ კარგი, ეს ცნობა რომ მივიღეთ, იქ ვალიკო არ იყო მაგრამ, ვფიქრობ, მაიც სჯობს, კაცმა იცოდეს თავისი უბედურება.

— არა, იმას ვერ ვეტყვით, ბერიკაცს ვერ გავამწარებთ!

— ნურც ვალიკოს ვეტყვით. რაკი მიდის, ისე წავიდეს, დაი ცოცხალი ეგულებოდეს. აბა თევდორეს ეს როგორ უნდა ვუთხრათ!

— არ დაიმალება ეს ამბავი, ნანა. დღეს ერთია და ხვალ სხვის ცოდნა
ბაც მოვა... საერთო უბედულებაა და სჭობს მთელმა სოფელმა იცია მარტო კაცის
— არა, ვალიკოს წასვლამდე არ ივარგებს ამის გამეღავნება. კურაგოვა
ცილოთ და ამაზე მერე ვიფიქროთ. — თქვა მარინებ.

— ვითომ ასე სჭობს? — ნახევრად დაეთანხმა მმარისი.

— რა თქმა უნდა. მაგას კი შემოვლება, ყველაფერი მოგვარდება,
მარა იმას რა ეშველება, მერცხალივით გოგო რომ ერთმა კეკალმა ტყვიამ
გააგორა! ვით, დანგრეულო ოჯახო, ვით, აოხრებულო ქვეყანავ! — იმეო-
რებდა გაოვნებული მარინე და ცახცახებდა.

ამმარისი უკან გაბრუნდა.

მარინემ მოკრეფილი ჩაი გოდორში ჩაჰყარა, ბუჩქე გაფენილი იუბკა
აიღო და გოდორი წამოიკიდა.

— მე დავრჩები, მარინე ბიცოლა, — უთხრა ნანამ, — ერთხანს ვიმუ-
შავებ, მერე ვალიკო ხომ უნდა გავაცილოთ.

მარინე წავიდა. ნანა ალაგეზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა.

მას მოეჩვენა, თითქოს ვიღაც მოდიოდა გზაზე. მიიხედა, არავინ ჩანდა.
გზისპირად, ღობესთან უზარმაზარი წიფელი დგას. როცა აქ გზა გავ-
ყავდათ, ამ წიფელს შემოუარეს, მოსაჭრელად ვერ გაიმეტეს.

ფეხის ხმა ისევ გაისმა.

— ვაიმე, როგორ შემაშინე! — შესძახა ნანამ.

წიფლის ძირში ვალიკო იდგა.

— არ მინდოდა თქვენი მყუდროება დამერღვია, ძალზე რომანტიუ-
ლად იყავით ჩაფიქრებული! — თქვა ვალიკომ და ზურგჩანთა მოიძრო,
ღობის სარჩე გადაპირდა.

— ეს ჩანთა რაღ გინდა, ასე ადრე მარტოდ სად მიდიხარ? — გაუბე-
დავი ხმით ჰკითხა ნანამ.

— მივიტან კანტორაში, იქ დავტოვებ. რომ ვიცი წასასვლელი ვარ,
გული ალარ მიძლებს, ვეღარ ვისვენებ, — თქვა ვალიკომ. ამ ხმაში დიღი
სევდა და წუხილი იგრძნობოდა. არ ჰგავდა ეს ხმა ომში მოხალისედ მიმა-
ვალი კაცის ხმას.

ნანამ ეს იგრძნო და სცადა, რაღაცნაირი თბილი სიტყვა მოენახა.

— მერე ასე წასვლა იქნება? — ახლა შინაურულად თქვა ქალიშვილ-
მა, — ასე მარტოდ რომ მიდიხარ, სოფელს არ ეწყინება?

— სად არიან სხვები?

— რა ვიცი, ზოგი სად და ზოგი სად... მარინე იყო და შინ წავიდა.
ჯერ არ ფიქრობენ შენს წასვლას, თორებმ ყველა თავს მოიყრიდა.

მცირე დუმილი ჩამოვარდა.

— შენ არ გამაცილებ? — მოულოდნელად ჰკითხა ვალიკომ.

ნანა მიხვდა, რას ნიშნავდა ეს, თუმცა არ მოელოდა.



— ეს როგორ გავიგოთ?

— ისე, თუ გამაცილებ-მეთქი? — თვალები უღიმოდა ვაჭრობის ნანამ მაინც შორს დაიჭირა თავი.

— რას ამბობ, ვალიკო, რას ჰქვია, არ გაგაცილებთ... მაგრამ ჯერ სად ამგზავრებულხარ, ჯერ თევდორეც არ ჩამოსულა. — უთხრა მან და ახლა გაუელვა ფიქრმა, — ვინ იცის, იქნებ განგებ გამოიარა ზურგჩანთით, ველარ მოითმინა და ნანას პირდაპირ პლანტაციაში მოაკითხა. იქნებ განზრას მოვიდა, რომ სწორედ ასეთი საუბარი წამოეწყო.

ამ ფიქრმა ნანას გულის ერთი კუნძული გაუნათა.

— შამაჩემი მალე ჩამოვა, ალბათ. ისინი მთიდან წუხელ წამოვიდოდნენ.

ლამეს ჩიხატაურში გაითვედნენ. თუ ღლეს ვერ ჩამოვიდა, ვეღარც დავუცდი. უნდა წავიდე, ეშელონი ამ საღამოს გადის და ვერ ჩამოვრჩები.

ახლა კი შეეცოდა ნანას ვალიკო, რაღაცნაირი თანაგრძნობით განიმსკვალა.

— რა ცუდად უღერს ეს სიტყვები „ეშელონი გადის“! მერე სად მიდის, სად? — გამომწვევი სინანულით თქვა ქილიშვილმა.

— რას იზამ, ჩემო ნანა, — გაუხარდა ვალიკოს, — ჩვენ ჩვენი ვალ უნდა მოვიხადოთ. შეიძლება ბევრი რამ სამწუხაროც მოხდეს, მაგრამ რას იზამ, ომი ომია.

„ჩემო ნანა“ რომ გაიგონა, ქალიშვილის გულის გამთბარ კუნძულს კიდევ სიობო მოემატა. მერე ისიც გაითვალისწინა, ვალიკომ ეთერის დაღუპვის ამბავი რომ არ იცოდა. უცებ ისიც მიუმატა, ვალიკოს წასვლის შემდეგ თევდორე შინ რომ მარტოდ რჩებოდა.

გული საოცრად შეულონდა და შეუტოკდა ნანას.

— მეცოდება, თევდორე მეცოდება! — ხმა არ ეყო და ისე წაიჩურჩულა.

— მეე? მე არ გეცოდები? — გულუბრყვილოდ იქითხა ვალიკომ.

რატომლაც ნანას არ მოეწინა ასეთი კითხვა. იგი მეტად უადგილოდ ეჩვენა. მაგრამ ახლა არ უნდოდა თუნდაც ოდნავ გაეციებინა ატმოსფერო.

— მაგას რატომ მეუბნები?

— ახლა სულ ერთია, მაინც მივდივარ... და რაც აქამდე ვერ გათხარი, ახლა გეუბნები, — ისე თქვა ვალიკომ თითქოს მართლაც სულ ერთი ყოფილიყოს, თუ რას ეტყოდა ნანა.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

მერე, თითქოს ფეხის ხმაც მოესმათ.

გაიხედეს, — არავინ ჩანდა.

— რატომ ვერ მითხარი, მერე? — საყვედურიანი ხმით დაიწყო ნანამ, — ძალიან ნორჩი იყავი თუ მორცხვობამ შეგიშალა ხელი?



ვალიკო ასეთ პირდაპირობას არ მოელოდა. უცებ დაიბნა.

— რა ვიცი... სულ ერთია, ახლა ხომ გითხარი.

— არ არის სულ ერთი, რას იტყვის კაცი წასვლის წინ... სუსტებულისა
კი არა... — გოგო გაწითლდა.

— კარგი, ნუ შემრისხავ და ვაგებ პასუხს! — სიტყვა არ დაამთავ-
რებინა ვალიკომ.

— აღრე ვერ გითხარი და ახლა სულ ერთიაო! — საყველურით გაიმე-
ორა ქალიშვილმა.

— რა ვუყოთ, ზოგჯერ კაცმა უადგილოდ იცის დამუნჯება. ალბათ,
მეც ასე მომივიდა. — თითქოს თავი იმართლა ვალიკომ.

„იქნებ გეშინოდა კიდეც, გერიდებოდა“ — უნდოდა ეთქვა ნანას,
მაგრამ ახლა ეს ვალიკოს ეწყინებაო და თავი შეიკავა.

ნანა მეოცრამეტე წელიწადში ახალგადამდგარი იყო, საშუალო სკო-
ლა შარშან დაამთავრა, მაგრამ უკვე ჭირგამოვლილი იყო და ამ ჭირს რა-
ღაცნაირად გაემაგრებინა და თავის ასაკთან შედარებით დაებრძენებინა
კიდეც. უკვე მეოთხე წელიწადი მოდიოდა, მამის წერილს (წელიწადში
ერთხელ) ციმბირიდან იღებდა. მამის გადასახლების შემდეგ დედაც ლო-
გინალ ჩავარდა, დაავადმყოფდა და, თუმცა ამ უკანასკნელ ხანს ცეხზე
კი დადგა, ეზოდან იშვიათად გამოდიოდა. ამიტომ იყო, რომ ნანამ სწავ-
ლა უეღარ განაგრძო, თორემ ფრიადლისნის ატესტატით შეეძლო ყველ-
გან უგამოცდოდ შესულიყო. ბევრს ეცოდებოდა ნანა, სოფელი მის
ოჯახს თანაუგრძნობდა.

მაგრამ ტყუილად როდი ამბობენ, სოფელი ჭრელიაო. კარგთან ერ-
თად ცუდიც ესმოდა და ეს ცუდი ნორჩ გულს უშხამავდა და ეჭვებს
აღუმრავდა.

„იქნებ გეშინოდა, გერიდებოდა ჩემთან გამიგნურება, რადგან მამა
გადასახლებული მყავს?“ — ეს სიტყვა ენის წვერზე მოადგა, მაგრამ ქა-
ლიშვილს ყველა კბილი საღი ჰქონდა და სიტყვა აღვილად დაიჭირა. თუმ-
ცა სახე უცებ დაემწუხრა.

საოცარია: ადამიანები ხშირად უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს.

— სოლომონის წერილი როდის იყო უკანასკნელად? — მოულოდნე-
ლად, რაღაცნაირი სითბოთი იკითხა ვალიკომ.

ნანა გაოცდა. გაოცდა და გაუხარდა, რომ ჭკუა იხმარა და გულში
გაფიქრებული სიტყვა არა თქვა.

თურქე, როგორ ეწყინებოდა ვალიკოს!

ვალიკომ ნანას მამის თავგადასავალიც კარგად იცოდა...

ერთ დღეს, ეს ოთხი წლის წინ იყო, კოლმეურნეობის კანტორაში
სამი კაცი შევიდა.

კანტორაში მათ კოლმეურნეობის ბუღალტერი სოლომონი და  მოანგარიშე დახვდათ. უცნობები რომ დაინახა, სოლომონმა მობრუნებულება კი უთხრა, მაგრამ ფეხი სტკიოდა და წამოღვომა დაყოვნა.

ერთი უცნობთაგანი, თავმდაბლობით სულ რომ არ გამოირჩეოდა და დიდი რიხით ლაპარაკობდა, რაღაც ბედად ბუღალტერის მაგიდასთან დაღვა და შემთხვევით ხელში საწერ-კალამი იიღო. კალამი ვერ აღმოჩნდა: დაღვა და უცნობის ხელში ქილალდას ფხაჭნა დაიწყო. უცნობმა ირო-რიგიანი, და უცნობის ხელში ქილალდას ფხაჭნა დაიწყო. უცნობმა ირო-ნიულად ჩაიცინა, საწერ-კალამი შემართა და დანარჩენებს მიუბრუნდა:

— ი, ხელავთ, როგორი საწერ-კალამი იქვს ამხელა კოლმეურნეო-ბის ბუღალტერს!

პირველის ხათრით დანარჩენებმაც ირონიულად ჩაიხითხითეს.

ბუღალტერს დამცირება ეწყინა, ვაწითლდა და უცნობს შეეპასუხა:

— ბატონო, რუსთაველს სულაც არ ჰქონდა საწერ-კალამი, მაგრამ ისეთი რამე დაწერა, რვასი წელიწადია მისი წეშლა ვერავინ ვერ მოახერხა!

ბუღალტერისაგან ასეთ პასუხს არავინ მოელოდა და უცნობი დაიბნა. მერე კი გაცეცხლდა.

— შენ, გიგობს ჭიუით ილაპარაკო და შენს საქმეს უკეთ მიხედო!

ბუღალტერმა უჯრიდან პატარა კოლოფი ძმოილო.

— ა, ბატონო, კალამი, ასი ცალია შიგ! ბოდიშს გიხდით, ვინ ბრძან-დებით არც კი ვიცი, მაგრამ რა საჭიროა ასეთი ასოკირქიტობა! მოვიდეს რაიონიდან კომისია და შეამოწმოს, თუ ჩემს საქმეში რაიმე ნაკლი მაქვს, თორემ კალმისტარზე კალმის წამოგებაზე ადვილი რალა! — თქვა და გატეხილი კალამი იქვე გამოცვალა.

უცნობმა მხლებლებს გადახედა და ბუღალტერს უთხრა:

— როგორ გეტყობა, რომ კაი კაცი არა ხარ!

და მერე მნიშვნელოვნად დაუმატა:

— გამოგზავნიან რაიონიდან კომისიას, შეგამოწმებენ!

მერე თავმჯდომარე იყითხა და პასუხი რომ მიიღო, ძირს ჩავიდა. იქ მსუბუქი მანქანა უცდიდა. უცნობს მხლებლებიც გაჰყვნენ.

თურმე, ესენი სწორედ რაიონიდან იყვნენ. ის კაცი, კალამი რომ და-იწუნა, რაიონში ახლადჩამოსული რაიკომის მდივანი მახათაძე იყო.

სოლომონი ძლიერ შეწუხდა ამ კონფლიქტის გამო, მაგრამ რა უნდა ექნა.

სამი დღის შემდეგ მართლაც მოვიდა კომისია და... „საკოლმეურნეო აღრიცხვაში გარღვევებისათვის“ ნანას მამა, ბუღალტერი სოლომონი სა-მუშაოდან მოიხსნა.

სამ თვეს არ ჰყავდა კოლმეურნეობას ბუღალტერი, ხოლო სამი თვეს შემდეგ რაიონიდან გამოგზავნეს ახალგაზრდა კაცი ქიშვარდი. მან მთლად არია ყველაფერი და ორი თვეს შემდეგ გაათავისუფლეს. მესამე ბუღალ-

ტერი ერთი თვის შემდეგ თვითონ წავიდა და იმ წელიწადს კოლმერი ჩამ
ბამ ექვსი ბუღალტერი გამოიცვალა.

სოლომონი ბედს შეეგუა, — გატეხილმა კალამმა მიმსხვერის სახე
ხუმრობდა და კოლმეურნეობაში მუშაობდა.

ერთ დღეს რაიკომის მეორე მდივანმა სოლომონი ყანაში რომ ნახა,
გამოელაპარაკა და შეწუხდა.

ბუღალტერები ისედაც არა გვყავს და ასეთ მცოდნე კაცს ყანაში კი
ვაცლენთო.

— არა უშავს, ბატონო, — უთხრა სოლომონმა, — მე თავს კარგად
ვგრძნობ. არ გამიფლანგავს, არ მომიპარავს და თუ ჩემი მუშაობა ვინმეს
არ მოეწონა. რა ვუყოთ, ალბათ, უკეთესები იმუშავებენ.

— ხვალ, რაიკომში ჩამოდი, მე პირადად მოველაპარაკები მახათა-
ძეს, — უთხრა მეორე მდივანმა და წავიდა.

მაგრამ სოლომონი მახათაძემ არ მიიღო, პირიქით, მეორე მდივანს
უსაყვედურა, კადრების შერჩევაში სათანადო სიტხიზლეს ვერ იჩენ.

სოლომონი ამას კიდეც ელოდა. რაიკომის მეორე მდივანს ყურადღე-
ბისათვის მაღლობა გადაუხადა და გარეთ გამოვიდა. მაშინ მანქანები არ
იყო და ცხრა კილომეტრი ფეხით უნდა გამოევლო. სანამ წამოვიდოდა, სა-
სადიღოში შეიარა.

— ჩაის მეტი არაფერი გვაძეს! — უთხრა ოფიციანტმა.

— ჩაი რა ჭირად მინდა! — ჩაილაპარაკა მოშიებულმა სოლომონმა,

— ყველი და პური მაიც არა გაქვთ?

— კი, ბატონო! — მიუგო ქალმა.

— ჰოდა, მომიტანეთ. არ მიყვარს ეს ჩაი და რა ვქნა!

მესამე დღეს სოლომონი მოულოდნელად გამოიძახეს.

ყოფილ ბუღალტერს იმედი მიეცა, — მდივანი არ ყოფილა ცუდი
კაცი, ალბათ, მოლბა და სამუშაოზე უნდა დამაბრუნოს.

სამი საათის ლოდინის შემდეგ სოლომონი გახარებული შევიდა მა-
ხათაძესთან. მაგრამ შეხედა თუ არა მდივანს, გუნდება წაუსდა. გაპრიალე-
ბული და გამოკომუნივებული მახათაძე თავჩალუნული იჯდა და თითქოს
რაღაცას კითხულობდა.

სოლომონისათვის არც კი შეუხედავს.

სოლომონი ჯერ გაქვავებული იდგა. მერე იფიქრა, იქნებ მდივანი
ვერ მხედავსო და ჩაახველა.

მდივანმა თავი აიღო, სოლომონს მზერა მიაპყრო და კბილებში
გამოსცრა:

— გაგიწყრა ხომ გამჩენი ღმერთი!

სოლომონი შეკრთა. მოულოდნელობისაგან გაშრა. ახლა იგი მდივ-
ნისაგან სულ სხვა სიტყვას ელოდა.

მახათაძემ ცივად განაგრძო:



— გახსოვს, რომ გითხარი, გეტყობა კაი კაცი არა მაშინვე შეგიცანა?!

— რაშია საქმე, ბატონო? — გაბედა სოლომონმა.

— საქმე იმაშია, მოქალაქევ, რომ შენ პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერი ხარ! — იყვირა მახათაძემ და მავიდას მუშტი ფრთხილად დააჭირა, ხელი არ მეტკინოსო.

სოლომონმა იფიქრა, ხუმრობსო და გაეღიმა.

მახათაძე გაცოფდა.

— გეუბნები კონტრრევოლუციონერი ხარ-მეთქი და იცინი კიდეც!

— ახლა უფრო გამეტებით დაპყრა მუშტი მავიდას.

სოლომონი გონს მოვიდა. მიხვდა: ცუდად იყო საქმე.

— კონტრრევოლუციონერობა რა შეაშია და ძველი რევოლუციონერის შვილი კი ვარ! — დინჯად უპასუხა სოლომონმა.

მახათაძე წამით ჩაფიქრდა, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია.

— შედიხარ სასადილოში და ლაყბობს: ჩაი არ მიყვარს, ბოლშევიკების მოყვანილი ჩაის დალევას მირჩევნია შიმშილით მოვკვდეო!

სოლომონი მთლად გაფიტრდა.

— ჴო, რა იფიქრე? გევონა, ვერ გავიგებდით სად რას ლაყბობ, არა?!

— ნიშნის მოგებით უთხრა მახათაძემ, — ჩვენ ყველაფერი ვიცით!

— არა, თქვენ ყველაფერი არ იცით, პატივცემულო, — დაიწყო შეწუხებულმა, — მე ვთქვი, ჩაი არ მიყვარს-მეთქი და მართლაც არ მიყვარს, მაგრამ რა შეაშია აქ ბოლშევიკების მოყვანილი ჩაი?! ანდა ვინაა ეს ბოლშევიკები, ვისი მოყვანილია ეს ჩაი?! ეს განა ჩემი ცოლისა და ჩემი მეზობლების მოყვანილი არა? ასე როგორ ვიტყოდი?! მე ჩაი სასმელად არ მიყვარს-მეთქი, თორებ სამი ჰექტარი პლანტაცია ჩემი ხელით მაქვს გაშენებული. შეგიძლიათ იკითხოთ და გაიგოთ!

მახათაძემ ავი თვალით გამოიხდა.

— ვერა, თავს ვერ დაიძრენ, ხომ იცი, რა დროა?! — ისე მშვიდად და ცივად თქვა, თითქოს მის წინ ვიღაც დიდი დამნაშავე მდგარიყოს.

მაგრამ სოლომონი ისევ გონს მოვიდა.

— დრო მშვენიერია, ბატონო, და თავის დასაძრენიც არაფერი არ მჭირს! — უთხრა და წამოვიდა.

— წადი, წადი, მაგრამ იცოდე, მოვიცლით შენთვის! — შეპირდა მახათაძე.

ორი კვირის შემდეგ, ცუდი სახელით მონათლული სოლომონი მახათაძის განკარგულებით წაიყვანეს და ახლა ციმბირიდან გზავნიდა წერილს..

აი, ეს თავგადასავალი იცოდა ვალიკომ.

ვალიკომ იცოდა, ნანა როგორ წუხდა, როგორ მტკიცნეულად გიცდიდა მამის დაშორებას.

ერთ დღეს ერთმა თანაკლასელმა გოგომ წასძიხა: შენ ასეთი დღეზე
თი კაცის ქალიშვილი ხარო. ზა ნანა მთელ იმ კვირას ტიროდა. უკრაველები
ტიროდა, რადგან ამხანაგისაგან ასეთ სიტყვას არ მოელოდა. შესლილობება
მერე უვალის ეჭვის თვალით უყურებდა.

და ერთხელ, გზაზე ვალიკო მეტად თავდაჭერილად, თითქოს ცივად
რომ მიესალმა, ნანას მაშინვე გაახსენდა მისი ამხანაგის სიტყვები და გუ-
ლი შეეკუშშა.

შემდეგ ვალიკო უფრო გულთბილად ხვდებოდა. ნანა ხანდახან პი-
ლეც ამჩნევდა: ხალხში ჩუმად ზვერავდა ვალიკო, მაგრამ სიტყვა რომ ვერ
გაებედა, ეს მაინც აფიქრებდა და ხანდახან აეჭვებდა კიდეც.

და სწორედ ახლა, როცა მის წინ ომში მიმავალი ახალგაზრდა კაცი
იდგა და თითქოს კიდეც ინანიებდა ქალიშვილის მიმართ იმ გულგრილ
დამჯიდებულებას, ნანას უნდოდა ეთქვა: ხომ არ გეშინოდა, მაგრავ
ახლა ეს ძალზე უადგილო იქნებოდა და ქალიშვილმა შესანიშნავად მოა-
ხრხა თავის დაჭერა.

ვალიკო თითქოს უმალ მიუხვდა და ხელად მამის ამბავი ჰქითხა.

ნანამ გაიგო, რისთვისაც მოიკითხეს მამის წერილი და გაჩუმდა, არ
უვასუხა.

მაგრამ უკეთესი ისეთი სიტყვა იპოვა, რომელიც ომში მიმავალ ვაკ-
კაცს წამლად და ფარად გაჟყვებოდა.

— შენ არაფერი გითქვამს, მაგრამ მე მაინც ვიცოდი, გულში რასაც
ფიქრობდი!

ვალიკოს გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

— რა მექნა, თერთმეტი წლით უმცროსი ხარ ჩემზე! — თავი იმარ-
თლა ვალიკომ, ვითომ მართლაც ეს იყო მიზეზი.

— ამიტომ ვატარა გეგონე? — ღიმილით უთხრა ნანამ და მერე და-
ლიქრდა: ასეთი საუბარი იქნებ ძალზე გაბედულიაო. თავისმა გამბედაო-
ბამ ნანა გააკვირვა, ვალიკო კი დაალონა.

— არა, ვატარა როდი მეგონე. — დაიწყო მან, — ისიც კარგად ვი-
ცოდი, რა კვეიანი და კარგი გოგო ხარ, მაგრამ სათქმელი დროზე მაინც
ვერ გითხარი. შენ მართალი ხარ, მამაქემია ცოდვა. ერთი შვილი წავიდა,
რამდენი არ დაუტოვა, მეორე მიდის, არც ის უტოვებს, ერთადერთი ქა-
ლიშვილი ჰყავდა, ისიც ფრონტზეა.

ნანა უცებ შეცდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სწრაფადც გადა-
იფიქრა.

— რა კარგია. დღეს რომ მარტოდ გნახე! — თქვა ვალიკომ.

— არაა კარგი. შეგეძლო, შინ ცოლი დაგეტოვებინა და ისე წასული-
ყავი!

ვალიკო მთლიან დაბნეა ქალიშვილის ასეთმა პირდაპირობაში უფრო ზოგადი მშენებელი ჰერი კატებ ვაჟა ცალი ნაწარები და ზხლური მისგან ასეთ სიტყვებს ისმენდა, ვალიკო თავს ბეჭნერად, უძრავი გამოსახული ბულ გმირად თვლიდა.

— ვაცი, კეთილი ხარ. — უთხრა ქალიშვილი, — ახლა არ გინდა დარღვეონ გამატანო და ასე ამიტომ მეტყვები.

— შენ როგორც გრძნა, ისე დაიჭერე, — თქვა ნაწარი და თავი დახარა, — მე კი მართალს გეუბნები.

— დავიშერებ... — ვალიკოს ხმა აღარ ეყო, — მემახსოვრები, ნანა... წერილებსაც მოგწერ, შენც მომწერე. მა წიფლის ფოთლები ჩვენი საუბრის მოწმე იქნება. შეგიძლია ზამელოდო!

ნანა ხმას არ იღებდა, გაონებული იღგა.

— მოდი ჩემს გასაცილებლად, მე ახლა წავალ, ამბროსი უნდა ვნახო, აუცილებელი საჭმები მაქვს. შერე გადამავიწყდება.

ნანა გამოერკვა, ვალიკოს ამბროსის ნახვა რომ უნდოდა, წამით ამან შეაშინა.

თუმცა, ამბროსი ხომ არაფერს ეტყვის, — გაიფიქრა.

მარც სიცრტხილე ამგობინა.

— ამბროსის ახლა იქ ვერ ნახავ.

— აუცილებლად უნდა ვნახო.

— მე კი ვიცი, იქ არ დაგვეცდება, ამ ნახვარი საათის წინ იქიდან მოდიოდა. — იცრუა ნანამ, — ცოტაზანს კიდევ დარჩი ჩემთან, ამბროსი აქ გამოივლის.

ვალიკოს გაეცინა, გაუხარდა.

— ვეღარ მშორდები, ხომ?

— ალბათ, — სევდიანად გაიღიმა გოგომ.

— ჰო, წაველი, აბა. — დაიჩემა ვალიკომ. — სათქმელი მაქვს, მერე იქნებ გადამავიწყდეს.

— მითხარი და შენ რომ დაგავიწყდეს, მე ვეტყვი.

— შენ ვერ ეტყვი, კაცების სალაპარაკო სხვა არის!

— იქ ვერ ნახავ-მეთქი, თორემ წადი. იქ არ არის. — კვლავ იცრუა ნანამ, — თუმცა იცოდა, სწორედ იქეთ წავიდა ამბროსი.

— ვსინჯავ მანც, ზერ დრო მაქვს, — ვალიკომ საათა დახედა, — ჰო, წაველი.

ნანამ აღარაფერი თქვა, რაფი თავი დაირწმუნა, რომ ამბროსი ახლა ეთერის ამბავს ვალიკოს არ ეტყოდა.

ვალიკო წავილა. ნანა ჩამოგდა ისევ და თავი კვლავ ფიქრებს მისცა.

ალბათ ჰქონდა საფიქრალი.

მაგრამ პლანტაციაში ჩაის საკრეფად მოსულს ახლა გაახსენდა, მარი-

ნესთან რომ იყო მოლაპარაკებული, — ვალიკოსათვის საგზაოდ გვეჩენია ზაფებინათ. მარაინე შინ აღრე წავიდა, თავი სტკიოდა. ნანამ იციქია, ზაფები გადა, წყალს მაინც მიღუტა, დაევეხმარებით.

წამოდგა და წასასცლელად მოეწვადა, რომ უცებ შინ ნაბდიანი კაცი ეტუზა.

— ვამე, ნება! — ცუვარა მოულოდნელობისაგან შემკრთალმა და განზე გახტა.

— შეჩერდი! — დაიძახა ნაბდიანმა.

— ოჟ, მამუკა, შე წყეულო, როგორ შემაშინე!

— არც მიფიქრია! — ცავად თევა ბიჭმა.

ნანა მოეფერა. თვეზე მეტი გასულიყო, რაც არ ენახა. მონატრებოდა.

— როდის ჩამოდი, ბიჭო, როდის? როგორ ხარ? — ტკბილად ჰკითხა. მამუკამ შორს დაიჭირა ნანას ლერსი.

— დაყვავებით ნუ შელაპარაკები, მძულს პირფერობა!

— რა იყო, ბიჭო? — გაოცდა ნანა.

— არ მიყვარს ორპირი ხალხი! — გაბზარული ხმით თქვა მამუკამ. ნანა გაბრაზდა.

— რა გრევს, ბიჭო, მითხარი, რა ჭკუაზე ხარ!

მამუკამ სიტყვა ბანზე აუგდო.

— რაო, რა გითხრა, რას შეგვიტრდა?

— ეგ ვინ? — გაიკვირვა ნანამ.

მამუკამ ღრმად ამინისუნთქა, ამოიგმინა.

— თქვენი ლაპარაკი მარტო წიფლის ფოთლებს როდი ესმოდა, ზოგი მეც გავიგონე.

ნანას თითქოს ცევი წყალი გალასხესო, შეცბა, მიხვდა რაშიაც იყო საქმე. მავრამ მამუკას ბავშვად თვლიდა და მკაცრად არ მოეპყრა, გული არ ატკინა. თავზე ხელი გადაუსვე, სცადა დაემშვიდებინა.

— რომ გადაგრია, შე სულელო ბავშვო?

მამუკა აფეთქდა.

— ჰო, ახლა ვარ ბავშვი, არა? შწყემსად რომ მგზავნიდით, მაშინ კაცი ვიყავი! — რაღაცის გამიჯ დიდად გაწმილებული კაციგით თქვა ბიჭმა და მერე მუქარით დაპირა. — აში მე ვიცი, რასაც ვიზამ!

ნანამ იცოდა, ამ შარავზაზე ჩხუბი არ ღირდა და ეშმაკობა იხმარა.

— მოიცა, არ გრცხვენია? — უთხრა ალელვებულს, — დეში მიმავალი კაცისათვის აბა რა უნდა მეტვა? მშვიდობით დაბრუნდი-მეტქი, ვუთხარი და ამისათვის გრუდები?

მამუკა თითქოს ახლა გამოფხიზლდაო, ნანას ყურადღებით მიაჩერდა.

ნანა მიხვდა, — მოზეერს რქით აბამდა და განაგრძო:

— რას იტყვის ხალხი? — სირცხვილში აგდებდა ნანა ბიჭე,  კაცი რას იტყვის, ამას რომ გაიგებს? არ იტყვიან, ვაჟკაცი გვეურნით ჯუჭუ
სულმდაბალი, პატარა, ლაჩარი ყოფილა? რა დროს ჩვენი ჩხერიში გრძელ
მტერი კარზეა მომდგარი. კაცი იმ ქარცეცხლში მიღის და შენ ახლა ხელი
გამოიღე?!

მამუკა მოთვინიერდა, მოლბა. გაიხარა კიდეც.

— კარგი, კარგი, — შეეხვეწა ნანას, — მე ამდენი არ მიუიქრია.

— ის კი არა, — აღარ ეშვებოდა ახლა ნანა, — შენ უფრო ვაჟკაცუ-
რად უნდა მოიქცე, უნდა გააცილო და გაამხნევო, მხარში უნდა ამოუღვე.

— შევცდი, შევცდი... შენ ანგელოზი ხარ, ნანა! — სიხარულით
აღარ იყო ბიჭე.

— მე რომ მომაშურე, დედაშენი არ გენატრება? წამოდი შინ.

მამუკა მთლად დაიშაქრა.

— მე სახსოვრად დათვის ტყავი ჩამოგიტანე, — გაუბედავად უთხრა.

— რად მინდა, ბიჭო, დათვის ტყავი?

— ბავშვი რომ გეყოლება, ამ ტყავზე დააგორებ! — უთხრა და გახ-
ვიული ტყავი წინ დაუდო.

ნანა დაიბნა. აღარ იცოდა რა ეთქვა.

— ოჲ, შენ რა გითხარი! — ჩიიჩურჩულა ბოლოს და ადგილზე წრია-
ლი დაიწყო.

უცებ ღობეზე ვალიკოს ზურგჩანთა შენიშნა.

— შეხედე, ვალიკოს ჩანთა დარჩენია. — თქვა მამუკას ყურადღების
მისაპყრობად.

— დარჩენია თუ დაუტოვებია?

— დარჩენია. იქნებ სჭირდებოდა რამეზე.

— წავუღებ, თუ მეტყვი.

— კარგს იზამ. მიუტანე ვალიკოს ეს ჩანთა და აბა შენ იცი. როგორ
ვაჟკაცურად მოიქცევი. ამ ტყავისათვის მადლობელი ვარ.

ნანა წავიდა. მიღიოდა და მიქვენდა დათვის ტყავი.

მიღიოდა და თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა, მაგრამ ერთ რამეს
გარკვევით გრძნობდა: ეს დათვის ტყავი, ამ ჭაბუქმა ცხრა მთას იქედან
რომ ჩამოტანა და უსახსოვრა, ისე მძიმე იყო. თითქოს ტყავი კი არა,
ნამდვილი, ცოცხალი მურა დათვი ყოფილიყოს.

მამუკამ ღობეში ჩაყიდებული ჩანთა სიფრთხილით ამოილო და გზას
გახედა.

ვალიკო აქეთ მოდიოდა.

ჩანდა, ჩაფიქრებული მოდიოდა. მამუკას ვერ ხედავდა.

მამუკამ ჩანთა ისევ ღობის სარზე ჩამოჰკიდა და ვალიკოს შესახვედ-
რად გაემართა.

ფეხის ხმაზე ვალიკო შედგა, მამუკას დანახვა გაუხარდა, მისკვენ წარმოვიდა.

— გამარჯობა, ძმაო ვალიკო! — დაასწრო მამუკამ.

ვალიკო მიხვდა: სიტყვა „ძმაო“ იმას ნიშნავდა, რომ მას კაცი ელა-პარაკებოდა.

— ა. მამუკას გაუმარჯოს... რავა ფირალივით გამოწყობილხარ, ბიჭო!

— ღიმილით მიეგება ვალიკო.

— ტყეში გამგზავნე და ფირალს დავემსგავსე. — იხუმრა მამუკამ და გადაეხვია. — მიღიხარ, ვალიკო, ხომ?

ამ ხმაში ოდნავი სევდაც იგრძნობოდა.

— ჩივდივარ, ჩემო მამუკა, მივდივარ. — უხალისოდ თქვა ვალიკო და ლობეზე ჩანთას მიწვდა. — როდის ჩამოდით, როგორ ხართ?

— ახლა ჩამოვედი, — უთხრა ბიჭმა, — კარგად ვართ, არა გვიშავს... ერთი თვეება არ მინახვხარ და ასე მალე რომ მოგვენატრე, მერე რაღა იქნება.

— თქვენ კარგად იყავით, ჩემო მამუკა, და მონატრებას როგორმე გავუძლებთ. — ვალიკომ ჯიბიდან ფართო ცხვირსახოცი ამოილო, შუბლებზე აული შეიშრო. საკმაოდ ცხელოდა უკვე. მამუკამაც ნაბადი მოკეცა და ხელში დაიჭირა.

წიფლის ძირში, ჩრდილში შეჩერდნენ.

— სხვა როგორაა საქმები, ფერმა როგორაა?

მამუკას ენაზე ცხვარიაშვილის ამბავი დაადგა, მაგრამ თავი შეიკავა, პირველი რაღა მე ვთქვა, თევდორე მოვა და ის იტყვისო.

— ცველაფერი კარგადაა, ჩემო ძმაო, — უთხრა მამუკამ, — ახლა სადაც მე ვიყავი, საქმე ცუდად წავიდოდა?

— აბა, ესა თქვი შენ! — დაუდასტურა ვალიკომ. — მამაჩემი სადაა, როგორაა?

— უკან დავტოვე. შენ კანტორაში ეგულებოდი. კარგადაა, მოვა სადაცა. ჩამოვჭდეთ აგერ, ვილაპარაკოთ. — უთხრა და წიფლის ძირში ნაბადი მიაფინა.

— ჩამოვჭდეთ. — დაეთანხმა ვალიკოც.

— ჰო, ფერმა დიდებულადაა, — განაგრძო ბიჭმა. — საჭონელი ბლავის და ქართველი მშენებორად. როგორი მწყემსები ვყავდით, ცუდად როგორ იქნებოდა!

— ცოჩალ, ბიჭო, ყოჩალ. დავაჟკაცებული მეჩვენები.

— ჰაერია გადასარევი, კაცს თურმე ჭიჭაც ემატება.

— როგორ არა, ძალიან გეტყობა.

მამუკა ფეხებთან დადებული ხურჯინის გახსნას შეუდგა.

— რა გაქცეს შიგ?



ეროვნული

- შენს გასაცილებლად პატარა პურ-მარილი ხომ უნდა მოვაწყოთ
— ღიმილით თქვა ბიჭია და ხურჭინი გახსნა.
- ხორცი?! — იყვირა ვალიკომ. — დამლუპეთ კაცი, ძრამისადაცა
ლით, ხომ?
- რისი ძროხა, კაცო? დათვი დავკალით!
ვალიკო ხორცის დააკვირდა.
- ხუმრობ, მამუკა?
- ვერ ხედავ?
- დათვი ეინ მოჰქლა, ბიჭო?
- ვინ მოჰქლავდა ჩემს მეტი?
- მართლა თუ შენ მოჰქალი, როვორ შეპტებე, შე მამავალლო! რომ
შეეჭამე, რა უნდა გვეთქვა!
- მამუკას გაელიმა.
- მაგაზე ადვილი რაღა იყო, იტყოდით, დათვმა დიდი ზარალი
მოგვაყენაო.
- რა მსუქანი ყოფილა, ეს შეჩვენებული. — თქვა ვალიკომ და
დათვის ხორცი აიღო.
- რატომ არ გასუქდება, ძროხას მიირთმევს, ვისია არ კითხულობს,
და ქია არხეინად. მარა, იცოცხლე, წავამშარე!
- არ შეგვშინდა?
- შემეშინდა რომელია! დიდი რიხით ჩავუსაფრდი, მავრამ რომ
გამოჩნდა, კინაღამ წავხდი კაძახი. შენთან დიდი ბოდიში და... ორ დღეს
ფაღარათი მქონდა.
- ჰო, დაგწყვევლის ღმერთი! — ახარხარდა ვალიკო, — მართლა
რომ გქონდა, არ იტყოდი. ფერმასთან ახლოს მოვიდა?
- ახლოსო? — გაიკვირვა მამუკამ, — თუ აგითვალწუნა სახლში არ
შემოვა? რომ გამოჩნდა, ხელში თოფი ამიცახცახდა, მაგრამ უკან რომ
დამეხია, მერე დაგვაბნიდა, იტყოდა, ფერმას პატრონი არ ჰყოლიაო,
და ვესროლე. ნეტა ერთი ამოსულიყავი, გენახა, რა კარგია მთა!
- ვალიკომ მამედ ამოისუნთქა.
- ეეჲ, მე როგორ ამოვიდოდი იმ სიმაღლეზე, ბიჭო?
- როგორა ხარ, მართლა, ჯანმრთელობა როგორი გაქვს? — ჰკითხა
მამუკამ მოწიწებით.
- მთლად მამაშენი ხარ, ბიჭო.. მოყვასი, კეთილი. ხომ იცი, მე და
მამაშენი როგორი მეგობრები ვიყავით?
- როგორ არა, კაცო! — თავი დახარა ბიჭმა.
- ჰოდა, ახლა მეც მივდივარ, — დაიწყო ვალიკომ, — სოფელი ჭრე-
ლი ყოფილა, ჩემო მამუკა. ოცდასამი წლის ვიყავი, თავშედომარედ რომ

ამირჩიეს. მას მერე რამდენი კარგი გამიკეთებია ამ სოფლისათვის, რომელიც
ნი ძილი და მოსვენება დამიკარგავს. ჩემსახუთე უფრო სხვის საჭიროებულობა
მიზრუნია, მაგრამ ომი რომ დაიწყო და ფრონტზე ვერ წავედარი მისცავს
თვალში ხელად დავპატარავდი...

მამუკა უსმენდა ყურადღებით, თანაგრძნობით. მერე სიტყვა გაა-
წევატინა.

— ალბათ, გეჩვენება ასე, თორემ შენ ყველას უყვარხარ. ახლა რომ
მიღიასარ, ჩვენი თავმჯდომარე ვინ იქნება?

— სოფელი უპატრონოდ არ დარჩება, მამუკა. ჩვენი ამბროსი აგერ-
არაა?

— ამბროსი? მერე სკოლა?

— ამბროსი სკოლასაც გაუძლვება და კოლმეურნეობასაც მოუვლის-
აბა, რა ვენათ, ომია, ჩემო კარგო!

მამუკა წამით ჩაფიქრდა.

— მერე, ბერიკაცი ცოდვა არაა?

— თქვენ აქა ხართ და მხარში ამოუღებით. სხვა ბერიკაცებიც შინ-
არიან... ბაჭო, მამაჩემი ცუდად ხომ არაა?

— ცუდად არაა, მაგრამ თევდორე ძალიან გულდარდიანი ყოფილა-
დღისით ვერ შეატყობდი და ღამით სულ ბორგავდა, ძილში ეთერის ახსე-
ნებდა, ეძახდა ეფერებოდა.

ვალიკოს თვალზე ცრემლი მოადგა.

— მამაჩემს თქვენი იმედით ვტოვებ, მამუკა.

ეს სიტყვა ისე იყო ნათქვამი, რომ მამუკამ იგრძნო — ვალიკო ახლა-
მართლაც ისე ელაპარაკებოდა, როგორც შორს მიმავალი ტოლი ტოლ-
დაუბარებს რაიმეს.

მამუკას თითქოს ასაკი მოემატა, უფრო დადინჯდა, სახეზე საჭმიანი
სიმშეიდე გამოიხატა.

— რად უნდა ლაპარაკი, თევდორეს მოვუვლით. — მან უკვე აღარ
თქვა „თევდორე ბაბუა“. მერე კიდევ ჩაფიქრდა და განაგრძო: ნანაც
აგერ არაა?

— ნანა?! — შეცბა ვალიკო.

— ჰო, ნანა... მე ყველაფერი ვიცი! — თქვა მან და უკვე აღარ იცოდა,
ამას გულწრფელად ლაპარაკობდა თუ ნანას დანაბარებს ასრულებდა. თქვა-
და უნებლიერ სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

— რა ვიციო, ბიჭო? — გაიკვირვა ვალიკომ.

— შენ ნანას უყვარხარ! — გაუბედა ბიჭმა.

ახლა ამისი თქმა დიდი გმირობა იყო.

ვალიკო ისეთ უხერხულობაში აღმოჩნდა, ადგილიდან წამოიჭრა.

— რა თქვი, ბიჭო, ეს! — ყრუდ აღმოხდა.

— რა იყო, გეწყინა? — გაუხარდა ბიჭე.

ვალიკო ჩაფიქრდა.

— არც გამიხარდა. — ჩუმად თქვა.

მამუკამ იგრძნო, ახლა უკვე აღარ ელაპარაკებოდა ვალიკო, როგორც ტოლი ტოლს, აქ მამუკა უკვე ბავშვი იყო. იგრძნო ეს და ეწყინა. თანაც გაიფიქრა, იქნება ეს არ უნდა მეთქვაო.

— ნუ გეშინია... სანამ მე აქა ვარ, ნანას თვალში ვერავინ ჩახედავს... იშედი გქონდეს! — თქვა ბიჭმა და თვითონაც გაუკვირდა, როგორ ან რა-ტომ თქვა ეს.

მამუკა ახლა უკვე აღარ იყო ბავშვი, ახლა როგორც საკუთარ, ასევე ვალიკოს თვალშიაც ამაღლებული, დაკაცებული ჩანდა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ მართლაც დავაუკაცებულხარ, ბიჭო! — მხარზე ხელი დაჭერა აფორიაქებულმა ვალიკომ.

მამუკამ გზას გახედა.

— ჰოდა, ამ ჩემს დავაუკაცებაში თევდორეც მოვიდა, — იხუმრა მან, შარაზე მომავალი თევდორე რომ დაინახა.

ვალიკოს მამის დანახვაზე გული იუჩუყდა. იცოდა მამამისის ამბავი. უთქმელი კაცი იყო, ყველაფერს გულში ხარშავდა. მაგრამ რა უზარმაზარი ქვაბი უნდა დგმოდა მკერდში ამ გამხმარ ბერიკაცს, რომ ყველაფერი გა-დაეხარშა!

თევდორე მოახლოვდა. ვალიკო რომ დაინახა, თვალები გაუბრწყინ-და.

არა, არ ტიროდნენ ახლა ეს თვალები. ამ თვალებში გამოკრთოდა ერ-იმანეთზე დაღულებული სევდა და სიხარული. მაგრამ მეტი წილი სევდა ირკვლებოდა.

ამ სევდას ღრმა საფუძველიც ჰქონდა.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება, რომ კეთილი და გამორჩეული კაცი, მთელ საზოგადოებას რომ უყვარს და პატივისცემით ეპყრობა. პირად ცხოვრებაში ბედნიერი არ არის.

თევდორეც ერთი ასეთობანი იყო.

ახალგაზრდობაში, ერთმა ბრძა შემთხვევამ მას დიდი უბედურება ღა-ტება თავს.

ერთ ავღრიან დღეს თევდორეს ახალგაზრდა მეუღლეს სკოლიდან პატარა ბიჭი მოჰყავდა. ჩვეულებრივად, ეს ბიჭი შინ სხვა ბავშვებთან ერ-თად ბრუნდებოდა, მაგრამ იმ დღეს საშინელი წვიმია მოვიდა და, რადგან ბავშვს ღელე უნდა გამოევლო, დედა მის შესახვედრად წავიდა. ქეთობას, ზურგზე წამოკიდებული ბიჭი ღელეზე გადებულ საცალფეხო ხიდზე რომ გამოჰყავდა, ხიდის სახელურს უცებ თავშალი წამოელო და დედა-შვილი

წყალში მოიქნია. უზარმაშარ სიპ ქვაზე თავით დაცემულმა, გრძნობა დაჭარგა და... წყალში ჩავარდნენ. ღელე გაგიუბული ჟავუაზე შვებმა მორთეს ყვირილი, მაგრამ სანამ ვინმე მშველელი გამოიწყებოდა, უბედურება კი დატრიალდა.

მას შემდეგ დიდი ხანი გასულიყო, მაგრამ ეს ამბავი ყველამ იცოდა და თევდორეს ყველა თანაგრძნობით ეკიდებოდა. თუმცა გული ხომ არ გამო-ეცვლებოდა და ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ხშირად ხალხისაგან განცალ-კევდებოდა, მარტოდ დაჯდებოდა და თავისთვის ფიქრობდა.

იმ უბედურების მერე თევდორეს ხელი ჩაქნეული ჰქონდა, მაგრამ მე-ხობლებმა და კეთილისმსურველებმა როგორც იქნა, ცოლი ისევ შერთეს.

დაიწყო თევდორეს ახალი ცხოვრება. შვილები ეყოლა — ორი ვაჟი და ერთი ქალი: ვალიკო, დავითი და ეთერი. მთელ განვლილ უბედურებას იაიტქოს ახალი ოჯახის სიხარულით ივიწყებდა. შვილები თავდავიწყებით უყვარდა, ცოლი გამრჯე, ზრდილი და გამგებიანი ქალი შეხვდა.

ოჯახში ყველამ იცოდა თევდორეს წარსული და ყველა ერიდებოდა და უვლიდა.

მაგრამ თევდორეს ისევ უბედურება დაატყდა თაგს: ცოლი გარდაეცვალა. ეს მაშინ მოხდა, როცა ეთერი ექვსი წლისა იყო. მას შემდეგ ქალი აღარ შეურთავს. ბავშვებს დედინაცვალს აღარ გაფუჩენ, ნეტავ, არასდროს არ შექრონო.

ასე სიმწრით დაზარდა შვილები თევდორემ. მეზობლები და მოკეთეები ყურადღებას და მზრუნველობას არ იკლებდნენ. დაზარდა და კარგი შვილებიც ჰყავდა: ვალიკო ჩაის ტექნიკუმი დაამთავრა, დავითი ინჟინირო გახდა, ეთერი სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდა და ომში იქიდან გაიწვიოს.

შვილები ახარებდა თევდორეს და ამ სიხარულით თითქოს ყველა-ფერს ივიწყებდა.

მაგრამ ხედავდა, ახლა ეს შვილებიც ცეცხლში იყვნენ ჩაყრილი და...

თევდორემ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა, თორემ დღეს აღარც ეთერი ჰყავდა ცოცხალი... სწორედ ის ეთერი, ყველა შვილს რომ ერჩია, ყველაზე მეტად რომ უყვარდა!

აი, ასეთი თევდორე მოდიოდა ახლა შარაზე, მთიდან, კოლმეურნეობის ფერმიდან, ფრონტზე მესამე შვილის გასაცილებლად ჩამოსული.

ახლა ვალიკო იწვოდა ამ მარტოხელა ბერიკაცის ცოდვით და ამ კაცის წინაშე საჟუთრად მისი დანაშაულის გრძნობაც აწუხებდა.

ერთ თვეს მთაში ნამყოფს სულაც არ ჰგავდა თევდორე, იგი თითქოს უფრო გამხდარიყო, მოტეხილიყო.

მოვიდა თუ არა, ვალიკოს მიაშურა, ილიმებოდა, ნაძალადევ მხეობას რჩებდა.

— ჩამოდი ხომ, მამა? — უთხრა ვალიკო, როცა გადაეხვია.

- მე კი ჩამოვედი, მარა შენ მიღიხარ, შვილო!
 - მივდიგარ, მამა, მივდიგარ... რა ვუყოთ მერე?
 - გოგოს ან ბიჭის ამბავი ხომ ვერაფერი დამახვედრე? — იკითხა
- სასოებით.

— ნუ გეშინია, მათი წერილებიც გამოჩნდება, მამა!

ბერიკაცმა ჯერ არაფერი თქვა. მერე აკანკალებული ხელით სათუთუნე ქისა ამოილო და ჩიბუხის გატენვას შეუდგა.

— კაი იმედია, გამოჩნდება! — თავისთვის ჩაილაპარაკა, — ჯერ ერთი, მერე — მეორე, ახლა — მესამე! მე რა უნდა ვქნა ბიჭო?

ვალიკო გაშრა. ვეძლო შესძლონ სანუგეშო სიტყვის თქმა.

— რომ გიძახეთ, ბაბა, ცოლი შეირთეთ-მეტქი, რომ გიძახეთ, ახლა რა ვქნა, ხომ დამიყრულა ოჯახი! — ჩიბუხს ტენიდა და ხელები უკანკალებდა.

— ნუ გეშინია, თევდორე ბაბუა, — ვალიკოს წამოეშველა მამუკა, — ნუ გეშინია, ყველანი დაბოუნდებიან, რომ მალე დამთავრდება.

— რაღა ნუ მეშინია, თავი მოვრტყუო, თუ? — თქვა თევდორემ უა ჩიბუხი კბილებით დაიკირა. აცახცახებული ხელით ტალკვესი ჩამოქირა.

ვალიკომ და მამუკამ შინისაკენ წაიყვანეს თევდორე, გზაში თითქოს დაამშვიდეს.

მერე, ღრმომ რომ მოაწია, გზას კვლავ სოფლის ცენტრისაკენ დაადგნენ.

დღეს სოფელი ომში ახალ ნაკადს მიაცილებდა.

ვერაფრით ვერ დაიჭერებდი, თუ სოფელში მდენი ხალხი ცხოვრობდა. ვასაცილებლად დიდი და პატარა გამოსულიყო. შინ, ალბათ, აკვნის ბავ-შვიც არ დარჩენილა.

მარინეს და ნანას ვალიკოსათვის საგზალი მოემზადებინათ, ხავა-პურები დაეცხოთ, ქათამი მოეხარშათ, ვალიკო არაყს აღარ სვამდა, მაგრამ ჩანთაში ერთი ლიტრა არაყი მაინც ჩაედგათ.

ამჯერად სოფლიდან ოცდაექვსი კაცი მიღიოდა. ისინი სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ. ერთი რუსიც ერია, — კირილე რუსის ბიჭი, ფედია. ფე-დია და მისი და ტანია დიდი ხანია ამ სოფელში იზრდებოდნენ. მათი მა-მა, კირილე, ახლა ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა. ცხენი ჰყავდა ჩაბარებული და მდინარიდან ღროვით სილა და ხრეში დაკქონდა. კირილემ ზოლებიანი გრძელი კოსტიუმის ჩაცმა იცოდა, თმებს სუფთად დაივარუხნიდა და როცა მდინარისაკენ მიღიოდა, ღროვზე სულ წინ იჭდა. ხელში აღვირი ეჭირა.

შინ მიმავალ სკოლის ბავშვებს უხარიდათ, როცა გზაზე კირილეს ცარიელი ღროვი წამოეწეოდა. კირილეს ბავშვები უყვარდა.

— ღრუუ, ღრუუ. ალიოშა! — დაუძახებდა თავის ცხენს, ბავშვებს რომ დაინახავდა და ცხენიც დადგებოდა. ბავშვებმა იცოდნენ, ეს იმისი ნიშანი იყო, რომ კირილე მათ ღროვზე ეპატიუებოდა.

სულ გზაში რომ იყო, კირილე რუსს ყველა იცნობდა.

კირილე, მისი ცოლი და ქალიშვილი ტანია ახლა გამცილებელთა სა-
სახელის იდგნენ. ტანია ჩუმად ტიროდა, ხოლო დედა ფედიას ესვევოდებული მისი მაღლა გაიძახდა: — ოდ. სინოჩეკ, სინოჩეკ მო!

სოფლელებს არასაღროს არ ენახათ ატირებული რუსის ქალი და ახლა
ჟველა დიდი თანაგრძნობით უყურებდა.

საბოლოოდ გამოთხოვების წუთიც დადგა. ამბროსი, თევდორე, ნანა,
მარინე და მამუკა ვალიკოსთან იყვნენ.

კოლმეურნეობის კანტორის წინ „პოლტორკა“ იდგა. მიმავალნი ძარაზე
ავიდნენ და მანქანა უნდა დაძრულიყო, კაბინაში ვალიკოს ჩაჯდომას უც-
დიდნენ.

ვალიკო მანქანის საფეხურზე ავიდა და გამცილებელთა ჯგუფს მიუ-
ძრუნდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აბა, კარგად იყავით, მეზობლებო, მეგობრებო! — დაიწყო ვალი-
კომ, — ჩვენ მივდივართ. თქვენ უნდა იშრომოთ, როგორც შრომობდით.
სოფელს უნდა მოუაროთ. მართალია, ომმა დაგვინგრია ჩვენი მიზნები, პა-
რასისხლიანმა ფაშისტებმა ჩაგვიფუშეს ნორმალური ცხოვრება, მაგრამ ამ-
დენი სისხლი და ცრემლი უკვალოდ არ ჩაივლის, მტერი სასტიკად დაის-
ჭება.

— მტერი კი დაისჭება, მარა... — ამოიგმინეს აქეთ-იქედან აცრემლე-
ბულმა დედებმა.

— თქვენ, ვინც შინ რჩებით, — განაგრძო ვალიკომ, — ახლა უნდა
გამაგრდეთ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი გამარჯვება მარტო ცეცხლის
ხაზე არ იჭედება, რომ აქაც ფრონტია. მხარში ამოუდექით ჩვენს ამბრო-
სის, ამხანაგებო, და გულს ნუ გაიტეთ. შეთანხმებულად იმუშავეთ. ახლა
დაბრუნდით შინ, ცრემლებს ნულარ დამანახვებთ.

ვალიკომ მის წინ მდგარ თევდორეს მალლიდან ხელი მხრებზე დაადო.
თევდორეს მხარი უცახახებდა.

— ამ ბერიკაცს მიმიხედეთ, მეზობლებო! — თქვა ვალიკომ და მანქა-
ნის საფეხურიდან ჩამოვიდა.

— აბა, კარგად იყავი, მამაჩემო, გამაგრდი!

— კარგად იყავი, ჩემო შვილო! — გაპირვებით თქვა თევდორემ, — მე
მაგარი ვარ, ყველაფერს ავიტან, ოლონდ თქვენ იყავით, შვილებო!

მერე ხმა უფრო აუთრთოლდა:

— ბიჭო, იქნებ გოგოს ან ბიჭს გადაეყარო სადმე. თვალი მიმიტანე და
მიმიხედე. ამბავი მაცნობე, გეხვეწები.

ახლა თევდორე ხელით ეფერებოდა შვილს:

— თავს გაუფრთხილდი, იცოდე! სიცოცხლე ძვირფასია. და თუ სიკ-
ვლილი გიშერია, ბედნიერ სიკვდილს გისურვებ, შვილო!



ეს თქვა და რაღაცნაირი ხმა აღმოხდა, ხარის ზმუილს ჰგავდა კუჭულები
ზე ხალხი აქვითინდა.

შვილმა სცადა მამის დამშვიდება.

— ნუ გეშინია, მამა. ყველაფერი კარგად ჩაივლის. — ეუბნებოდა ვა-
ლიკო, — თუმცა თავადაც არ სჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლი-
და.

— ნეტა, მეც თქვენთან მოვდიოდე, ბიჭო. რაღა მინდა შინ!
ვალიკოსთან ამბროსი მივიდა.

— კარგად იყავი, ჩემო ვალიკო, — დაემშვიდობა ამბროსი. — აქაუ-
რობის დარღი ნუ გექნება. თევდორეს ჩვენ მოვუვლით. ყველას გაგვიპი-
რდება, მაგრამ რა უნდა ვქნათ, ომი ომია. ფრთხილად იყავი. წერილები
მოიწერე.

— კარგად იყავი, ვალიკო! — გადაეხვია მარინე.

— კარგად იყავ! — ჩუმად წარმოთქვა ნანამ და ხელი გაუწოდა.

მამუკაშ წამით თავი ჩალუნა. მერე ძალა მოიკრიბა.

— კარგად იყავი, ძმაო! — უთხრა და გადაეხვია.

ვალიკო კვლავ მანქანის საფეხურზე ავიდა.

— ნახვამდის, ნახვამდის, ნახვამდის! — მერე შოფერს მიუპრუნდა: --
აბა, დავიძრათ! — და კაბინაში კი არ შევიდა, ძარაზე ავიდა. — აბა, სიმ-
ღერა, ბიჭებო!

სიმღერის დაწყება ჯერ გაუჭირდათ, მაგრამ...

ხალხს ტანში ურუანტელმა დაუარა.

მანქანა დაიძრა, ჩოჩქოლმა იმატა და მალე მოელი სოფლის სევდა და
სიხარული მოსახვევს მიეფარა.

ჩემი ქალაქის საბალობელი

მიყვარხარ და გხატავ ხატად
ყალმით, ფუნჭით და
გრიფელით...
შენს ბლონდებში დამეფანტა
წლები ჩემი ვარდისფერი.
ნატვრისთვალიც დამეკარგა,
ვეძებე და ვერსად ვნახე:
რა ვენა, ბედი ასე მსჯისა,
ჩემი სულის სავენახევ!
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვე,
არ ვინაღვლებ, ვპოვებ, დიახ...
სვეტს ნათლისას მივეყრდნობი,
სულს მინათებს პოეზია.
მინანავებს ნაზად ჩეროს
პალმა ტალღად მუნ რხეული.
გალობავ და ლოცვავ ჩემო
ღვთის ენით ხარ კურთხეული,
ჩემი სული ამ მზით დათბა

და ქართლის ცა აქ შევიცან.
შენ მიკურთხე ყველა ალქმა
გალობად და წმინდა ფიცად.
იმ გულის ვარ შენთვის მიწყივ
ტლუ ბიჭმა რომ გეამბორა:
ჩემი სული ცისფრად იწვის,
ზოგის — ყორნისფერად ბოლავს,
ფერი ლურჯი, დარბეული,
ჩემი ფიქრის საყანეა,
გაშენებ ღიღ ტაძარივით,
ძველი ფუძე ავყარე და...
ეფერები, თუმც რად გინდა
ჩემი ჩუმი დაყვავება.
შენს თაღს ახალს, ვით
ხელთუქმნელს,
ზღვის ტალღებით გადავფერავ,
მერე ფრთებად ავიტაცებ
ვარსკვლავეთში გასაფრენად.

რატომ მიყვარს ეს ქუჩა?

განა ითქმის ერთ ლექსად?!
და ეს ჩემი ტრიფიალი
შეშურდება ღმერთებსაც.

მე რომ გზნებით თაყვანს ვცემ,
ამ ქუჩაზე დადიან...
აქ უვლია კლდიაშვილს,
აქ უვლია დადიანს.



აქ უვლია აკაკის,
აქ უვლია იაკობს.
აქ უვლია ილიას —
მათი სულის ნათელი
ლაჟვარდებში კიაფობს.
აქ უვლია მოხევეს, —
ჩვენს ღიღ მოჩხუბარიძეს...
მაღლა — მთა დედისა,
დაბლა მამის ბარი ძევს.
რატომ მიყვარს შავი ზღვა?
ო, ბევრი მაქვს სათქმელი...
პოეზიის ტრფიალის
აქ ავინთე სანთელი.

სულ ღიად მაქვს სარკმელი,
აი, მოჩანს კარჩხალი,
აი, მოჩანს რეონულდი,
ავფრინდი და ავღწევდი.

სულ ღიად მაქვს სარკმელი,
ყველგან ვხედავ ყველაფერს,
დახუჭული თვალებით
ყველგან ვხედავ ყველაფერს,
მთაწმინდას და მტკვარს ვხედავ,
ჩარგალს — ლურჯად შენაფერს,
დახუჭული თვალებით
ყველგან ვხედავ ყველაფერს.
ო, ჩემს გულში მხურვალი
ოცნებები შექუჩდა,
და იტყვიან, მგოსანსო,
ეს რა უინი შეუჩნდა?!
რა ვქნა, ვეთაყვანები
ჩემს სავანეს, ჩემს ქუჩას.



ნათება ქლენი

გვერდი 606

ბუხარში ნეკერი ნაპერშელებად ცვილდა, იქვე მთვლემარე ხატულა კატა სიამოვნებისაგან კრუტუნებდა.

ჭიშკარს გაავებული ძალლი მიაწყდა.

— ნეტა ვინ უნდა იყოს ამ ღამით, — წამოდგა ბუხართან მიმჯდარი მოხუცი და კარებისაკენ გაემართა.

— მე გავხედავ ბაბი, — გაეპასუხა გოგონა და ხელსაქმე გვერდზე ვადადო.

— შენ რას გახეალ გარეთ, ათასი ურჩულო დაეხეტება. — მუგუზ-ლით სანათი აანთო და თვითონ გავიდა გარეთ. — რომელი ხარ, — გასძახა მოხუცება სიბნელეში და სანათი მაღლა ასწია.

— გვიან შეგაწუხე მემედ ეფენდი.

— მობრძანდი ასლან-ალა, — შეიპატიუა მოსული მასპინძელმა.

— არა, ძალიან მეჩქარება, სოფელში ქალაქიდან უნდა იყვნენ ამოსულნი, — ხმას დაუწია მოსულმა, — უცხოს თუ მოკრა თვალი, იმ წუთში შეგვატყობინე.

— მოხდა რამე, ასლან-ალა?

— პროკლამაცია ვნახეთ ჯამეზე გაკრული.

— როგორ გათავხედდა ხალხი, — ამოიხვენეშა მასპინძელმა, — ვნახოთ სანამდი მიგვიყვანს აგი ამბავი...

— ვინ იყო ბაბი, — შეეკითხა გოგონა დაფიქრებულ მამას.

— ასლან ეფენდი იყო, ფარა მასესხეო...

— ასლან ეფენდი ფარისთვის შენთან რავა მევიღოდა ბაბი, ამბობენ, სიმდიდრე ყელში ამოსდისო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- შენ რა იცი, — მწყრალად შეაწყვეტინა მოხუცმა.
- ყველა ამბობს და...
- ცეკვა ლაპარაკს მიჩვეულხერ ცავ, რასაც გაიგონებ ყველაფერს თქვა
კი არ უნდა. ვახშამი გამოალაგე, თორებ საცაა მამლები მეორედ იყვლე-
ბენ.
- კარებზე ფრთხილად დააკაცუნეს.
- რა ჯანდაბაა ამ საღამოს, რახათი რომ არ მომცეს, — ბუზღუნით
წამოზგა მოხუცი.
- რას ბრაზობ ბაბი, — შემოალო კარები ჯემალმა, — არ მელოდით
ხომ?
- საიდან გაჩნდი ამ ღამეს, შვილო!
- ნენევ ვინ მოვიდა, — წამოხტა ნაზიმე და ძმას კისერზე ჩამოეკიდა.
- კარგი ცავ, ნუ დამახრჩვე... ისე მშია, ისე... — ხელების ფშვნეტით
მიუკდა ჯემალი ტაბლის.
- ნამგზავრი ხარ, მოგშივრებოდა, — შეეხმიანა მამა.
- ქალაქში ისევ ბუნტობაა თუ დაწყნარდა ყველაფერი, — წამოიწ-
წყო ცოტა ხნის შემდეგ შემედმა.
- რავარც გვესმის ბაბი, აღლვებულ ზღვას ერწამ რა დააწყნარებს.
- მეორ მავით რა იქნება, ალაპის მაღლით მეფეც ძლიერი იქნება და
ჩვენც წყნარად ვიცხოვრებთ.
- ასე წყნარად ევლო ვიცხოვრებთ ბაბი, ნახე ერთი ქალაქში მუშა
რა დღეშია. სოფელში ფხალს მაინც მოხარშავ, ქალაქში რა ქნან...
- მერე და ი ბუნტი მისცემს საჭმელს თუ?
- ყველაფერს მისცემს ბაბი, ყველაფერს.
- იქაც დაიწყეს სირბილი ქალაქელებმა, ასლან-აღა იყო ამ საღამოს
ქ, ქალაქიდან უნდა იყვნენ ამოსული და თუ შეამჩნიო ვინმე, მაცნობელ.
- მერე? — ლუკა ყელში გაეჩხირა ჯემალს.
- მერე არაფერი, საღ ვნახავ მე ვინცხა ქალაქელია, თურმე რაცხა
ქალალდი გაუკრავს ჯამეზე, რაცხა სახელიც თქვა ასლან-აღამ, აღარ მახსოვეს.
- პროკლამაცია ხომ არ უთქვამს.
- ჰო, მგონი მასე თქვა.
- შენთან ვინ გაბეჭავს მოსვლას ბაბი.
- ჰმ, ჩემთან რა ყოფილა. პოლიციის უფროსს სახლზე გაუკრეს თუ-
რჩე.
- შენთან რომ მოვიდეს კაცი, გითხრას ამიზა მსდევენ და დამმალეო...
- ჩემი ხელით ჩავაბარებ მთავრობას, — შეპყარა წარბები მოხუცმა.
- მერე რა იქნება, ერთს ჩაბარებ მეორე მოვა, მეორეს ჩაბარებ —
შესამე...

— აღარ ყოფილა საშველი, — ჩაფიქრდა მემედი. — შენ მამლურ მამა
 ხთან ხომ არ გაქ საქმე, — წარბები შეკყარა მემედმა.

— რას ქვია...

— ჰო, რა ვიცი, იქნება შენც შეგშალეს-მეთქი.
 ჯემალმა დაამთქნარა.

— ჰო, გეძინება და დაწევი, თვარა მამლებმა მეორედ რახანია იყივ-
 ლეს.

— მართლაც დროა, თორებ დილით ვეღარ ავდგები.

— ასე ადრე მიდიხარ თუ?

— ჰო ბაბი, ერთი დღით ამოგირბინეთ, შვებულებას რომ ავიღებ, დი-
 დხანს დავრჩები.

მთვარიანი ღამე იდგა.

ლრმა ძილით ეძინა სოფელს.

მემედ დევაძის ოჯახში გვიან ჩაქრა ჭრაქი.

მყუდროებაში ჭიშკარმა გაიჭრიალა. ჭრიალზე ძალმა შეკყეფა, მე-
 რე აწემუტუნდა და გაჩუმდა.

— რას წკმუტუნებს ნეტაი, — წამოდგა მემედი, ფოსტლებში ფეხები
 გაუყარა და ნელი ნაბიჯით კარები გამოალო, მერე ჯემალს მოუხედა, ხომ არ
 გავაღვიძეო და კარი გაიხურა.

სახლის წინ ლანდს მოპერა თვალი.

— რომელი ხარ მაქ, — მწყრალად შესძახა ლანდს.

— რა იყო კაცო, სტუმარს ასე უნდა დახვედრა? — ლანდი გამოეყო
 სახლის ჩრდილს.

— თუ სტუმარი ხარ, ღოჯის უკან რას იმალები, — შეაწყვეტინა
 მწყრალად მასპინძელმა.

— ჩამოვიარეთ. შევივლით, ვინმე სტუმარი ხომ არ მოსულა-მეთქი.

— სტუმარი ვინ უნდა მყავდეს, სტუმრის რა მოგახსენო და ჯემალი
 ამოვიდა ქალაქიდან.

— მარტოა?

— ჰო, მარტო.

— ბუირუმს! — კარები გამოალო ოჯახის უფროსშა.

— დიდ ბოლიშს გიხდი მემედ ეფენდი, მაგრამ ყველა სახლის გაჩხ-
 რეკა შაქვს ნაბრანები.

— ჯემალ! სტუმარია, გაიღვიძე. — შეანჭლრია მემედმა შვილი.

— რაო? — თავი წამოსწია ჯემალმა.

— გამარჯობა ჯემალ, როდის ამოდი ქალაქიდან.

— გაგიმარჯოს ასლან-ალა, როგორ...

— როდის ამოდი ქალაქიდან-მეთქი.

— ამ სალამოს ალა-ეფენდი.

- ამ საღამოს თუ?..
 — ეს დაკითხვაა?
 — თუნდაც მასე იყოს, — მკვახედ მოსჭრა მოსულმა.
 — ასლან-ალა, ჩემს ოჯახს აგი არ ეკადრება, — ჩაერთა საუბარში მე-
 მედი.
- რას იზამ მემედ ეფენდი, ღრმ შეიცვალა, ვეღარავის ვნდობთ.
 — კასტუმში ეს ვიპოვე ასლანალა, — გამოვიდა მეორე ოთახილან-
 მხლობელი.
- ჯემალი ნახტომისათვის მოემზადა...
 — ლექსების წერა დაიწყე ჭოვ? — ფურცელი გადააბრუნ-გადმოაბ-
 რუნა და სანათთან ახლოს მიიტანა.
 — ხანდახან... — მხრები აიჩეჩა გაკვირვებისაგან ჯემალმა.
 — წავიდეთ, — თვალით ანიშნა მოსულმა მხლობელს.
 — ძან გადამეკიდა ეს ძალლიშვილი, — ჩაიღუდუნა ჯემალმა.
 — მომეცი ჩემი ლექსი, — ოთახში შემოვიდა ნაზიმე. — აპა შენი
 სურათი. მე ვიცი ეს ლენინის სურათია, ვიცი, რომ მაგისთვის დაგიჭერენ.
 ჩვენთან გზის მშენებლობაზე მომუშავე კაცი რომ ცხოვრობდა, იმან მანახა,
 და გამაფრთხილა, არავის უთხრა თორემ დამიჭერენო, ეს ლექსიც იმან
 დამიწერა... აქაც აღარ გვნდობენ... სურათის საფარად კასტუმი აღარ გა-
 მოგადგება.
- როგორ დაქალებულხარ ჩემო დაო, — გულში ჩაიკრა ჯემალმა ნა-
 ზიმე.
- მაპატიე ბაბი, — თავი დახარა მამის წინაშე ჯემალმა ქურდობაში
 დაჭერილი ბალლივით, — მე სულ სხვა გზა ავირჩიე, ამ გზით უნდა ვიარო
 ამიერიდან.
- ფრთხილად იყავი შვილო, ჯერ შენ არ იცი სად გაგიყვანს ეს გზა, —
 თვალებში ჩახედა მემედმა შვილს.
- მაღლობთ ბაბი, ღრმა წავიდე, ცისკარი შემოადგა აჭარის მთებს,
 ცოტაც და გათენდება!..

ლ ტ ი ლ ვ ა

შენ ხარ გულადი,
 შენ ხარ პურალი,
 დასაბამიდან შენზე ვზრუნავდი,
 შენს ქარტეხილებს დავაყურადე
 გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.
 ხელთა გაქვს ჩემი სულის მათარა,
 საითაც გინდა იქით მატარე...
 მე მიყვარს შენი ქოხი პატარა,
 რომელშიც ცხოვრობს კაცი მართალი.
 მე მიყვარს შენი მცხეთაც, მარტვილიც...
 აპრილში ვაზის ცრემლით ავტირდი,
 სიცოცხლის კვირტში მფეთქავ აპრილთან
 შენ სიცოცხლეზე მეტი ღმმპირდი.
 ხელთა გაქვს ჩემი სულის მათარა,
 საითაც გინდა იქით მატარე...
 მაჩვენე მთები პატარ-პატარა,
 დიდ მწვერვალებსაც გადამატარე.
 არწივის ფრთებით გადამაქროლე,
 მომეცი ჯანი ვეფხვის ნაქონი,
 შევარდნის ფრთებით გადამაქროლე
 მაღალი მთების თეთრი ლანქერი,
 უკიდეგანო სივრცე მაჩვენე
 და მე ბობოქარ სურვილს გაჩვენებ,
 რომ ვთქვა ამისთვის ღირდა გაჩენა,
 რომ შევძლო შენი გამოსარჩლება.
 ახლა ვდგავარ და მთა-ველს გავყურებ,
 ოქროს ლაქვარდი გადამახურე...
 ახლა ვდგავარ და მთვარეს გავყურებ,

როგორც ლამაზი ქალის საყურეს.
 ვხედავ ბალახზე ცვარი გამშრალა
 და მე პატარა წიგნი გავშალე.
 მზე ამოსულა წითელ თავშალით
 და მე მომავლის წიგნი გავშალე.
 რომელი ერთი დაგისახელო,
 დაგისახელო რომელი ერთი?!
 ცას ახატია შენი სახელი,
 ცა გააჩინა ბუნებამ შენთვის.
 მე თუ ვარ — შენი გამოისობით,
 მზეს ვეფერები ანგელოსივით,
 ტანზე მაცვია შენი ნისლები,
 შენი დიდებით ვარ შემოსილი.

მპვიდრო მარადისობის

მერცხალივით გული ფრთას შლის — გმადლობთ —
 მეუბნები როცა,
 მზე იღვრება ქართულ ხმაში და ღალადებს როგორც
 ლოცვა-
 გმადლობთ! — მეუბნები როცა, ეს მადლობა შენთან
 ერთად
 ჩემმა დედაენამ მომცა,
 ჩემმა ცამ და ჩემმა ღმერთმა.
 გმადლობთ! —
 ვიღრე სული მიდგას,
 გმადლობთ,
 ვარდზე დილის ცვარო...
 შენი თავი არ მომიკვდეს,
 ჩემი თავი გენაცვალოს.
 გმადლობთ,
 ჩემი სოფლის მადლო,
 გაფოთლილი ვაზის ლერწო,
 შენ თუ არა,
 ღმერთს სიცოცხლე როგორ უნდა შევეხვეწო?
 მადლობა შენ, გუთნისდედავ,
 ორულელა ხარის ქედო,

ჩემო ხალხო, გამრჯე ხალხო,
 დედაენის შემოქმედო.
 ჩემი დედულ-მამულეთის
 ყველა ბუჩქო, ყველა ლოდო,
 შენს წიაღში სანუკვარი ვპოვე, რასაც მოველოდი.
 მადლობა შენ,
 ვისაც გუშინ ორლობეში გაცილებდი.
 შენი შემოხედვა მიყვარს,
 შენი თეთრად გაცინება,
 გმადლობთ, ჩემო დედამიწავ,
 დედაჩემო, მამაჩემო,
 შენმა პურმა დამარჩინა,
 მე ვინ უნდა დავარჩინო.
 მადლობა შენ, არა ერთი,
 ბარე ათი, ბარე ოცი,
 დედაენავ, ჩემო ღმერთო,
 ღმერთის ენით დასალოცო.
 შენი დიდი ლხინის კევრი
 ყოფილიყოს ორულელა,
 „ხორუმი“ და „განდაგანა“
 „ურმული“ და „ოროველა“.
 დედასავით მზრუნველი ხარ,
 მგრძნობიარე, მწყალობელი...
 შენს კილოზე ჭიკჭიკებდეს ყველა ჩიტი მგალობელი.
 შენით...

თუ ვერ მომერია შორეული მებატონე,
 თვალზე ცრემლი მომაშორე,
 განსაცდელში მეპატრონე.
 უფრო მეტად შემიყვარე,
 გულს სევდა არ მიმავარე,
 მარადისი იყოს შენი აკვანი და მეაკვანე.
 არ მენახოს შენი კერი ავთვალთაგან შელახული,
 სხვამ რა იცის, რა განძი გაქვს მთაწმინდაზე შენახული?
 დედავ ჩემო, დედაენავ —
 კოინდარზე დილის ცვარო,
 შენი თავი არ მომიკვდეს,
 ჩემი თავი გენაცვალოს!

ნორა მოჩებაძე

გაუტახელი

იდგა 187... წელი.

იგი მაღლობზე, ეზოს ბოლოში ცაცხვის ქვეშ იჯდა და სოფლის ცენტრში შექუჩებულ ხალხს გადასცქეროდა. მუხლისთავებს ნიდაყვებით შძიმედ ეყრდნობოდა. კოტად შეკრეპილ წვერში თეთრი ჩაღარვოდა. თვალები ძლიერი, გამჭოლი ჰქონდა. მოკუმული ტუჩები უთრობოდა. ოთხმოცისა იქნებოდა, მაგრამ ენერგიული ჩანდა.

სოფლის ცენტრში ხალხი თანდათან მატულობდა. მეტი წილი მამაკაცები იყვნენ. ერთი მათგანი, მკერდამდე წვერმოშვებული, მთელი ხმით ლაპარაკობდა, ხელში ყაბალახი ეჭირა და იქნევდა. მერე შექუჩებულ ხალხს გამოეყო და ჩქარი ნაბიჯით დაჰყვა ხევისკენ.

შუადღე იყო, კოროხს სული შეგუბებოდა. მეჩეთი დაეკეტათ, მინარეთი მზის ათინათინში ინთქმებოდა. მთის ფერდობებზე აქა-იქ ჯარგვალი ჩიტის ბუდესავით შეყუულიყო. ტყის სიმწვანეში ბილიკები ლამბივით გარბოდა. ცოტა ხნის შემდეგ გაღმა ფერდობზე, ეზოში პირჩაშობუდრული, ჰყავტელაკაბინი ქალები გამოეფინენ. ხელში რაც მოჰყოლოდათ, შეეკრათ და თოფრა ზურგზე მოეგდოთ. ერთმა საქონელი გამორეკა ეზოში. პირუტყვი ბლაოდა. დედის კალთას ჩაფრენილი ბავშვები ტიროდნენ.

იგი კბილს კბილზე ნერვულად აჭერდა.

— სელამ ალეიქუმ, ხასან.

— გაგიმარჯოს!

ყაბალახი ახლა მას თავზე ეხურა, ხმაში სიბრაზე ეტყობოდა. გაჩეჩილი წვერი მოიქექა.



მას თავი არ შეურჩევია.

— სოფელი დაიძრა, რაღაც უნდა ვიღონოთ.

ხასანს სიბრაზისაგან მხრები შეუქანდა, წვერი თითებით ხშილებული ცხნა და თვალი ჭიშკარს მიაჩერა. ეზოს ხასხასა მოლი გასდევდა. წაბლის ჯარგვალი ოდნავ გვერდით იდგა, კოდმის პირას. ზედა სართულზე ეწოდან პირდაპირ შეისვლებოდა. ქვედა სართულში საქონელი ჰყავდა. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— არსად არ მივდიგარ! — კბილებში გამოსცრა მან.

— ხასან ეფენდი, რჯული? — თავზე შემოიკრა ხელები წვერგაჩერილმა.

იგი თვალს არ აშორებდა.

— შენ გარბიხარ? თქვი!

მოსულს ენა დაება, ალაპისაკენ აღმართული ხელები ჰაერში გაუშედა.

— გიაურები გავთელავენ!

— ხალხს გადაეცი, ფეხი არ მოიცვალოს! — სახეზე ნაკვთი არ შერჩევია. ბებერი, დაძარლვული ხელები მომჯილა, დიდრონი, ცისფერი ძარლვები დაეძაბა ხელის ზურგზე. — შენ ვინა ხარ?! — შესძახა მან, — ვინა ხარ!

წვერგაჩეჩილმა ხელები მორჩილად დაუშვა...

იგი ახლა გაქვავებული იქდა. გრძნობდა, მარტოდ იყო, მაგრამ თავს ძალას ატანდა, არაფერი არ ეთქვა. ყურებში ზუზუნებდა საკუთარი ხმა: „შენ ვინა ხარ?!“ თვალებში სისხლის მოწოლა იგრძნო. შექუჩებული ხალხი წამით გაყუჩდა. გაღმა ეზოში ჭყეტელაკაბიანი ქალები ჭიშკართან იდგნენ. მათაც თვალი გზისკენ ეჭირათ. ჭერჭერობით გზაზე არავინ ჩანდა.

მერე გაისმა ხოჯის ხმა — შუაღლის ნამაზს კითხულობდა...

— შვილო, შენ მამა-პაპათა გზა არ დაკარგო! — მოეფერა მას ბაბუა.

— ხოჯამ რომ მითხრა, მეჩეთში რატომ არ დაღიხარო?

— სხვა გზა არაა, მაგრამ შენ ხომ ქართველი ხარ!

მაშინ ხასანი ათი წლისა იყო. ტყიდან ბრუნდებოდნენ. ბაბუას მხარზე ხმელი კუნძი ედო, ბიჭს დოქი და კალათი მოჰქონდა. ტყიდან რომ გამოვიდნენ, შეისვენეს. ქვემოთ ხევში ჭოროხი მუხოდა.

— ჩვენ ქართველები ვართ, — უთხრა ბაბუამ, — გვარად გიორგადები. თურქები რომ შემოგვესია, ხალხი აიყარა და ქართლში გადაიხვეწა, ჩვენი გვარის ერთი ნაწილიც წავიდა. აგვაწიოკეს, ვაზი აგვიჩეხეს...

ბიჭი თვალებგაფართოებული შესცემროდა.

— ჩვენი აჭარა დიდი ადამინების კუთხე იყო, მაგრამ ყველაფერი გაჩანაგდა და დაიკარგა. გარდა საკუთარი თავისა არაფერი შეგვრჩენია,

და ახლა ესეც არ უნდა დავკარგოთ. ზოგი გვლალატობს, თურქის-სამისტე-
რში შედის, რომ თანამდებობა და ბევრი ფული იშოვოს.

ბაბუამ დაცვარული შუბლი მოიწმინდა. ხმა რბილი და ჟაჟული იყო
გარე ჰქონდა, თითქოს ტირისო, თითქოს ენის ამოდგმა უჭირსო, ისე წა-
რმოთქვამდა თითოეულ სიტყვას.

მერე კუნძი მხარზე გაიდო. ბიჭი უკან გაჟყვა...

სოფლის ცენტრში შექუჩებული ხალხი მდინარის პირას ჩასულიყო.
მუხლმოყრილნი ალაპისაკენ მუდარით ხელებს აღაპყრობდნენ. ხოგის
ხმა მონოტონურად და გამჭოლავად ისმოდა. ხასანს ფეხი არ მოუც-
ლია. მთები უფრო ძლიერი და მაღალი ჩანდა, ცა — წმინდა და გამჭვირ-
ვალე. მაგრამ იყო სევდა და გულისტყივილი. იღუმალი ფიქრები ირეოდა
ერთმანეთში, ვიღაც ყვიროდა, ვიღაც იძახდა. ხასანი ამ ხმაურში ვერ გა-
რკეცულიყო და მწვავე სინაული იგრძნო.

იგი ნავენახარზე ცხოვრობდა. რაც ვაზი გადაშენდა, იმ ნავეთზე
ერთხანს ქერს თესავდნენ. მერე ძმებს მიწა გაუყვათ და ხასანის ბაბუას
ნავენახარი რგებია. სამოსახლო კარგი იყო, მთის ფერდობზე. სათესი ფა-
რთობი ცოტა მოშორებით ჰქონდათ. ჯარად ცხოვრობდნენ. ვიდრე დიდ-
ნენე და ბაბუა ცოცხალი იყვნენ, საღილად სუფრას თხუთმეტი სული
შემოუსხდებოდა ხოლმე. ხასანი ყველაზე უმცროსი იყო და-ძმებში და
დაღნეხეს კალთაში გაიზარდა. ნაბოლარას ყველა თავზე ევლებოდა. ათი
წლისა ისე გახდა, ხელი არაფრისთვის არ უხლია. წერა-კითხვა შინ დიდ-
ნენემ შეასწავლა.

მედრესეში რომ მიაბარეს, თურქულისა სიტყვა არ იცოდა. თავდაპი-
რეელად უხაროდა, როცა უცხო სიტყვას დაისწავლიდა. შინ დიდნენესაც
ყურები გამოუჭედა, მაგრამ შენიშნა, რომ დიდნენეს უცხო სიტყვებისა
არაფრერი გაეგებოდა. როცა ჰქითხა, შენ რატომ არ იციო, დიდნენემ
უპასუხა: მამაკაცებს მისელა-მოსელა გაქვთ, უნდა იცოდეთ, ჩვენ, ქალები
შინ ეზიგართ, ოჯახში ქართულიც გვყოფნისო.

საში წელი სწავლობდა მედრესეში, მერე სწავლაზე გული იცირუა
და მშობლებს ამოუდგა მხარში. მაგრამ სოფელი მაინც ხასან ეფენდის
ეძახდა.

მაშინ ბაბუა ახალ გარდაცვლილი იყო. მეჩეთის წინ ხეიბრებს მოე-
ყარათ თავი. ჩამოძენდილი, წვერგაუპარსავი მლოცველები, ოთხად მოკე-
ცილნი მიწას ემთხვეოდნენ. აფლისა და თუთუნის წეგოს სუნი ტრია-
ლებდა. ხოგა სამხრობის ნამაზს კითხულობდა.

უცებ შუა ლოცვაში ხასანს თვალი გაუშეშდა. იმ წამიერ გარინდე-
ბაში ხელშესახებად დაინახა ცეცხლისპირას მჯდომი ბაბუა, ყალიოხს
აბოლებდა და ხმაღაბლა ყვებოდა: შვილო, ჩემს ბავშვობაში აი იმ მთას
გადავიცილიდით, მას იქით კიდევ მოებია, გზაში ორ დღეს დავყოფდით

ხოლმე, ხანაც ცხენით ვმგზავრობდით. გვიყრძალავდნენ, მაგრამ მარწმუნდეთ მივდიოდით. როცა მზე ჩავიდოდა და გადარკალულ მთებს მეტაჭრულება ფერი შეეპარებოდა, თავშესაფარიდან გამოვდიოდით. ა.. — ბაბუქ და სუსტებული ფერი თავს აქნევდა, — რა დიდებული რამ იყო მამა-პაპათა ნაგები ტა- კარი. დაილოცოს მისი სახელი, ამბობდნენ, დიდმა თამარმა ააგოო. ჩოქ- ვით შემოვუვლიდით გარშემო, მიწას ვკოცნიდით, ყოველ ქვას ვესიყვა- რულებოდით, დატყვევებული შევყურებდით გუმბათებს, ჩუქურთმებიან ქვებს. ტანში გვზარავდა დიდებული სილამაზე. ჩვენი სუნთქვა ისეთ გუ- გუნს გამოსცემდა, გეგონებოდა, მამა-პაპანი ამდგარან და ჩვენს დასახ- ნელად ლოცულობენო. ღმერთმა აკურთხოს ის წმიდა აღგილი.

ხასანს თვალი დაენამა.

„შენ ბაბუ, სალოცავი ადგილი გქონდა. ის ადგილი თურქებმა დაანგრიეს. იქ ახლა ქვაც არ დევს. ბაბუ, რომელ გუმბათს მივაცყრო მე თვალი, რომელ ქვას მივესიყვარულო. შენ ბედნიერი იყავი, რომ მამა- პაპათა ნახელავს ჩოქვით შემოუვლიდი ხოლმე, მე ესეც აღარ მაქვს, გე- სმის, აღარ მაქვს!“.

— გიაურო, ალაპი არ გაპატიებს, ილოცე! — დაუძახა ვიღაცამ.

ხასანმა სველი თვალები ამინიჭინდა და გაზუთხული სიტყვები გაი- მეორა. იცოდა, როგორ უნდა წარმოეთქვა, სად მახვილი გაეძლიერები- ნა, სად მონოტონურად გაეგრძელებინა, მაგრამ არ იცოდა, რას ნიშავდა იგი:

მერე როცა დაკაცდა, მაჟანკლები შინ დაუდიოდა. აკვანში დანიშნუ- ლი ბაჟშვილი გარდაიცვალა, ხიდან ჩამოვარდა და იქვე განუტევა სუ- ლი. ერთმა თურქი მოხელის ქალიშვილი შესთავაზა: ბედნიერი იქნები, სტამბოლში სასწავლებელს დაამთავრებ, თანამდებობას მოგცემენ და კა- ცი გახდებით.

მაგრამ ხასანი გაჯიუტდა.

ერთი წლის შემდეგ ქალი მეზობელ სოფლიდან მოიყვანა, პირველი ის იქთხა, რა გვარისანი არიანო. ქალი არ ენახა და ერთი სული ჰქონდა მასთან როდის დარჩებოდა მარტო. გვიანობამდე არ დაშლილია შექორ- წინები. მერე ფეხაკრეფით მივიდა ცოლთან, ხელის კანკალით ახალ ჩად- წინები. მერე ფეხაკრეფით მივიდა ცოლთან, ხელის კანკალით ახალ ჩად- წინები. მერე ფეხაკრეფით მივიდა ცოლთან, ხელის კანკალით ახალ ჩად- წინები. მერე ფეხაკრეფით მივიდა ცოლთან, ხელის კანკალით ახალ ჩად- წინები. მერე ჩადრი ისევ ჩამოაფარა სახეზე, ყელთან გაუსწორა და აცრე- ბლებულმა ლოყა ლოყაზე მიადო.

გარეთ ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— რა ლამაზი ხარ, გოგო, რა ლამაზი, — ბუტბუტებდა ხასანი და ეშინდა, ქალი არ შეეკრო მის ხმას, ქალი არ აღელვებინა მის შეხე- ბას. — ჩემო კარგო, ჩემო სიცოცხლევ, შენ უბედობამ გარგუნა ჩადრი,



უნდა დამალო შენი სილამაზე, ნუ, ნურავის ნუ ენახვები. მათ სიმძლე
მოიტანეს და ამ სიბერეში უნდა შეინახო შენი სილამაზე, შენორაზოდ.
დამალე სახე, დამალე, რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს. მოვა ტრიუმფის
ყვიან, ვინცა ხარ და რაცა ხარ შენ!

ქალი იცრემლებოდა.

გარეთ ღამე იყო, შავი, უკუნეთი ღამე...

სოფლის ცენტრში ხალხი ისევ შეეჭრდა. ხოჯას ლოცვა დაემთავრე-
ბინა და ხალხს უთვალთვალებდა. ხალხს შეცბუნება აღარ ეტყობოდა, იდ-
გნენ და დუმდნენ. ამ მოლოდინში ზოგი თუთუნს აბოლებდა. ვერავინ ვერ
ზვდებოდა, რა გადაეწყვიტათ. გზაზე ისევ არავინ არ ჩანდა. ხოჯამ თვა-
ლი ეშმაკურად მოჰუტა და შეკრეპილი წვერი აუცახცახდა. ხალხი ადგი-
ლიდან არ იძროდა. იყო შიშის მომგვრელი დუმილი და გარინდება.
მთებსაც კი შეეკრა წარბი, ნიავიც გატრუნულიყო.

ხასანმა თუთუნს მოუკიდა. დაეინებით ეწეოდა.

ხოჯამ მაღლა ალაპყრო ხელები.

ხალხი შებრუნდა.

— ღმერთო, გვიშველ! — ამოიგმინა ხასანმა.

ხოჯის მონოტონური და გაბმული ხმა თანდათან ძლიერდებოდა,
წვდებოდა მთებს, ხევებში იკარგებოდა. გზაზე კი ისევ არავინ არ ჩანდა
და იმედგაცრუებული ხალხი ხოჯას შეაცემდა, თითქოს მისგან ელის
ხსნასო.

— ხალხო, აიყარენით და წადით, აიყარენით და წადით! გიაურები
ნამუსს შეგირცხვენენ, სინდისს წაგიბილწავენ. უშველეთ თავს, გაიქეცით.
თუ სამხრობას არა, დილით აქ იქნებიან. უშველეთ თავს! ისინი ხმო თა-
თრებად გთვლიან. არ დათმოთ რჩული! ხალხი, აიყარენით და წადით!

მისი ხმა ავისმომასწავებლად გუგუნებდა. ხასანს ტანში გააურეო-
ლა, ადგა. მუხლებმა უმტყუნეს, ვერ გაიარა, ცაცხეს მიეყრდნო მისავა-
თებული. არ იცოდა, რატომ უნდა ეგონოს იგი ვინმეს თათარი. მას არა-
ვითარი ცოდვა არ მიუძღვის. წაართვეს სალოცავი და ალაპი იწამა, განა
ეს თათრობაა? არა, იგი არ არის თათარი!

— ქალო, ჩვენიანები უნდა ვნახო.

— ჩვენიანები?! — გაიკვირვა ქალმა.

— ჰო, ქართლში მივდივარ!

მაშინ ხასანი ახალგაზრდა, სამი შვილის მამა იყო. ჯარგვალი ახლად
დამთავრებული ჰქონდა. ქალაქში ერბო და კვერცხი გაყიდა და ცოტათი
ბავშვები შემოსა, ცოტა ფულიც შემორჩა. არ ასვენებდა თავისიანებზე
ფიქრი. საგზალი აიყიდა და ათი დღე დაჲყო გზაში. არასოდეს არ ყო-
ფილა ქართლში, იგი არავის იცნობდა და მას არავინ იცნობდა. საღამო

ხანს მიადგა თავისიანებს ჭიშკარზე. გარეთ შუახნის მამაკაცი გამოუგებელი /
ერთმანეთი ფარულად გაჲვრიტეს. სული უთრობდა, ხელები ეკრანზე და
ბოლა ხასანს, ვიდრე თავის თავს წარუდგენდა მასპინძელს. მას ჩემი და
ჯაფა დაადგა. მერე სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს გადახვია. ცოტა
ხნის შემდეგ ხალხი შეგროვდა, სუფრა გაიშალა.

ბოლოს მოსული ღობეზე შემოსუპებულ ბავშვს შეეკითხა, ვინაო.
ბავშვმა მიუგო, თათარია.

მიწა გასკოდმოდა ერჩივნა ხასანს.

ბევრი კარგი სიტყვა ითქვა იმ ღამით, მაგრამ ხასანს გულში მაინც
ხინჯი ედო — ყურმოკრული სიტყვა არ ასვენებდა და, თუმცა ყველას
შუბლი გახსნილი ჰქონდა, რატომლაც ეჩვენებოდა, რომ ისინიც ისე უყუ-
რებდნენ, როგორც თათარს. ერთი გულით კიდეც გაიფიქრა, ამიტომ გა-
მოვიარე ამოდენა გზა, ამიტომ ვიწვალე, რომ მათ ჩემზე ეს ეთქვათ?

კრინტი არ დაუძრავს შინ ხასანს.

სამხრობამ მოატანა, თოხი ჯირკვზე მიაყუდა და ჩამოისვენა. ბინდ-
შეპარული სიმინდის ყანა ხავერდივით ჩბილი და ხასხასა იყო. გარშემო
დადალუბებული მთები იდგა, არეგარე სიმყუდროვეს მოეცვა. თუთუნი შეა-
და და კვეს-აბედი გაჲკრა. თვალი მთებს გაუსწორა. მერე თითქოს ხმა-
ური მოესმა, თითქოს ვილაც ეძახდა. გულისხმა შეუერთდა ამ შორეულ
სხაურს. რა ხდებოდა გარშემო და რა ხდებოდა თვით მასში, ვერ მიმხვდა-
სხაურს. რა ხდებოდა გარშემო და რა ხდებოდა თვით მასში, ვერ მიმხვდა-
რიყო. შერე მოეჩვენა, რომ ქვეყნად მარტოა, არც სახლი აქვს და არც
კარი, არავინ არ იცნობს და არავინაა გამკითხავი მისი სიმარტოვის. მა-
რტოა და ყველაფერი უკუნეთს მოუცავს.

„დაეჭვდი?“

თავი მიაბრუნა, ვინ ეკითხება ამას?

„ეჭვი რას მიქვია?“

„მაშ, რამ დაგაფიქრა?“

შეაკრთო არა შიშმა, არამედ გულის ხმამ. თვალი გადაავლო მთებს,
აშრიალებულ ტყეს და ხმაურიან ხევს. მერე ჩაიმუხლა. სიმინდი მკერდა-
მდე წვდებოდა. შავი, ფხვიერი მიწა ჩაბლუჯა, დააშტერდა, ერთხანს
უყურა და მიწიანი თითები გახაჩა.

— არა, არასოდეს! — დაიყვირა მან...

სოფლის ცენტრში შექუჩებული ხალხი ისევ აჩოჩოლდა, მაგრამ ახ-
ლა გაიშალენ, თითქოს ერთმანეთს გაეთიშენო, თითქოს განხეთქილება
და გაიშალენ, თითქოს ერთმანეთს გაეთიშენო, თითქოს განხეთქილება
მომხდარიყოს. ხოგა განაგრძობდა ქადაგებას. მზე გადაიხარა, ჩრდილი
დაგრძელდა. გზაზე კვლავ არავინ არ ჩანდა. არავინ იცოდა რა მოხდებოდა,
დაგრძელდა. გზაზე კვლავ არავინ არ ჩანდა. არავინ იცოდა რა მოხდებოდა,
მეოლოდ წინათვალებას აეტანა ისინი. შიში და იმედი ერთმანეთში ინთქ-
მხოლოდ წინათვალებას აეტანა ისინი. შიში და იმედი ერთმანეთში ინთქ-

— ხასან ეფენდი!

თავი მძიმედ მიაბრუნა.

— შენ სიტყვებს ელოდებიან.

არაფერი არ უთქვამს, მოსულს ეჭვიანი მზერა მიაპყრო. აღელვები-საგან თავს ძლივს იკავებდა, ხელებს იფშვნეტდა. შიშიც ეტყობოდა და ძლიერი ენერგიაც. თავი სინანულით გააქნია. ერთხელ, როცა თურქებმა სოფელი ააწიოკეს, ხალხმა ხასანს მიაშურა: სანამ უნდა ვითმინოთ, სანამ. მაშინაც ასე მდუმარედ შეაჩერდა მათ. მერე აღელვებულ ხალხს გადასხედა: „დაწყნარდით ხალხო, — მიმართა მან, — თქვენი მრის-ხანება მხოლოდ მსხვერპლს მოიტანს, ხუნდები კიდევ უფრო დამძიმდება. მტერი ძლიერია, ვერაფერს გავხდებით, თავს უნდა გავუფროთხილდეთ!“ სოფელმა ისმინა მისი სიტყვა.

— ხალხს თავად უთხარი, თორემ აიყარა, — სული ამოვარდნაზე ჰქონდა მოსულს.

— ვისაც საკუთარი თავისა არ სწამს, წავიდეს, უცხო მიწაზე განუტევოს სული! ორპირს, გლახას მაინც არ დაედგომება მამა-პაპათა მიწაზე!

— რჯულს შეგვიცვლიან!

— არა, დაგვიბრუნებენ!

ისე თქვა, თითქოს მთებს დაეგუგუნოს. მერე სიჩუმე ჩამოწვა და, როცა მიმოიხდა, ახლოს არავინ იყო...

— ხასან, შენ ალაპს ღალატობ!

ცერად მიიხედა.

— ხალხს გვიმხედრებ!

მაშინ ხასანი იიალებიდან ბრუნდებოდა. გზაში ცხენზე ამხედრებული ბეგი წამოეშია. კრინტი არ დაუძრავს, გზის პირას მოლზე ჩაიმუხლა და აღმოსავლეთს მიაპყრო მზერა. ბეგიც ჩამოხტა ცხენიდან, ცას გახედა — სამხრობის ნამაზის უამი იდგა. ცხენი ალვირით თხმელის ტოტს მიაბა, დაიმუხლა და... ორივე ვით ორი ნაკადული, ერთ მდინარებას მიეცა, მაგრამ იყო სიშორე და იყო სიახლოვე, იყო რწმენა და იყო ურწმენობა. და მათ შორის იკარგებოდა უამთა სელის კვალი.

რამდენიმე წუთს ილოცეს.

ხასანმა ახსენა ალაპი და ადგა.

ბეგმაც ახსენა ალაპი, ერთხელ კიდევ ემთხვია მიწას და ისიც ადგა.

— არ შეგრჩება! — კბილებში გამოსცრა ბეგმა და ცხენს მოახტა, — ვიცი, რა სულისა ხარ, მე რომ გაპატიო, ალაპს რას ეტყვი! — ბეგმა ცხენს მათრახი გადაპქრა და თავქვე დაეშვა. კარგა ხანს ისმოდა ცხენის ფლოქვების ხმა. ხასანმა მზერა დაატანა ცხენზე ამხედრებულ ბეგს, მერე

შინისკენ აჩქარებული ნაბიჭით გაუყვა გზას. დანა პირს არ ულებდა, გრძნობდა, ბეგი სიტყვას არ გატეხდა. შიში არ ჰქონია, მაგრამ გრულის-/თქმა არ ასვენებდა. ასე ანერვიულებული იგი არავის არ უნახაუს შეფრთხის არაფერს არ ჰქიდებდა.

მერე სოფელში ხმა დაირხა: ხასანმა ბეგი ჭვარს აცვაო. არავინ იცოდა, რატომ მოხდა ეს, არც არავინ ცდილობდა ამ ამბავის გახმაურებას, მაგრამ ერთმანეთს ჩუმად უყვებოდნენ: თურმე ხასანს ბეგი თავის მამულში გამოუჭერია, ცხენიდან ჩამოუგდია და გაუბაწრავს.

— ხასან, გონს მოდი!

ხასანი თავზე დაადგა გათოვილ ბეგს. სისხლმოწოლილი თვალებით ჭამდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ გასწორებოდა.

— ხალხო!..

— გაჩუმდი თორემ...

— რას ჩადი, რას?!

— არაფერს. მოგელავ და სოფელი დაისვენებს.

ბეგს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

— სიკვდილის ღირსი რადა ვარ, ასე მიფასებთ სოფლის სამსახურს?! ხალხს რას ეტყვი?!

— ხალხს?! ხალხისათვის იმდენად ზრუნავ შენ, რამდენადაც იგი გვირდება შენი პირადი ბედნიერებისათვის. მზად ხარ სული მიყიდო გადამთიელს, ჩვენ ტყავი გაგვაძრო, რომ შენი ღირსება არ შეილახოს!

— დღეს ასეთი დროა!

— არა, იგი შენ და შენისთანებმა შექმნეს. შენ თუ შენი ხალხი გიყვარს, იცხოვრე ისე, როგორც ისინი ცხოვრობენ. შენიანს სულს ხდი, ძარცვავ, რომ გარეშეს ხელგაშლილი შეხვდე. შენ თუ შენი ხალხი გიყვარს, პირველი მას დაეხმარე. ვერ ხედავ, სოფელი უცხოელებით აივსო!

— ხასან!

— წელში გაგვტეხე, დაგვაჩოქე და მხოლოდ იმისათვის, რომ შენ იყო პირველი. სწორედ შენისთანებმა დაგვაქუცმაცა, სოფელი სოფელს წაჼკიდა!

— ხასან, რას ჩადი!

— მე ყველაფერს ვუძლებ, დამცირებას, აბუჩად აგდებას, ვარ მშიერ-მწყურვალი, რომ თავი გავიტანო. არ ვიქცე იმად, რაც არ ვარ. შენ კი... შენ...

მერე დასძენდნენ: ხევში თოფის ხმა გაისმაო. არავის უნახავს ბეგი მკვდარი, არც ხასანს დაუძრავს კრინტი, მაგრამ იმ დღიდან ბეგი არ გამოჩენილა სოფელში...

სოფლის ცენტრში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ცოტა ხნის შემდეგ გზა-

ზე მხედრები გამოჩნდნენ, ჩორთით შემოდიოდნენ სოფელში. — შეამზე
თოფი ჰქონდათ გადაეიდული და გრძელი ხმალი წვივზე სცემდათ.
გაღმა ეზოში ორავინ ჩანდა, ჭიშკარი ყურთამდე ლია იყო. პიპლორთვა
— მაინც წავიდნენ! — სიმწრით თავი გააქნია ხასანმა.

აქა-იქ გარგვალის კრი გაიღო და გარეთ გამოიხედეს. ცნობისმოყვა-
რეობით, ქურდულად მიაჩერდნენ ჩორთით მომავალთ. ხასანი თითქოს
თვალს არ უჯერებდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს, ისე იღვა და
გასცეროდა მათ. უნდოდა ადგილიდან დაძრულიყო. შეგებებოდა ჩორ-
თით მომავალთ, დაეძახა ხალხისათვის, მაგრამ დაძაბულობისაგან ისე
მოეშვა, ხმა აღარ ჰყოფნიდა და ესმოდა შორეული გუგუნი, თითქოს
ისევ გაიღვიძა ვიღაცამ მასში, თითქოს ისევ მოები ეძახდა:

„შენ დუმხარ!“

„არა, არა!“

„მაშ, რაღას ელოდები?“

„დავიღალე, ძალიან დავიღალე! ყველაფერი დავკარგე ამ ძნელბედო-
ბისას, გავიძარცვე, გავჩანაგდი, საკუთარი ხორცისა და სულის მეტი აღარა-
ფერი შემომრჩენია. მოვლენ და შევხვდები, მშობლიურ ენაზე ვეტყვი
მათ, გამარჯობა-მეთქი“. —

„შენ ახლა გვირდება სიმხნევე!“

— ოჰ, ღმერთო! — აღმოხდა მას, ყაბალახი მოიხადა, ჩაიმუხლა და
მიწას ემთხვია.

იღვა 187... წელი.

ბალაზბ მთქმრის დაცრობისა

ლვინობისთვეს, შოთაობის დიდ ზეიმზე თურმე —
სამოსხოში თეითონ შოთა მასპინძლობდა სტუმრებს.
უამი იყო შუასუფრის, ღვინოს წრეტდნენ ბათმანს,
თან ფხიზლობდნენ, სანაღიროდ აპირებდნენ რაღვან.
სუფრა ჰქონდათ უუხვესი, ვით სჩევევიათ ქართველთ,
დაონისეს, ლხინის ღმერთსა ფქ მოესხა მართვე.
უამი იყო შუასუფრის, თუმცა ზოგიც შეოვრა —
რიდით ჰქადრეს მსახურებმა — ელჩიაო შენთან...
ჩვევად ჰქონდა მეფემგოსანს ჩვეულება ერთი,
მტკვარს ასმევდა — თუნდ სწვევოდა მოციქულიც ღმერთის.
სმენად მერმე დაჭდებოდა, მოიხმობდა დესპანს,
საქართველოს მზის და აწმენის დამარცვლავდა თესპას.
...და მობრუნდა კოკით მოყმე, მოკვდაცს ჰგვანდა პირით,
თქვა — მდინარე დაშრალაო, მზე ახმობსო ქვირითს.
შეკრთა შოთა, მიეტანა ციხე-კოშკის სარქმელს,
მაგრამ ხევი თვით ამბობდა უსაზარლეს სათქმელს.
ჩვევად ჰქონდა... მტკვარუსმელი ვით მიელო სიტყვა,
აღგა, ლოცვით გამშრალ ქვიშის სათავისკენ მიჰყვა.
მტკვარს ეძებდა, შინ კი ამ დროს მოციქული თვლემდა,
დამთვრალიყო მართვე, დიო ქვევრებს უჯდა კენტად.
მტკვარს ეძებდა, შეიარა ასპინძის და ხერთვისს
და შორს კიდევ, სადაც იგი ქართულ მიწას ერთვის.
გამხმარ ვაზებს ცრემლს აფრქვევდა, წინ ვიდოდა ქუშად,
გულს უკლავდა მოფართხალე კალმახების ქუჩა.
და ამგვარად მზე-ჭაბუკი და სიმღერის მეფე
სისხლიან გზამ ვარძიამდე დაამსგავსა ბებერს.
• იქ, დაჭრილი ორემივით მიაბლავლა თამარს,



ხმა არ გასცეს, კლდით შეაკრთო საკუთარმა ხმამან;
ხევს ჩაეჭო, ჩაიხუტა მიწა ჯერაც ნედლი,
ზე წამომდგარს წვერი ჰქონდა თეთრი, თეთრი, თეთრი არის განვითარება
მართვე თრთოდა ციხე კოშკში, მოციქული თვლემდა,
სევდის ხელი მშობელ მხარეს თეთრ ნისლებში ჰქვევდა.
მტკვარს ეძებდა, მიბღაოდა ვით მწყურვალი ხარი,
მესხი — ვეფხისტყაოსანი, ვეფხთა მოსისხარი.

* * *

თუმც მას აქეთ ჩრდილიც მისი არ უხილავს რუსთავს,
სექტემბერში საქართველო მისი მკერდით სუნთქვას.
სექტემბერში მტკვარი ტკბება თუ ირმების ცურთა
მოდენილი სიუხვეა, რძეს რომ მოჰვავს სულმთლად.
თუ სათქმელი, უცხო დესპანს შოთასთვის რომ სურდა,
თუ თამარის ცრემლებია — ტბადქცეული წუნდა,
თუ რუსთველის სული წმინდა, სალოცავი სულთა,
ქართვლის ცაზე უკვდავების მზედ რომ ამოცურდა.
არის მისი სიდიადე, მისი ხმა და ფერფლი,
ნისლი, მისი თმა-წვერივით თეთრი, თეთრი, თეთრი...
ზეცა — მისი ოვალებივით ლურჯი, ზეცისფერი,
მოები, მთები, მწვერვალები — მისი ხანჭლისწვერი.
მისი, მისი საქართველო, ნატვრასავით ვრცელი,
მისებრ ბრძენი, მისებრ მწველი, მისებრ ძველისძველი.
ვაზი — სიზმრის მინაზება, ქარი — ქარვისფერი,
მისი, მისი საღლეეგრძელო, მრავალუამიერი —
ღვინობისთვე, ქვევრს რომ ელტვის, ბუტბუტებს და
უსტვენს —
მტკვარად იდენს, მტკვარად იდენს, უხაროდეს რუსთველს!



გათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის ზოგიერთი დამახინჯების შესახებ

ბათუმის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. მან განვითარების როლი და საინტერესო გზა განვლო. იგი ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის განთიადზე რაზმავდა მუშებს ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, წინ მიყენდა მშრომელებს და სკელდა გამარჯვებას.

ამდენად ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის მეცნიერულ გაშუქებას არა მარტო კერძო, საერთო მნიშვნელობაც აქვს. მართალია, ამ საკითხზე დაცულია დისერტაციები და გამოქვეყნებულია ნაშრომები, მაგრამ პარტიული ორგანიზაციის წარსულის სისტემაში მოყვანა, მისი ცალკეული ეტაპების, მოვლენებისა თუ ფაქტების ღრმად შესწავლა კვლავ რჩება მკვლევართა საღლეისო საპატიო ამოცანად. ამიტომ

მკითხველები დიდი ინტერესით ელოდნენ დოც. ი. ს. ჩულოკის წიგნს „ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევები (1890-1921 წ.წ.)“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა რუსულ ენაზე.

ავტორის სიტყვით, ამ ნაშრომის მიზანია ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის წარმომადისა და განვითარების პროცესის შესწავლა. ეს ამოცანა მით უფრო საპატიოა, რომ თურმე „წიგნი წარმოადგენს ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის 1890-1921 წლების ისტორიის სისტემატური გამოკვლევისა და გაღმოცემის პირველ ცდას“ (გვ. 3-4).

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს საკმაოდ დიდი მუშაობა გაუწევია, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების არქივებსა და წიგნთა ცავებში გამოუვლენია არა ერთი საყურადღებო მასალა, რომელი

ლთა ნაწილი დღემდე უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. ამის საფუძველზე მან სწორად ვამჟექა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და 1890-1921 წლების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის რიგი საკითხები. კარგადა შესწავლილი ბათუმში მუშათა მოძრაობის წარმოშობა და მარქსიზმის გავრცელება, რსდმპ ბათუმის კომიტეტის რევოლუციური მუშაობა ქალაქის სამხედრო გარნიზონის ნაწილებში, გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა გლეხობაში. დეტალურადაა განხილული ბათუმელი ბოლშევიკების საგამომცემლო მოღვაწეობა, რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმისა და სოჭის ჯგუფების მუშაობა, სამხედრო ორგანიზაციის საბრძოლო საქმიანობა რუსეთის პირველი რევოლუციისა და 1919-1920 წლების პერიოდში, შინაპარტიული ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობა რუსეთის სხვადასხვა ქალაქების რევოლუციურ ორგანიზაციებში და სხვ.

ამასთან, სამწუხაროდ, ნაშრომი შეიცავს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს, რაც ავტორის მიერ ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ცალკეული ეტაპების, უკეთ დადგენილი მოვლენებისა და ფაქტების უსაფუძვლო გადასინჯვის ცდის შედეგია.

გაოცებას იწვევს ნაშრომის ისტორიოგრაფიული ცნობებით უკავშირდება ტორი წერს, რომ ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის რევოლუციამდელი ისტორიისა და მოღვაწეობის ცალკეული შომენტების გაშუქებისას ისარგებლა პარტიული მუშავებისა და ისტორიკოსების ნაშრომებით, და ალფავიტის მიხედვით ჩამოთვლის მათ (გვ. 8). საჭირო კი იყო ეჩვენებინა, რა ხასიათის მუშაობაა ჩატარებული ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიის შესწავლისათვის და საერთოდ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ. ავტორმა ეს არ გააკეთა, მიაფუჩხა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები და ხაზი გაუსვა საკუთარ დამსახურებას. ის ფაქტებიც.

ი. ჩულოკი იყენებს ნაშრომს „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნაკვევები (1890-1921 წ. წ.)“, მაგრამ მას იმოწმებს მხოლოდ სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატის მიხედვით. ამის გამო მცითხელს წარმოდგენაც არა აქვს. რომ ეს ნაშრომი 1959-62 წლებში ორ ტომად გამოქვეყნდა. სხვათაშორის, ი. ჩულოკი წერს: აღნიშნულ ნაშრომში გამოკვლეული და გადმოცემული არა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის სისტემატური ისტორია (გვ. 6). ეს აზრი უმართებულია, რადგან ამ გამოკვლევაში დაწვრილებით და თანმიმდევრულად გაშუქებულია აჭარისა და ბათუმის რევოლუციური მოძრაობა 1890-1921 წლებში და ამ მო-

ძრაობის უშუალო ხელმძღვანელის — კომუნისტური ორგანიზაციის ისტორია.

ნაშრომის 223-ე გვერდზე მოტანილია ნ. კრუპსკაიას წერილი ბათუმელ მ. ე. სოლორაშვილისადმი. ასებობს ამ წერილის სპეციალური პუბლიკაცია. მეცნიერული კეთილსინდისიერება მოითხოვდა მის მითითებას, მაგრამ ი. ჩულოვი ასე არ აკეთებს. ამასთან, მისი მსჯელობაც არაფრისმთქმელია. მაგალითად, გაუგებარია ვინ შისცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბათუმელი რევოლუციონერის მისამართი, მოაღწია თუ არა ამ ბარათმა აღრესატამდე, რა შედევი გამოიღო მან და სხვ. სხვათა შორის, ავტორმა ნ. კ. კრუპსკაიას ბარათი რატომღაც ისე შეკვეცა. რომ ამოაგდო წერილში მითითებული პარტიის ერთ-ერთი მისამართი საფრანგეთში, რასაც დღიდი მნიშვნელობა აქვს 1912-1913 წლებში ბათუმის კომუნისტურ ორგანიზაციასა და პარტიის ცკ შორის არსებული ურთიერთობის ხასიათის შესწავლისათვის.

ასევე შეიძლება ითქვას ვ. ი. ლენინისადმი მიხა ცხავაიას 1905 წლის 28 ივნისის წერილზეც, რომელსაც იმოწმებს ი. ჩულოვი (გვ. 133). იგი პირველად მიაკვლია და 1955 წელს ვრცელი კომენტარებითურთ გამოაკვეყნა პროფ. ი. ხუციშვილმა. ჩულოვი ამ პუბლიკაციას არც კი უთითებს. შესაძ

ლოა, მან ქართულის აუცილებელი მოიმიზებოს, მაგრამ უნდა შევახ სენოთ, რომ აღნიშნული უფრო მაღალი უდიდესობის სხვა საკითხთან დაკავშირებით, ი. ხუციშვილმა გამოაქვეყნა აღრეც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში „ისტორიის სკოლი“ (ტ. 49, 1954).

ნაშრომის ერთი თავი „რევოლუციური მოძრაობა ბათუმში 1904 წელს“ (გვ. 111-116) მთლიანად სხვა მკვლევართა შრომების საფუძველზეა დაწერილი, მაგრამ ი. ჩულოვი მათ საერთოდ არ იმოწმებს. და ასეთი დამოკიდებულება ლიტერატურისადმი ერთეული შემთხვევა როდია. ავტორი არსად იხსენიებს მ. ჭიჯერშილის მონოგრაფიას „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აქალაში (1917-1921 წ. წ.)“, ვლ. სიკინავას წიგნს „ბათუმის ისტორიადან (1878-1921 წ. წ.)“, აგრეთვე სხვა ავტორთა ნაშრომებს, რომლებშიც კონკრეტულად ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა თუ რევოლუციური მოძრაობის ცალკეული ეტაპები და მოვლენებია შესწავლილი. ამასთან, სარეცენზიონ ნაშრომში მითითებულიც კი არაა აკ. სურგულაძის ორტომიანი გმოკვლევა „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში“, მ. ცერცვაძის ორტომიანი „რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1914-1917 წ. წ.“ (რუსულ ენაზე), გუვანის „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუ-

ფლების გამარჯვებისათვის საქართველოში”, მისივე „დიდი ოქტომბერი და ამიერკავკასიელი ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის“ (1967 წ., რუსულ ენაზე), ნ. მახარაძის „დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში“, ვ. ესაიაშვილის „ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები“ (რუსულ ენაზე) და სხვ, რომელებშიც საინტერესო მასალა თუ დასკვნებია მოცემული ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც.

მაშასადამე, ი. ჩულოე მოიქცა გარკვეული მოსახრებით; მან მკითხველს არ უჩვენა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები, რომ უფრო ადვილად ემტკიცებინა — თითქოს მისი ნაშრომი წარმოადგენს საკითხის შესწავლის პირველ ცდას.

გვასავეორია, რომ ი. ჩულოე ასევე გვერდს უვლის ზოგიერთ ლენინურ დოკუმენტს, რომელთა გამოუყენებლად შეუძლებელია ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სრულყოფილი გაშუქება. მაგალითად, 1906-1907 წლების ბათუმის მუშათა მოძრაობის განხილვისას იგი ვერ ასახელებს გაფიცულ მუშათა რაოდენობას. ამის მიზეზად ავტორმა შეიძლება მიუთითოს კონკრეტული ცნობების არ არსებობა, მაგრამ ეს სწორი არაა. ცნობილი ეკონომისტის ე. ვარზერის ნაშრომში „ფაბ-

რიკა-ქარხნებში მუშათა გაფიცულ/ბის სტატისტიკა“ მოტახურული სალის საფუძველზე ვ. გ. ლუკიანის საინტერესო განვითარებანი აქვს 1906-1907 წლებში ბათუმში გაფიცულ მუშათა რაოდენობის შესახებ და მისი მითითება ნაშრომის ამ ნაწილს უდავოდ შეავსებდა.

ან კიდევ: 1910-1911 წლებში ბათუმის კომუნისტურ ორგანიზაციაში შექმნილი ვითარებისა და რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის პრალის კონფერენციაზე (1912 წლის იანვარში), დელეგატების მოხსენებათა საფუძველზე, ვ. ი. ლენინის მიერ საქართველოს ქალაქების (მათ შორის ბათუმის) რსდმპ კომიტეტების შესახებ გაკეთებული შენიშვნების გაანალიზებას. რატომდაც ავტორი მათ არ იყენებს. ამ დოკუმენტის შედევრებიდან გამორჩეაზე ლაპარაკი ზედმეტია, რაღაც იგი 1968 წლიდან ცხობილია მეცნიერულ ლიტერატურაში.

ისეთი შთაბეჭდილება ვრჩება, რომ ავტორი ნებით თუ უნდებლივ ანინებს ბათუმის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას. მაგალითად, გ. ფრანჩესკის, გ. სოლორაშვილისა და სხვების მიერ ბათუმში შექმნილ მარქსისტულ წრეს იგი ყველგან ჯგუფს უწოდებს (გვ. 21, 22, 23 და ა.შ.). აქ არ მოვიტან 30-იანი წლების მასალებს (ავტორი მათ არ ენდობა), მიუუთიერებთ ოფიციალურ საარქივო დოკუმენტებზე.

1898 წლის 15 მაისს როტმისტ-რი კონისკი თბილისის უანდარმთა სამმართველოს უფროსს წერდა: „მაქეს პატივი წარმოგიდვინოთ ჩხრეკის შედეგად ფრანგესკისათვის ჩამორთმეული წესდება ბათუმში შექმნილი წრისა, რომლის მიზანია სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა“. ან კიდევ იმავე წლის 12 დეკემბერს პოლკოვნიკი დებილი პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა: „ბათუმში სოციალ - დემოკრატიული წრის ორგანიზატორებთან ლუზინთან და ფრანგესკისთან ახლო იყო... ნიკოლოზ კოზერენკო“ და სხვ. (ხაზი ყველგან ჩვენია — აფტ.). ეს საბუთები მაინც ეჭვს არ იწვევს. მათმა ავტორებმა, რომლებიც წრის საქმეს იკვლევდნენ, კარგად იცოდნენ რა სახის ორგანიზატორებთან ჰქონდათ საქმე.

უნდა ითქვას, რომ ამ წრეზე მსჯელობისას ავტორი რამდენიმე უზუსტობას უშვებს. მისი სიტყვით, ბათუმელ მარქსისტებს ჰქონიათ აფიულად დაუბეჭდავთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 60 ეგზემპლარი (გვ. 24). სინამდვილეში კი დაიბეჭდა 100 (ამის შესახებ მიუთითებს თვით გრ. სოლორაშვილი). შემდეგ, იჩულოკი წერს: გრ. სოლორაშვილმა ბათუმში დაპატიმრებას თავი დააღწია კახეთში მიმაღვით, სადაც საუფლისწულო მამულის უწყების კანტორის გამგედ მოეწყოო (გვ. 27). სადაური ლოგიკა —

ოფიციალურ დაწესებულებებში ლეგალურად მუშაობის არაფასულებების გადასახმავებებისა და მისი გამეუღავნება და დაპატიმრება. და თუ გრ. სოლორაშვილი მაინც გადარჩა, ეს კახეთში წასვლის გამო კი არა (საქართველო პატარა ქვეყანაა და ძიებაში მყოფ კაცს, ისიც თანამდებობის პირს, ადვილად მიაკვლევდნენ), არამედ კარგი კონსპირაციისა და საძიებო მასალებში მისი გვარის მოუხსენებლობის შედეგად. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ალნიშვნულმა წრებმ არჩერ — 1896 და 1897 წლებში მოაწყო მაისობები, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმელი მუშების კლასობრივი თვითშეგნების ზრდის თვალსაზრისით. ამავე დროს ეს იყო საქართველოში მაისობის ალნიშვნის პირველი ცდებიც. სამწუხაროდ, ავტორი მათზე ნაშრომში არაფერს წერს, თუმცა ადრე სპეციალური წერილიც დაბეჭდა სათაურით „პირველი ბათუმში“ (გაზ. „საბჭოთა აკადემია“, № 84, 1965).

მაინც, ავტორის ცდა — დააქინინოს ბათუმის რევოლუციური მოძობა, ვფიქრობთ, ყველაზე რელიეფურად ჩანს რსდმპ ბათუმის კომიტეტის შექმნის საკითხში. მნიშვნელოვან მმაგთა ქრონიკაში ვკითხულობთ: „1901 წლის 31 დეკემბერი — ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი კრება“ (გვ. 336). რით იყო მნიშვნელოვანი ეს კრება, ავტორი არ ამბობს, და ამით

ერთგვარად ნიაღაგს ამზადებს, რომ გადასინჯოს ბათუმის მარქისი-სტული წრეების ხელმძღვანელი ცენტრის ჩამოყალიბების თარიღი.

დღემდე მიღებულია, რომ 1901 წლის 31 დეკემბერს ჩამოყალიბდა ბათუმის მარქისისტული წრეების ხელმძღვანელი ცენტრი. ასებითი მნიშვნელობა არა აქვს, რა ერქვა მას. ფაქტია, რომ იგი კომიტეტის ფუნქციას ასრულებდა. ახლა ი. ჩულოკი ამტკიცებს, რომ ამ დღეს არაფერი შექმნილა, რომ აქ „მხოლოდ გადაიდგა ხაბიჯი წრეების გაერთიანებისა და 1902 წლის დამდეგს რევოლუციური ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ - დემოკრატიული ჯგუფის შექმნისაკენ“ (გვ. 40-41), რაც რსდმპ კომიტეტის სახელით საბოლოოდ გაფორმდა 1903 წლის მარტისათვის მაინც (გვ. 45). რის საფუძველზე? აქამდა, არ გავგჩნია საამისო პირდაპირი დოკუმენტები, ხოლო 30-იანი წლების მასალებს, რომლებშიც ლაპარაკია 1901 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელი ცენტრის შექმნაზე, ვერ ვენდობით.

მართლაც, ამ ფაქტის დამადასტურებელი მაშინდელი საარქივო საბუთი ან თვით ამ კრების ოქმი, რასაც ხაზს უსვამს ავტორი, არ არსებობს. ცხადია, ასეთ ვითარებაში, მკვლევარი წარსულის შესასწავლად მოგვიანო ხანის მასალას იყენებს. ჩულოკი კი ასე არ აკეთებს. თუ 30-იან წლებში ჩაწერილ

და გამოქვეყნებულ მასრულებელი-ტიკულად შოვეპრობერთული უშაბური წლის 31 დეკემბერს ბათუმში მარქისისტული წრეების ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის დასაბუთებისათვის — მათი ავტორები ბათუმის 1901-1902 წლების რევოლუციური მოძრაობის. კერძოდ, იმ ისტორიული შეკრების უშუალო მონაწილენი თუ ხელმძღვანელი იყვნენ და მაშასადამე კარგადაც იცოდნენ და ასოვდათ იმ დღეს რისთვის შეიკრიბნენ და რა გააკეთეს.

მაინც, თუ ამ მასალისადმი ნდობაზეა საჭმე, მაშინ გვინდა ვკითხოთ ავტორს: 900-იანი და 910-იანი წლების ამბების აღწერისას რატომ უყოყმანოდ ცყრდნობა 40-50 წლის შემდეგ დაწერილ ი. საბლინისა და სხვების რამდენადმე საეჭვო მოგონებებს და სრულ უნდობლობას უცხადებს შომხდარი ფაქტიდან 20-30 წლის შემდეგ ჩაწერილ ქართულ მასალებს? რატომ არ შეიძლება საკითხის გადაწყვეტისას ვენდოთ თუნდაც ს. თოდრიას, რომლის პუბლიცისტური მოღვაწეობა საკმაოდ ცნობილია? თანაც მისი მოგონება არც ისე გვიან — 1923 წელს დაიწერა და ავტორს არ შეიძლება არ სცოდნოდა 1901 წლის 31 დეკემბრის კრების მიზანი და შედეგი.

ამავე მოტივებით ამავილებს ავტორი ყურადღებას იმაზე, რომ თითქოს „ისკრის“ რედაქცია 1903

წლის აპრილში II ყრილობაზე ბათუმის კომიტეტის დელეგატის დაშვების წინააღმდეგი იყო (გვ. 42-43). აქ იგი იმოწმებს წერილ-ში „პარტიის სათავეებთან“ (Вопросы истории КПСС, № 3, 1963, стр. 103) გამოკვე- ყნებულ ცნობებს, მაგრამ მას, ვფიქრობთ, შემდგომი შემოწმება და დაზუსტება სკირდება. ჩვენი აზრით, „ისკრის“ რედაქცია ყრი- ლობაზე ბათუმის კომიტეტის მიწ- ვივის წინააღმდეგი არ იქნებოდა, რადგან მან რუსეთის ორგანიზაცი- ებიდან პირველმა მოითხოვა ცენ- ტრალიზებული პარტიის შექმნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტმა თავის პასუხში „ბათუმელ ამხანა- გებს“ („ისკრა“, № 23, 1902) ვა- ნაცადა, გვაქვს მომავალ ყრილო- ბაზე თქვენთან შეხვედრის იმე- დო. რსდმპ პეტერბურგის კომი- ტეტის ეს პასუხი კი, როგორც სწორედ შენიშვნას პროფ. ვ. ესა- იშვილი, „იურ გაზეთ „ისკრის“ რედაქციის და, მაშასადამე, ვ. ი. ლენინის პასუხიც. ბათუმის კომი- ტეტის მიერ იღმიულ საკითხზე პასუხით გამოსვლა გაზეთ „ისკ- რის“ ფურცლებზე და იმის გამოც- ხადება, რომ მიმდინარეობს ღონი- სძიებათა შემუშავება ყრილობის რაც შეიძლება მალე მოწვევისათ- ვის, ფაქტიურად წარმოადგენდა ოფიციალურ განცხადებას ყველა სოციალ-დემოკრატიული ორგა- ნიზაციის საყურადღებოდ“. კი- დევ მეტი, 1902 წლის სექტემბე-

რში ბათუმში ჩამოვიდა სტალინის მოსამზადებელი სახელმწიფო ნიზაციო კომიტეტის წევრი ი. რე- დჩენკო, რომელმაც აღგილობრივ ინტერესების გააცნო ყრილობის მიზანი და მისი მოწვევისათვის უკვე ჩატარებული მუშაობა. ამის შემდეგ ვაჰვიბთ, რომ „ისკრის“ რედაქცია, 1903 წლის აპრილში, ყრილობაზე ასდმპ ბათუმის კომი- ტეტის დაშვების წინააღმდეგი იყო. ასევე შეიძლება ითქვას ბათუმ- ში ი. ბ. სტალინის მოლვაწეობის ავტორის უსული შეფასების შესახე- ბაც. სტალინი, როგორც ცნობი- ლია, ჩვენს ქალაქში არალევალუ- რი რევოლუციური მოძრაობის სელემდღანელობისათვის გამოიგ- ზავნა. ვის შეუძლია უარყოს, რომ სწორედ მისი მეთაურობით შეიქ- მნა ბათუმის მარქსისტული წრე- ბის ხელმძღვანელი ცენტრი, არა- ლევალური სტამბა, მოეწყო გაფი- ცვები და დემონსტრაციები. განა- იმის აღნიშვნა ეწინააღმდეგება სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის ცნობილ დაღგენილებას? რა თქმა უნდა, არა. პირიქით, ამ დოკუმენტში მი- თითებულია ი. ბ. სტალინის მოლ- ვაწეობის ობიექტური და პირუთ- ვნელი შეფასების აუცილებლობა- ზე. ი. ჩულოვი ამას ივიწყებს და ყველგან აკნინებს ი. ბ. სტალი- ნის როლს. იგი წერს: „სტალინი ეწეოდა სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას“ (გვ. 39); 1901 წლის 31 დეკემბერს „მუშათა კრება ჩატა- რდა სტალინის მონაწილეობით“

(გვ. 40); „არალეგალური სტამბა ბათუმში აღმოცენდა ი. დარახველიძის, ი. სტალინის, კ. კალანტაროვის, ს. თოდრიას აქტიური მონაწილეობით“ (გვ. 69) და სხვ. ი. ჩულოვი არც კი აღნიშნავს სტალინის მუშაობას 1901 წლის ნოემბერ-დეკემბერში მარქსისტული წრეების შექმნისა და მათი ხელმძღვანელი ცენტრის ჩამოყალიბებისათვის. იგი მხოლოდ ერთგან მიუთითებს: „1902 წლის პირველ თვეებში რსდმზ ბათუმის ორგანიზაციის ყველაზე აქტიური, საქმიანი ხელმძღვანელები იყვნენ მ. გაბუნია, ი. დარახველიძე, ი. სტალინი, კ. კანდელავი, ს. ლომგარია, ს. თოდრია“ (გვ. 48). გამოდის, რომ ბათუმის რევოლუციურ ორგანიზაციას „1902 წლის პირველ თვეებში“, თუ მეტი არა, ეჭვის „საქმიანი ხელმძღვანელი“ შაინც ჰყავდა, მათ შორის ი. ბ. სტალინი და ისიც მ. გაბუნიასა და ი. დარახველიძის შემდეგ!

ავტორი აღნიშნავს, რომ 1905 წლის რევოლუციური მოძრაობა განვითარდა იანვარ-თებერვალსა და ნოემბერ-დეკემბერში, დანარჩენ თვეებში კი იგი საგრძნობლად დაეცაო (გვ. 119). ჩვენი აზრით, ნოემბრის ბრძოლები, შემდეგ კი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება სწორედ წინა თვეებში განვითარებული მოვლენების ლოგიური შედეგი იყო. 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის მასალების შესწავლა (აგრეთვე თვით წიგნში სხვა ადგილას მოტანილი ცნობები) აშკარად აღასტუ-

რებს ამ დებულებას.  მაგალითად, ბათუმისა დაქტორულებულში ჩატარდა საყოველობრივი ფიცვები, ხოლო ოქტომბერში ბრძოლამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ შავრაზმელებთან შეტაკებაშიც გადაიზარდა. სწორედ მარტ-ოქტომბრის ბრძოლების დროს პოლიტიკურად გათვითცნობიერდა და ჩაება მოძრაობაში მოსახლეობის ის ნაწილი (ხელოსნები, ნოქრები, შეგირდები, შინამოსამსახურებები, მოსწავლეები და სხვ.), რომელიც აღრე პასიურობდა.

სხვათაშორის, ქალაქის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოსწავლეთა შორის რსდმზ ბათუმის კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა იქ არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მეშვეობით (ასეთი ჯგუფები კი სასწავლებლებში არსებობდა 1903 წლიდან). ამის შედეგად მოსწავლეთა ბრძოლამ 1905 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ისეთ დონეს მიაღწია, რომ ამ მხრივ ბათუმი, ოფიციალურ პირთა აღიარებით. მკეთრად გამოიჩეოდა კავკასიის სხვა ქალაქებისაგან ასე რომ, მტკიცება 1905 წლის მარტ-ოქტომბერში ბათუმის რევოლუციური მოძრაობის დაცემაზე. არ შეეფერება სინამდვილეს.

ნაშრომის 137-ე გვერდზე ავტორი წერს: რამდენადაც ბათუმებლი ბოლშევიკები 1905 წლის ივნისისათვის გაერთიანდნენ მენეშვიკებთან ერთ ორგანიზაციაში, ამდენად ამ წლის მეორე ნახევრი-

დან გამოცემული პროკლამაციები ბოლშევიკური იყო. ეს აზრი არა-სწორია. ცნობილია, რომ რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში სხვადასხვა ორგანიზაციები და პოლიტიკური მიმდინარეობანი ცა-რიზმის დამხმობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების მოთხოვნით გამოვიდნენ. ამის გამო მათ მიერ გამოშვებული პროკლა-მაციებიც რადიკალური სულისკვე-თებისა იყო. ცხადია, ეს სრულე-ბით არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ორგანიზაცია ბოლშევიკების რე-ვოლუციურ პროგრამას და ტაქ-ტიკას იზიარებდა. ამის მაჩვენებე-ლია თუნდაც ის, რომ ორგანიზა-ციული გაერთიანების მიუხედავად ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. ამიტომ 1905 წლის მეორე ნახე-ვარში გამოცემული ყველა პროკ-ლამაცია ბოლშევიკური არ იყო.

ი. ჩულოკის სიტყვით, რსდმპ ბათუმის კომიტეტს 1905-1907 წ.წ. რევოლუციის ღრმს მოუწყვია მხოლოდ სამი აჯანყება: 1905 წლის ნოემბერში და 1906 წლის ზა-ტებელში — ბათუმში, და 1905 წელს — სოჭში (გვ. 205). ავტო-რი კარგად რომ იცნობდეს რსდმპ ბათუმის კომიტეტის ხელმძღვა-ნელ როლს აჭარის შერომელთა რევოლუციურ მოძრაობაში, უთუ-ოდ აღნიშნავდა გლეხთა მნიშვნე-ლოვანი აჯანყების სხვა ფაქტებ-საც (1905 წლის თებერვალ-მარ-ტში ქედა-ცხმორისში, იმავე წლის ნოემბერში — კინტრიშის უბანზე). ამასთან, ივი არათერს

ამბობს რსდმპ ბათუმის კომიტეტის ქედის ჯგუფის მოღვაწობა-ბაზე, სოფლის მუშათა და მუშა-კის გირეთა, განსაკუთრებით კი ჩაქ-ვი-სალიბაურის მამულების მუშა-თა ბრძოლაზე და სხვ.

ავტორის მტკიცებით ბოლშე-ვიკები და მენშევიკები ერთ ორ-განიზაციაში ერთიანდებოდნენ 1906 წლიდან 1917 წლის შუა ხა-ნებამდე (გვ. 211). კონკრეტული მასალების შესწავლით კი ჩანს, რომ პრალის პარტიული კონფე-რენციის გადაწყვეტილების შესა-ბამისად, 1913 წლიდან ბოლშე-ვიკები გაემიჯნენ მენშევიკებს ბა-თუმშიც და დამოუკიდებელი ორ-განიზაცია შექმნეს (ივი თავდა-პირველად 6 ბოლშევიკს ერთია-ნებდა, 1914 წელს კი — 60-დდე). ი. ჩულოკი აქ იმან შეიყვანა შე-ცდომაში, რომ თებერვლის რე-ვოლუციის შემდეგ ბათუმში ბო-ლშევიკები და მენშევიკები კვლავ ერთ ორგანიზაციაში იყვ-ნენ გაერთიანებული. უნდა შევხ-სენოთ ავტორს, რომ ეს მოხდა 1917 წლის 3 აპრილს და გაგრძე-ლდა იმავე წლის 8 ივნისამდე.

1917 წლის გაზაფხულ-ზაფხუ-ლში ბათუმის ოლქში პროფკავ-შირული მოძრაობის ზრდის შე-დეგად შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანო — ცენტრალური პროფ-ბიურო, რომელშიც ი. ჩულოკის სიტყვით „არსებით როლს ასრუ-ლებდნენ ბოლშევიკები“ (გვ. 246). სინამდვილეში კი ასე არ იყო. პროფკავშირების ხელმძღვანე-ლობა, ზოგიერთი პროფკავში-

რის გამოკლებით, ხელთ იგდეს ესერებმა და მენშევიკებმა. თვით პროტბიუროს 9 წევრიდან ბოლშევიკი იყო ერთი (თუმანიშვილი) და ისიც მოლარე. ხელმძღვანელ პოსტებზე ესერებისა და შემშევიკების გასცლის შედეგად კი, პროფესიული წინააღმდეგ ივტორის მტკიცებისა, ვერ შეასრულეს მექანიზმი ორგანიზაციის როლი მუშათა მოძრაობაში.

არასწორად მაგვინიია ავტორის მსჯელობა ბრესტის ზავისადმი ქართველი კომუნისტების დამკიდებულების საკითხზე. კერძოდ, იგი აკრიტიკებს ბათუმელ ბოლშევიკებს, რომლებიც ბრესტის ზავის შემდეგ თურქებისთვის ბათუმის გადაცემის წინააღმდეგ წავიდნენ და ქალაქის დაცვის სურვილი გამოთქვეს. ეს ავტორს მიაჩნია შეცდომად და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობად (გვ. 9, 271-273).

ჩანს, ი. ჩულოვი არ იცნობს სტ. შაუმიანის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე, აგრძელებს ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას, თორემ დარწმუნდებოდა, რომ სწორედ საბჭოთა მთავრობა, პირადად ვ. ი. ლენინი, ასევე ი. ბ. სტალინი, ბრესტის ზავის მიუხედავად, თურქების მხრივ მოსალოდნელი დაპყრობისაგან ბათუმის დაცვის მომხრენი იყვნენ. ეს პიზიცია იმას ეფუძნებოდა, რომ ბრესტის ზავი ბათუმის

ოლქში თავისუფალი რეფერენტუმის ჩატარებას ითვალისწიებდა და და რამდენადაც თურქებულება გან მოსალოდნელი იყო კურსების პის დარღვევა და ბათუმის ანექსია, საბჭოთა მთავრობა დასაშვებად თვლილი მხოლოდ ადგილობრივი ძალებით წინააღმდეგობის გაწევას და ბათუმის შენარჩუნებას. ასე რომ, ბათუმელი ბოლშევიკების გადაწყვეტილება შეცდომა კი არ იყო, არამედ გამოძინარებდა საბჭოთა მთავრობის პოზიციიდან და კონკრეტული ვითარების (საშინაო, საგარეო) გათვალისწინების შედეგს წარმოადგენდა.

უნდა ითქვას, რომ ნაშრომში დასმული ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ძალზე სქემატურად. ლარიბია წიგნის პირველი თავი, რომელშიც მუშათა სოციალ-ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა განხილულია მხოლოდ ერთ გვერდზე, ამასთან სრულიად არაფერია ნათქვამი მუშათა საბინაო პირობებზე (ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა ექიმ მ. სეგალის 1903 წელს რუსულად გამოქვეყნებული მოხსენებითი ბარათი). ავტორისეული მსჯელობა ბათუმის სოციალ-ეკონომიური განვითარებისა და მუშათა მდგომარეობის შესახებ მოყვანილია მხოლოდ 1902 წლამდე. საერთოდ, XX საუკუნის დამდეგი იყო ბათუმის დაწინაურების უმაღლესი წერტილი, რის შედეგ, 1902-1921 წლებში მისი ეკონომიური განვითარება რამდე-

ნადმე შენელდა. ამან უარყოფითად იმოქმედა აღნიშნულ პერიოდში ბათუმის მუშათა რაოდენობაზე და მის კლასობრივ შემაღენლობაზეც. მართალია, ამის თაობაზე ნაშრომში სხვადასხვა ადგილის არის ნათქვამი, მაგრამ გაკვრით და ზოგადად. მისი საფუძვლიანი შესწავლით კი აღვილად გაირკვეოდა ბათუმში 1907-1917 წლებში მენშევიკებისა და სხვა წარტიულ-ბურჟუაზიული პარტიების გავლენის ზრდის მიზე შებიც.

1906-1907 წლების რევოლუციური მოძრაობა დაწერილია მოგონებების საფუძველზე და ამდენად არასრულია, მაშინ, როცა მაშინდელ გარეთებში (ქართული „ლამპარი“, „ელვა“, „მუშა“, „მეგობარი“, „ტალღა“ და სხვ. რუსული — „ბატუმსკი გოლოს“, „ზარია“ და ა. შ.) ამის შესახებ უამრავი მასალაა დაბეჭდილი; ასევე სქემატურადაა გადამუშავებული 1918 წლის 5 მარტის პაბები (ავტორი არც კი ასახელებს ამ საკითხზე არსებულ სპეციალურ ნაშრომს) და სხვ.

წიგნში გვერდი აქვს ავლილი მრავალ საინტერესო საკითხს. მაგალითად, ავტორი სრულიად არაფერს ამბობს ბათუმის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაზე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ 1914-1917 წლებში. ასეთი მნიშვნელოვანი მონაკვეთის გამოტოვება ნაშრომში, რომელსაც ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის რევოლუციამდელი მთლი-

ანი ისტორიის გადმოცემის პრეტენზია აქვს, ყოვლად გაუმართებელია.

ასევე არაფერია ნათქვაში პიზონში ბოლშევიკებისა და მენშევიკების გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნაზე (1917 წლის აპრილი), ხოლო შემდეგ დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციის გაფორმებასა (1917 წლის 21 ოქტომბერი) და მის საგამოცემლო საქმიანობაზე, ანტანტის საკუპაციო რეაიმის წინააღმდეგ აქარის მოსახლეობის პროგრესული ნაწილისა და განსაკუთრებით კი „სამუსლიმანო საქართველოს განმათვისუფლებელი კომიტეტის“ ბრძოლაზე, ართვინის ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობაზე და სხვ. ამასთან, აეტორი ვერ უთითებს ბათუმის ბოლშევიკური ბიუროსა და საქართველოს კპ ბათუმის საოლქო კომიტეტის შექმნის თარიღებს, ვერ ასახელებს კომიტეტის შემადგენლობას და ა. შ.

ლევან და ჭიჭიკო გოთოშები ავტორს სხვადასხვა პიროვნებები ჰვინია (გვ. 99). ასევე ცდება იგი, როცა მიხა კახიანს 1917 წლის ივლისში ბოლშევიკად მიიჩნევს (გვ. 246), სინამდვილეში კი ამ დროს მენშევიკინტერნაციონალისტი იყო. ნ. ანასტასიადი და კ. ბერძენიშვილი,

წინააღმდეგ ავტორის მტკიცებისა, რევკომის შემადგენლობაში არ შეღიოღნენ (გვ. 318). ქართული გვარებისა და გეოგრაფიული სახელების დამახინჯების ფაქტების ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანდა.

ამრიგად, მასალების ზერელე და ნაჩქარევი შესწავლის, ხშირ შემთხვევაში განსახილველი საკითხებისადმი მიკერძოებული მიდგომის, ქართული ისტორიოგრაფიის მიღ-

წევების უგულებელყოფის /გამო ავტორმა ვერ შესძლო და თანმიმდევრულად ეჭვიჭუმება ბათუმის კომუნისტული პარტიისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორია, დაუშვა არსებოთი ხასიათის შეცდომები, დაამახინჯა ცალკეული მოვლენები და ფაქტები, ჩითაც გაუგებრობა შეიტანა ბათუმის კომუნისტური ორგანიზაციის წარმოშობისა და მოლვაწეობის გაშუქებაში.

პარმენ ცეზიტარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აზელ სურგულაძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ზოთა ჯაფარიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

აღმარჯვების შემდეგ

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელსაც თავისი არსებობის ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე აზმია. ამ აზმში ყოველთვის პასუხსაგები როლი ჰქონდა დაკისრებული აქარის პარტიულ ორგანიზაციას. აქარის ბოლშევიკები წარმატებით იღვწოდნენ ლენინური იდეების განხორციელებისათვის და წინ მიუძღვიდნენ მასებს როგორც თვითმკყრიბელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებში, ისე მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში.

1921 წ. 18 მარტის შემდევ, როცა აქარაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჩვა. შეიცვალა პარტიული ორგანიზაციების ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიული მშენებლობის საკითხებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შექმნას, ამ ორგანოებისათვის ხალხის ერთგული ადამიანების შერჩევას. 27 მარტს პარტი-

ულმა კომიტეტმა რევკომს დაავალა, გამოეცა ბრძანება აღგილებზე ხელისუფლების ღროებითი ორგანოების ჩაობაზე და თან რეკომენდაცია მისცა იმ პირებს, რომლებიც ყველაზე მეტად იმსახურებდნენ ხალხის ნდობას და პირველ სახალხო მმართველობაში მონაწილეობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის პირველი ორგანიზაციების განმტკიცებას. 1921 წ. ოთხ აპრილს გაფორმდა 12 პარტიული უფრედი ქ. ბათუმში და ერთიც ქობულეთში. პარტიული მუშაობის უკეთ მოწყობის მიზნით პარტკომმა კვირაში გამოყო ერთი დღე, რომელსაც ეწოდა პარტიული დღე. ამ დღეს ყველა პარტიული მუშავი ცხადდებოდა პარტიულ ორგანოში, კერძოდ, საგიტაციო განყოფილებაში. ისინი აქ მსჯელობდნენ აქტუალურ საკითხებზე, პარტიული მუშაობის მდგომარეობაზე და ამოცანებზე.

პარტიულ მშენებლობას ხელი ეშლებოდა სათანადო კადრების

უკმარობით. ამიტომ 1921 წ. 17
მაისს გადაწყდა, ქ. ბათუმში გე-
ხსნათ პარტიული სკოლა. ეს სკო-
ლა აერთიანებდა 50 მსმენელს.
კვირაში ოთხჯერ ტარღებოდა
ორ-ორ საათიანი მეცადინეობა.

ამ სკოლამ დიდი როლი შეის-
რულა კადრების მომზადების სა-
ქმეში.

მთელი პარტიული მუშაობის
ცენტრში იდგა საბჭოთა ხელისუ-
ფლების განმტკიცების ამოცანა
და, ბუნებრივია, ამ ამოცანის გან-
ხორციელებისათვის ბრძოლის
სულისკვეთებით იყო ვანმსჭვა-
ლული აქარის პარტიული ორგა-
ნიზაციის პირველი საოლქო კო-
ნფერენცია.

კონფერენცია გაიხსნა 1921 წ.
3 ივნისს ქ. ბათუმში, შეავს-
კის თეატრში. მან განიხილა ხუთი
საკითხი: მიმღინარე მომენტი
და პარტიის ამოცანები, პარტი-
ული კომიტეტის ანგარიში, რევ-
კომის მუშაობის შესახებ, საორ-
განიზაციონ საკითხები და არჩევ-
ნები.

საინტერესოა აქარის პარტიუ-
ლი ორგანიზაციის პირველი კონ-
ფერენციის შემადგენლობა. 101
დელეგატიდან, რომლებიც ხუ-
თასმა კომუნისტმა წარგზავნა,
48 იყო რუსი, 21 ქართველი, 13
ებრაელი, 5 სომეხი, ამდენივე
ბერძნი, და 9 სხვადასხვა ეროვ-
ნების წარმომადგენელი. დელეგა-
ტთა შორის იყო 47 მუშა. დაბალი
განათლება ჰქონდა 25-ს, საშუა-
ლო — 27-ს, უმაღლესი — სამს.,
დაარჩენი 46 მცირემცოდნეთა

რიცხვს ეკუთვნოდა. ქალწა 100/
ხვი შეადგენდა შვიდს. უკრავული
გამჭვირთვა
საყურადღებოა დელეგატთა პა-
რტიული სტატუც. პარტიაში 1903-
1905 წლებში შესულნი — 3,
1906-1916 წლებში — 3, 1917-
1920 წლებში — 78 და 1921
წელს — 17.

როგორც ამ მონაცემებიდან
ჩანს, აქარის საოლქო პარტიული
ორგანიზაციის პირველი კონფე-
რენციის დელეგატთა შემადგენ-
ლობა მრავალეროვანი იყო. იგი
ასახავდა ჩენი მხარის მოსახლეო-
ბის მრავალეროვნებას, მის ინტე-
რნაციონალურ ხასიათს. დელე-
გატთა შემადგენლობაში წამყვანი
ადგილი მუშებს ეჭირათ. დელე-
გატთა დიდი უმრავლესობა პარ-
ტიაში შესული იყო საქართველო-
ში საბჭოთა ხელისუფლების გა-
მარჯვებამდე. მცირემცოდნეთა და
დაბალი განათლების მქონეთა დი-
დი რიცხვი იმას მოწმობს, რომ
იმ დროისათვის აჭარა სწავლა-
ვანათლების მხრივ ჩამორჩენილი
კუთხე იყო.

პირველმა პარტიულმა კონ-
ფერენციამ განსაზღვრა პარტი-
ული მშენებლობის მთელი რიგი
საკითხები, შეიმუშავა ღონისძიე-
ბები, რომლებმაც ხელი შეუწყო
პარტიული ორგანოების შექმნა-
ვანმტკიცებას. ამ კონფერენცია-
ზე საქართველოს კპ (ბ) ბათუმის
ორგანიზაციის ეწოდა საქართვე-
ლოს კპ (ბ) აჭარის ორგანიზაცია.

საქართველოს კომპარტიის აჭა-

რის საოლქო კომიტეტში სულ მუშაობდა 22 კაცი, მათ შორის რვა პასუხისმგებელი მუშაკი და 14 ტექნიკური პერსონალი. საოლქო კომიტეტს ჰყავდა ერთი მდივანი და განყოფილებათა გამზები. პირველ რიგში შეიქმნა საორგანიზაციო - საინსტრუქტორო, სააგიტაციო-საპროპაგანდო და საერთო განყოფილებები. შემდეგ კი ქალთა შორის მუშაობის განყოფილება.

პარტიის საოლქო კომიტეტი აპარატის შექმნისას ხელმძღვანელობდა დროებითი ინსტრუქტურით, რომელიც ითვალისწინებდა შტატებს. თავდაპირველად ადგილებზე კადრებისა და კომუნისტთა სიმცირის გამო ყველა შტატს ვერ აკომპლექტებდნენ. ადგილებზე პირველად შეიქმნა ბიურო-კოლექტივები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ბიურო-კოლექტივებს მდივნები.

ინსტრუქტივის მიხედვით თვეში ერთჯერ იწვეოდა ადგილობრივი კომიტეტის პლენუმი, ხოლო პრეზიდიუმი — კვირაში ორჯერ. პლენუმი იხილავდა და წყვეტდა საერთო პრინციპულ საკითხებს პარტიული დირექტივების ჩარჩოებში, ნიშნავდა, გადატყავ-გადმოჰყავდა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, იხილავდა პრეზიდიუმის მიერ დაყენებულ საკითხებს.

პრეზიდიუმი ასრულებდა და ცხოვრებაში ატარებდა პლენუმის

გადაწყვეტილებებს, აგრეთვად მოჭრილ მიმდინარე თუშებისა კითხებს. პრეზიდიუმი პასუხისმგებელ მდივანს, რომლის მოვალეობას შეადგენდა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკების შერჩევა, გადაყვან-გადმოყვანა, ანგარიშის წარდგენა ზემდგომ პარტიულ ორგანოებში იმაზე თუ როგორ მუშაობდნენ რაიონული. საქალაქო ორგანიზაციები, ყველა განყოფილებისადმი დახმარება და კონტროლი, ოქმების შედგენა-რედაქტირება და სხვ. პარტიულ ორგანიზაციებში არჩევნები ეწყობოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის (1921 წ.) მიერ მიღებული ინსტრუქციით. სარაიონნო პარტიულ კონფერენციაზე არჩევნებში მონაწილეობდა ყველა კომუნისტი. პარტიის 10 წევრი ირჩევდა ერთ დელეგატს, ხოლო იმ პარტიულებში, სადაც 10 წევრზე ნაკლები იყო — მაიც ერთ წარმომაღვენელს. სარაიონო კონფერენცია ირჩევდა საოლქო კონფერენციის დელეგატებს.

პარტიის ყველა წევრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, ადგილკომების, საკონტროლო კომისიების, მუშურ-გლეხური ინსპექციების, გლეხთა საბჭოების არჩევნებსა და მათ მუშაობაში.



პარტიის საოლქო კომიტეტის განყოფილებები, ქვევანყოფილებები, პასუხისმგებელი მუშაკები ეხმარებოდნენ აღილობრივ კომიტეტებს, კომუშრედებს, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშრულ და სხვა ორგანიზაციებს. ისინი სისტემატურად ატარებდნენ კოლეგიის სხდომებს, თათბირებს, აქტივს შეკრებებს, კომუშრედების მდივნების სემინარებს, სადაც იხილავდნენ აღილობრივი თუ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ მნიშვნელოვან დირექტორებს, აქედან გამომდინარე სახავდნენ შესაბამის პრაქტიკულ ღონისძიებებს.

პარტიის საოლქო და სარაიონო, უფრო გვიან, სამაზრო კომიტეტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპების გატარებას, პარტიული ორგანიზაციების ერთიანობას, პარტიის რიგების მოწინავე ადამიანებით შევსებას, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობას, კომკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, ქალთა შორის მუშაობას, კადრების შერჩევას, აღზრდასა და განაწილებას, მიღებული დადგენილებების შესრულებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

პარტიული უჯრედების ღია კრებებზე იხილებოდა პარტიის

პროგრამა და წესდება, უსაბოროს პროფესიული, კომისიუსტიტუტული, კომპერაციული მშენებლობის, ფაბრიკა-ქარხების მშენებლობის, სურსათით მომარავების, მიწის გამოყენების, ხვანა-თესვის, მეცხოველეობის განვითარების, მუშათა და გლეხთა მდგომარეობის თუ სხვა აქტიურური საკითხები. პარტიული ორგანიზაციები იბრძოდნენ იმისათვის, რომ ყველა მშრომელს აქტიური მონაწილეობა მიეღო სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებასა და სოციალიზმის მშენებლობაში. ამ ამოცანების გადაწყვეტა კი საბჭოთა ხელისუფლების პირველწლებში დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა დაძაბულ შემოქმედებითს შრომას.

საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობით განხორციელდა პირველი სოციალისტური გარდაქმნები აქარაში. წარმატებით ტარდებოდა პარტიული მშენებლობის ლენინური პრინციპები. საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ მშრომელთა შორის მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. იგი წარმატებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. მისი ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდნენ სახალხო მეურნეობის აღდგე-

ნისა და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის

მნის 50 წლისთვეს. ისინი ახლა
მთელ თავიანთ ძალებს ახმაუენ/
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედების გადახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებას, ახალი საზოგადოების მშენებლობას.

აზიზ ახვლედიანი

ო რ თ ა გ ა თ უ მ ი

ეთიშოლოგიური ჯანმატა

ბათუმის აღმოსავლეთით, სულ რაღაც ათიოდე კილომეტრზე მდებარეობს სოფელი ორთაბათუმი (ახლა ჩაისუბანი). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ხალხის ერთ ნაწილში გავრცელებული აზრით, ორთაბათუმი თურქული წარმომავლობის სახელწოდებაა. ამიტომაც იყო, რომ რამდენიმე წლის წინ მას სახელი შეუცვალეს და ჩაისუბანი უწოდეს.¹

ქართულ სინამდვილეში მსგავსი ტოპონიმების დადასტურებამ, ადგილობრივ შეკრებილმა თქმულება-გადმოცემებმა და ამ სახელწოდებაზე დიდი ხნის დაკვირვებამ მივცივანა იმ აზრამდე, რომ ორთაბათუმი ქართული წარმომავლობის სიტყვაა.

უნდა აღინიშნოს, საერთოდ, რომ თურქულად გაფორმებული სახელწოდებანი აჭარის გეოგრა-

ფიულ ნომენკლატურაში ძალზე მცირება. ისინი საკუთრივ ხელვაჩაურის რაიონის მიკროტოპონიმთა მხოლოდ 2.3 პროცენტს შეადგენენ.²

სამართლიანობა მოითხოვს აღცნიშნოთ, რომ ხალხის ერთ ნაწილში იყო გავრცელებული თქმულება, რომლის მიხედვითაც თურქებს აღნიშნულ სოფელში აუგიათ ქვის გამე (ასეთის ნაშთი იქ მართლაც არის). იგი სერთო ყოფილა ყველა ახლომახლო სოფელებისათვის და ამიტომაც შეჩემევია სოფელს ორთაბათუმი (მუაბათუმი). ეს გულუბრყვილო ხალხური ეტიმოლოგია, რომელიც შორსაა სინამდვილისაგან.

დავუშვათ, რომ ახეც იყო. მაშინ როდის უნდა მომხდარიყო ეს? რა თქმა უნდა, არაუგვიანეს მე-16

2 Партенадзе М. Х. Микротопонимика Аджарской АССР, отражающая эпоху турецкого ига. Всесоюзная конференция по топонимике СССР, Тезисы докладов и сообщений, II., 1965, стр. 154—155.

1 ი. სიხარულიძე, ტოპონომიკა, II,
83. 92.

საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დამდეგისა, როდესაც თურქები აქ გაძატონდნენ და ჭამების მშენებლობას შეუდგნენ (ინტენსიურად ეს მოვლენა აჭარაში უფრო მოვიანოდ დაიწყო).

თითქმის არ იძეპნება აჭარაში ისეთი ტოპონიმი, რომელსაც თურქებმა შეუცვალეს სახელი და ნამდვილი ქართული სახელი კი არ შემორჩენოდეს ხალხის მეხსიერებას. ორთაბათუმის მეზობლად მდებარეობს ახლანდელი სოფელი განთიადი, რომელსაც თურქებმა ყარადირე (შავი ღელე) შეარქვეს და რომლის თვედაპირველი ქართული სახელწოდება ორპირი ახლაც ახსოვთ აღვილობრივ მკვიდრო.

ორთაბათუმის მიმართ ასეთი რამ არ დადასტურდა.

თურქული *Orta batum*³ შუაბათუმს ნიშნავს. რატომ უნდა დარქმეოდა ორთაბათუმს შუაბათუმი? იგი ხომ გეოგრაფიულად ბათუმის თითქმის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარეობს. ასე რომ, ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუ როდის ან რატომ დაერქვა სოფელს ეს სახელი. არც შერქმეული სახელი (თუკი იგი თურქულია) შეესაბამება სემანტიკურად შესარქმევ ობიექტს. რაც შეეხება გადმოცემას, ახლომახლო სოფლებისთვის საერთო ჭამეს არსებობის

შესახებ, მას ეძებნება ქართველი ნიადაგზე წარმოშობილი ანალოგიური გაღმოცემა, რომლის ქართული და სოფელ სამებაში (ესეც ორთაბათუმის მახლობლადა) იყო ეკლესია. „აქ თავს იყრიდა და ლოცულობდა მახინჯაურის, ორთაბათუმის, ყორალისთვის, ახალშენის და სხვა სოფლების ხალხი... ამას გარდა აქ გაარჩევადნენ ხსენებულის სოფლების ხალხის საქმეს და სხვა“⁴. თურქეთის ბატონობის პერიოდში, რახან სიტყვის გარეგნული გაფორმებაც (ორთაბათუმი — შუაბათ უ მი) ხელს უწყობდა ამას, ხალხმა სამების შესახებ არსებული თქმულება მიქანიკურად ორთაბათუმს დაუკავშირო.

ასევე დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდნენ სოფელ თლლაურის სახელწოდების თურქულ წარმომავლობაზეც, ვიდრე იგი არ იქნა აღმოჩენილი XI-XIII ს. ს. ძეგლში, „მაჭახლის სულთა მატიანის“⁵ სახელით რომაა ცნობილი. „ოლლაური“ — ურ სუფიქსითა ნაწარმოები ოღია (იხ. საბა) სიტყვისაგან, რომელიც შემდგომში თურქულ ოღლად (შვილი) იქნა გააზრებული.

ასევე მოუკიდა ორთაბათუმსაც: რაკილა იქ თავის დროზე აშენდა ჭამე, რომელიც საერთო იქნებოდა რამდენიმე სოფლისთვის, და, რაკილა სახელწო-

4 ზ. ჭიჭინაძე, „ივერია“, 1895, № 152.

5 С. С. Какабадзе, Грузинские документы института народов Азии АН ГССР М., 1967, стр. 351.

დება ბერიათშედგენილობით, გარეგნულად მაინც, ემსგავსებოდა თურქულ შუაბათუში (Ortabat u m), ასც იქნა გააზრებული. შემდეგ თანდათანობით სულ დაივიწყეს მისი ქართული წარმომავლობა და, როგორც აღვნიშნეთ, სახელიც კი შეუცვალეს.

ორთაბათუში რიცხვითი სახელის ორ-თ-ას და ბათუმისაგან ნაწარმოები კომპოზიტია.⁶ რიცხვით სახელ ორ-თ-ა-ში თ არის მეორე მრავლობითობის (თანიანი) აღმნიშვნელი, რომელსაც ერთვის ემფატიური ა. ხალხში არსებული გაღმოცემაც იმაზე მიგვანიშნებს. რომ სოფელი ოდესლიც ორ კაცს ეკუთვნოდა. თუ ვინ იყო ის ორი კაცი, ამის შესახებ ჯერჯერობით არავითრი ცნობა არ გაგვაჩნია.

ქართულ ლექსიკაში მრავლად გვიჩვს მსგავსი სახელები: ორთავი — ზღურბლი,⁷ ორთი — ბერძნულია, დღეობასა ჰქვიან: ორტაბახი — გრილსა და მხურვალს საშუალი (იხ. საბა). და სხვა.

XI საუკუნით დათარიღებულ მცხეთის საბუთში სწერია: „...ვო-

6 სახელწოდება ბათუმ-ზე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა და მის შესახებ ჩვენ აქ სიტყვას აღიარ გავაგრძელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველი ბათუმი როთაბათუმის მასლობლია, მრ. ყორლისწყლის შესართავთან მდებარეობდა.

7 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკაში, ტ. VI.

ყიდე... სოფელი ორთა სამითა აგარა ჭთა“⁸ სოფელ ოქტომბერში ორით ნაწარმოები სპეციალურდება ბებს ვცვდებით აგრეთვე სხვა ქართულ საბუთებშიც.⁹

რიცხვითი და არსებითი სახელებით ნაწარმოები კომპოზიტების მიზემევა აღიღილებისათვის არა უცხო ქართულ ტოპონიმიკაში. სამხრეთ საქართველოში არის ასეთი ტოპონიმები: ოთხთაწყალი, ოთხთაეკლესია¹⁰ და სხვა. აღსანიშნავი ისიც, რომ თურქებმა ოთხთაწყალს შეუცვალეს სახელწოდება და დაარქვეს ოთხთაჩაი.¹¹ როგორც ვხედავთ, იცვლება მხოლოდ „წყალი“, რიცხვითი სახელი „ოთხი“ უცვლელად რჩება. ისეთი ჰიბრიდული წარმოშობის ტოპონიმები აქარაშიც გვხვდება.¹²

ვახუშტეი ბატონიშვილი, აღწერს ჩა შავშეთის მდინარეს და ხევს, ამბობს: „ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენი დიდ-მცირენი“,¹³

8 6. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის სეიოთხები, IV, 1967, გვ. 283.

9 С. С. Какабадзе, Грузинские документы..., стр. 329. ს. გიქა, გურგასტანის კოლეგის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 9, 12, 13.

10 ა. თავარშვილი, 1917 წლის აღქვერვის დროის ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 72.

11 იქვე

12 Партенадзе М. Х. Микротопонимика Аджарской АССР..., стр. 155.

13 ვახუშტე, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, თბ., 1949, გვ. 136.

მასვე ორგზის აქვს დასახელებული ტოპონიმი ორთაშუა (ბოლნისის ხეობა)¹⁴ და (ჭივჭივას ხეობა).¹⁵

აქარაში გვაქვს ასეთი ტოპონიმები: ორთავაკვე,¹⁶ ორთახოხნა,¹⁷ ორთახევი.¹⁸

დაბოლოს საყოველთაოდ ცნობილი თბილისის ორთაჭალა, რომელსაც ლექსიკოგრაფი ნ. ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: „მდი-

ნარის ორთა ტოტთა შორის მდგ/ ბარე ჭალა“.¹⁹ უკრაინული მსგავსი ანალოგების შემთხვევა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, ესეც კმარა.

ორთაბათუმი ქართული სახელწოდებაა სოფლისა. იგი მიღებულია, როგორც ითქვა, რიცხვითი სახელის ორ-თ-ა-სა და გეოგრაფიული სახელწოდება ბათუმისაგან.

14 იქნ., 83. 191.

15 იქნ., 83. 194.

16 ი. სიხარულიძე, ტოპონიმიკა, I, 83. 101.

17 იქნ.

18 ი. სიხარულიძე, ტოპონიმიკა, II, 83. 153.

19 ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961. ალ. ლლონტის რელაჟ-ცისთ.

უმღევ თურქმა დამპულიბრებ
მა მთელი სამხრეფის კუნძული
ველო მოსწყვიტეს და გადასახმარებ
ლოს, აյ საუკუნეების მანძილზე
სსტიკად იდევნებოდა ქართული
ტრადიციები, ქართული კულტუ-
რა.

ქართველი ხალხი მუდავ მტკიც-
ნეულად განიცდიდა საქართვე-
ლოს სხეულიდან მისი საუკეთესო
ნაწილის ჩამოგლეჭა-მიტაცებას და
ყოველთვის ცდილობდა ტყვეობა-
ში მყოფი ძმების დახსნას. ეს სა-
ნატრელი დღეც დადგა, 1877-1878
წლების რუსეთ-თურქეთის ომის
შედეგად აჭარა კვლავ დაუბრუნ-
და დედა-საქართველოს.

მთელი საქართველო გამოეხმა-
ურა ილია ჭავჭავაძის მოწოდებას,
ძმური დახმარების ხელი გაეწო-
დებინათ ახლად შემოერთებული
ძმებისათვის. ქართული კულტუ-
რის ამ მებაირახტრეს აუცილებ-
ლად მიაჩნდა ქართული ეროვნუ-
ლი თვითშეგნების ამაღლებისა-
თვის ბათუმსა და აჭარის დაბა-
სოფლებში ქართული სკოლების
გახსნა, ქართული წიგნებისა და
უურნალ-გაზეთების გავრცელება,
ქართული წარმოდგენების გამარ-
თვა.

ეს ის დრო იყო, როცა თბილის-
ში ილია ჭავჭავაძე იღვწოდა ქა-
რთული თეატრის აღდგენისათვის.
როგორც ცნობილია, გიორგი ერი-

მისაბ ხინიკები

საქ. სსრ სახალხო არტისტი

გათუმის თეატრი

ქართული თეატრალური ხელო-
ვნების ისტორია შორეული წარ-
სულიდან იღებს სათავეს. ამის
უტყუარი საბუთია უფლისციხე,
რომელიც განეკუთვნება ჩვენი
წელთაღრიცხვის პირველ-მესამე
საუკუნეებს. ჩვენამდე მოღწეული
წერილობითი საბუთებით თეატ-
რის არსებობა დასტურდება ქველ
აჭარაშიც. ბიზანტიის მწერლის
პროკოფი კესარიელის ცნობით მე-
სუთე საუკუნის წინ „აფსარუნტი
შემკული იყო თეატრითა და იპოდ-
რომით“. აფსარუნტი თანემედრო-
ვე გონიო და მისი მიღამოებია, სა-
დაც ახლაც დგას ქველი ციხე-
სიმაგრის კედლები.

სთავის თეატრი დაიხურა 1854 წელს და თბილისში მუდმივი თეატრი აღარ ასესპობდა. ილიას მეთაურობით 1879 წელს შეიქმნა დრამატული საზოგადოება და აღ-დგენილი იქნა მუდმივი ქართული თეატრი.

ბათუმში ქართული წარმოდგე-ნის გამართვა ითვა ქეთევან უ-რულმა. მისი თაოსნობით 1879 წლის 20 ივნისს დაუდგამთ ზ. ან-ტონივის კომედია „განა ზიძიამ ცოლი შეირთო?“ წარმოდგენის დრიდალი ხალხი დაწრებია, მათ შორის მაპმადიანი ქართველები, და ძალიან მოსწონებიათ.

ამდენად ბათუმის თეატრის დაარსების თარიღიდა ითვლება 1879 წლის 20 ივნისი. აქედან მო-ყოლებული ბათუმში სისტემატუ-რად იმართებოდა სცენის მოყვა-რულთა წარმოდგენები.

ბათუმის ხშირი სტუმრები იყვ-ნენ თბილისისა და ქუთაისის თეა-ტრები. მათი მაღალმხატვრული საექტაცილები წარუშლელ შთა-ბეჭდილებას ახდენდა მაყურე-ბელზე. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ სპექტაკლებში მო-ნაშილეობდნენ ქართული თეატ-რის კორიფეები: მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ეფემია შესხი, ნინო ჩხეიძე, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე შესხი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმ-ედაშვილი და სხვები.

1901 წელს ბათუმის მოწინა-ვე მუშებმა, თბილისის მუშათა

დრამატული წრის, ე. წ. „ავთალი უფიტორის“ მსგავსად შექმნება დრამატული წრე, რომელიც დამატებით მიმდინარეობდა მანძილზე სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს და შე-მოსულ ფულს პოლიტპატიონებსა-და მათ ოჯახებს ახმარდა. ამ წრე-ში დგამდა წარმოდგენებს შემდე-გში ცნობილი რეჟისორი ალექსან-დრე წუწუნავა. მუშათა დრამა-ტული წრე დიდი მოწონებითა და ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც მუშებს შორის, ისე მო-სახლეობაში.

1912 წელს შალვა დადიანის თაოსნობით ჩამოყალიბდა ე. წ. „მოგზაური დასი“, რომელიც მიზ-ნად ისახავდა მომსახურება გაეწია შავი ზღვისპირა ქალაქებისა და რაიონებისათვის. დასში შედიოდ-ნენ პროფესიონალი მსახიობები. „მოგზაური დასის“ ადგილსამყო-ცელი ბათუმი იყო. მან მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა და უსახს-რობის გამო დაიშალა.

1913 წელს ბათუმში დაარსდა დრამატული საზოგადოება, რომ-ლის თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივ-ანე მესხი. ეს საზოგადოება ბათუ-მში დიდხანს ხელმძღვანელობდა სათეატრო საქმეს.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება დამყარ-და. პათუმის რევოლუციურ კომი-ტეტოან შეიქმნა ხელოვნების სამ-

მართველო. მოხდა თეატრის ნაციონალიზაცია. შმაეგსკის თეატრს ეწოდა ეკადემიური თეატრი. ჩამოყალიბდა დასი და გაჩაღდა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათ წელიწადში ბათუმს ბევრი კარგი სეზონი ახსოვს. აქ დილხანს მოვაწეობდნენ ვასო ურუშაძე, ალექსანდრე ყალაბეგიშვილი, კორილე მაჭარაძე და მარო მდივანი. სხვადასხვა სეზონში მუშაობდნენ ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, მ. გელოვანი, ა. ვასაძე, ვ. ანგაფარიძე, შ. ლამბაშიძე, ემ. აფხაძე და სხვები. 1926-1928 წლებში ბათუმის თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობდა ეკავი ფალევა.

1928-1930 წლებში ბათუმს მომსახურებას უწევდა ქუთაის-ბათუმის თეატრი, რომელსაც ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა.

ძირითადად მაინც სეზონური დასხები დგებოდა. იცვლებოდნენ რეჟისორები და მსახიობები. თანადათან მწიფდებოდა მუდმივი დასის შექმნის იდეა. ბათუმში მუდმივი თეატრის ჩამოყალიბების ინიციატორი გახდა ცნობილი ქართველი რეჟისორი სანდო ახმეტელი.

1932 წელს ბათუმს საგასტრო-ლოდ ეწვია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, რომელიც აქ მთელი თევე დარჩა. ს. ახმეტელმა იზრუნა, აღვილობრივი ახალგაზრდებისაგან მოემზადებინა ბათუმის დრამატული თეატრის კადრები. მან შეარჩია ნიჭიერი

ახალგაზრდები და წაიყვანის აუს-თაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებული იმული დიაში. აქ შეიქმნა ე. წ. „აჭარის სექცია“.

1937 წლის დამდეგს ბათუმში დაბრუნდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სტუდიადამთავრებული ოცი ახალგაზრდა მსახიობი, რომლებმაც თან ჩამოიტანეს სტუდიაში მომზადებული ორი სცენტრალი — გ. მდივნის „ბრძა“ და კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“.

ბათუმის სახელმწიფო თეატრი გაიხსნა 1937 წლის 18 მარტს გ. მდივნის პიესით „ბრძა“. ახალი თეატრალური კოლექტივი შეივსო უფროსი თაობის მსახიობებით და გაჩაღდა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. „ბრძასა“ და „სასტუმროს დიასახლისს“ სხვა ახალი დადგმები მოჰყვა: გ. მდივნის „ალგაზარი“ და „სამშობლო“, ს. მთვარაძის „თევრათი“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, ს. შანშიაშვილის „არსენა“ და ასე, დადგმას დადგმა მოსდევდა, სეზონს სეზონი...

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრმა თავისი არსებობის 34 წლის მანძილზე 250 დადგმა განახორციელა და ბევრმა მათგანმა საყოველთა აღიარება მოიპოვა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დაისახელოთ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. სევერ დიდი წარმატებით მიღიოდა ვ. დარასელის „კაკივიძე“, გ. ნახუცრიშვილის „ლადო კეც-

ხოველი“, გ. მდივნის „ალკაზარი“, ა. ლეტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ლ. გოთუას „ერეკ-ლე მეფე“, ვ. კანდელაკის „მაია წენეთელი“, უ. შექსპირის „ოტელო“ და სხვ.

თეატრის კოლექტივი ხუთგერ იყო გასტროლებზე თბილისში. ბევრჯერ სწვევია რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს, სადაც ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა.

თეატრი თავის სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად ხშირად იწვევს გამოჩენილ მსახიობებს. სპექტაკლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ვერიქ ახვაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, მიხეილ გელოვანი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, ელენე ყიფშიძე, სანდრო უორულიანი, ნოდარ ჩხეიძე, ერის მანჯგალაძე და სხვები. ყველა ჩვენგანი ცდილობდა ღირსეული პარტიიონობა გაეწია სახელმოხვევილი მსახიობებისათვის. და ეს დიდ შემოქმედებით სტიმულს გვაძლევდა, განუზომლად ზრდიდა პასუხისმგებლობას მაყურებლის წინაშე.

თეატრს ადგილობრივ მწერლებთან თანამშრომლობის საქმით მდიდარი ტრადიცია აქვს. პირველად ბათუმის თეატრში აიდგა ფეხი დრამატურგმა ვალერიან კანდელაქმა. ნაყოფიერად თანამშრომლობს თეატრთან მწერალი პარმენ ლორია. განსაკუთრებული

ლი მოწონება ხედა მის „ნარიას“. ასევე წარმატებით ეფექტული ბოდა ა. შერგაშიძის პრივატულობა უნდა აღინიშნოს მწერალ ალ. სამსონიას „ჩემი შვილი სიმონი“ და „ზღვა და სიყვარული“, რომლებიც გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა, როგორც აქ, ისე გასტროლების დროს თბილისსა და მოსკოვში. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ თეატრთან ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, გიორგი სალუქვაძე, შოთა რუსა, სანდრო ლომინაძე და სხვები.

ბათუმის თეატრი მომსახურებას უწევს აჭარის რაიონებსაც, თოთქმის ყველა სოფელში მართავს წარმოდგენებს.

არ ყოფილა ისეთი ღირსსახსოვარი თარიღი თუ იუბილე, რომ თეატრს თავისი სიტყვა არ ეთქვს. ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით გლეიზვილის, რუსთაველის იუბილეები თეატრმა საგანგებო დაგმებით აღნიშნა.

დიდი ლენინის დაბადების ასიწლისთვის საიუბილეო თარიღს თეატრმა სპექტაკლების მთელი სერია მიუძღვნა.

თეატრის კოლექტივი სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვაკონკურსებსა და დათვალიერებებში. მთელმა დასმა, აგრეთვე ცალკეულმა შემსრულებლებმა ბევრჯერ დამსახურეს ჯილდო, საჩუქარი, სიგელი და მაღლობა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის წამყვანი თეატრების შემდეგ ბათუმის თეატრს ხედა პატივი გასტროლები გაემართა მსოფლიოს.

ისეთ თეატრალურ ცენტრში, როგორიც არის მოსკოვი.

ამჟამად თეატრის კოლექტივში მუშაობს ოთხი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. მსახიობთა უმრავლესობას მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ და აჭარის სსრ დამსახურებული მსახიობის საპატიო წილი.

უკვე მესამე წელია ბათუმის თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობს ნიჭიერი რეჟისორი და მსახიობი გორგი ქავთარაძე. მ. პერიოდში თეატრის კოლექტივს დიდი გამოცემება და შემოქმედებითი აღმავლობა დაეტყო. ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორი ე. ჩაიძე, რომელმაც შექმნა სინტერესო სპექტაკლი „დუელი“.

რეჟისორის მხრივ ბათუმის თეატრს მუდამ სწყალობდა ბედი. სხვადასხვა დროს ჩვენთან მუშაობდნენ დ. ალქესიძე, ა. ჩხარტიშვილი, ვ. ჩომახიძე, ვ. მურალია, გ. ლვინიაშვილი, გ. ლალიძე, შ. მესხი, ნ. გაჩავა, გ. უორდანია, თ. აბაშიძე, ვ. ტაბლიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის დაარსების დღიდან მუშაობს რეჟისორი შ. ინასარიძე. მას დიდი ამაგი მოუძღვის თეატრის წარმატებებში.

ბათუმის თეატრში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ან ცალკეული დაღგმები გააფორმეს მხატვრებმა ი. გამრეკელმა, თ. აბაკელიამ, ე. ახვლედიანმა, დ. თავაძემ, ვ. ასკურავამ, ფ. ლაპიაშვილმა, გ. ცურაბიძემ, გ. ყაზბეგმა, დ. იმნაიშვილ-

მა, მ. სოვეტოვმა, გ. ცეცილებეგ და სხვებმა. უკვე თბუთშეტის წალია თეატრის მთავარი უკუკვებების კუპლისტება ა. ფილიბოვი დიდ მუშაობას ერევა სპექტაკლების მაღალმხატვრული გაფორმებისათვის.

ამჟამად თეატრის კოლექტივი მთელი მონდომებით და ენთუზიაზმით იღვწის, რომ ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის სახელმოვან იუბილეს. უკვე დადგა ამ თარიღისადმი მიძღვნილი არის სპექტაკლი — კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და ნ. დუმბაძის „ნუ ვეშინია, დედა!“

გასული წლის მიწურულს თეატრი, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, შემოქმედებითი ანგარიშით წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო ვაჟას „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, ნ. დუმბაძის „ნუ ვეშინია, დედა!“ უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ და ალ. ჩხაიძის „ხილი“. გასტროლებს დამსახურებული წარმატება ხელა.

ჩვენი თეატრის კოლექტივი შემოქმედებითი აღმავლობის გზაზეა და მომავალში მაყურებელს გაახარებს უფრო მაღალმხატვრული, მაღალიდეური სპექტაკლებით, ღირსეულ წვლილს შეიტანს ქართული თეატრალური კულტურის განვითარებასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ნიგნის კიარებული

ს ა ი უ ბ ი ლ ე რ

ნ. ნიგნის, ჩ. ჯიბუთი. საბუოთა აქარა 50 წლისა. ბათუმი. 1970 წ. 95 გვ.

წიგნის მაღაზიების თაროებზე უკვე აღარ დევს ეს ნაშრომი და ესეც მოწმობს მის ღირსებას. თუმცა, შეიძლებოდა გევასკვედურებინა გამომცემლიბისათვის, რომ ორი ათასი ცალი ძალიან ცოტაა, ამ ტირაჟით ახლა მარტო აქარას თე დავამაყოფილებთ. ამგვარ ღირებულებას ინტერესით ეწაუებიან საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. მით უმეტეს ამჟამად, როცა მთელი ქართველი ხალხი გულმოდგინედ ემზადება თავისი ღირი ეროვნული დღესა-სწაულისათვის.

აქარის ბეჭისაღმი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იქნება ქართველობა. და ამით თვით აქარის წარსული, მისი მრავალჭირნახული ისტორია პირობებდა. წიგნის აეტორებიც აქედან იწყებენ თხრობას.

აქარი ისტორიული მესხეთის, საქართველოს ამ ოდესაც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, აყვაებული მხარის ნაწილია და მინშენელოვანი წვლილი შექმნდა ქართული კულტურის მდიდარ საგანძურაში. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული მატერიალური და სულიერი კულტურის უამრავი ძეგლი, ამას ღია-დებს თვით დაზი ილია: „...ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცლეს იქ უჩქენია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა, განათლება, მატელისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვეს ქვეყანას ერთს დროს.“

ასეთი ძალმოსილებით უნდა ისსნას ის, რომ ოსმალთა ბატონობის შერიცვაში დამპყრობლებმა აქარის მოსახლეობა ვერ გათლურებეს, ქართული ენა, ზნე-ჩვეულებანი, ეროვნული ტრადიციები ვერ მოსცეს. 1878 წელს, მას შემდეგ, როცა რუსეთ-თურქეთის ომის შედევრად აქარა კლავ დაუბრუნდა დელასაშიმობლოს, შერიც ბეგ ხიმშავეილს ჰკითხეს „ქართული ხომ არ დაიტუნიათ იქითქენონ. — მან უპასუხა: — რა ბრძანებაა, ბატონონ, მთელ აქარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს?“.

სულთნის კლანეებისაგან დასნის შემდეგ აქარა კაპიტალისტური განვითარების გზას დადგა. მის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცელი-დებები მოხდა, მაგრამ ნამდგრილ თავისუფლებასა და ღორძინებას მხოლოდ საბჭოთა წყობილების მეობებით ეღინდა. 1921 წლის 18 მარტიდან, როცა აქარაში საბჭოთა ხელისუფლება დაშავარდა, აქარის მშობლელთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენში განვითარდა სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აყვავდა ქართული კულტურა, აღიზარდა სახალხო ინტელიგენციის მრავალრიცხვონი კადრები. ამას ზოგრული სიცხალით ცხადყოფს წიგნში მოტანილი მდიდარი ფაქტობრივი მასალა.

აეტორები საესებით სამართლიანად ამნილებენ გეოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიკურ ღირებულებულებების უხევშ შეცდომას, რომლის მიხედვით „აქარლის“ ცნება გაიგივებულია ერის

ცრებასთან. საქმე ის არის, ვკითხულობთ წიგნის 23-ე გვერდზე, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საქართველოს კუთხურ-ეთნიკური დაყოფა კი მოისპონ და ჩამოყალიბდა ახლანდელი აღმინისტრუციული დაყოფა, მაგრამ დღემდე ტრადიციულად ხმარებაში შემოვარჩა ქართველის კუთხურ-ეთნიკური ვინაობის აღმინშვნელი სიტყვები: გურული, აჭარელი, კახელი, მესხი, ხევსური და სხვ. „აჭარელიც“ იმავე შინაარსისაა, როგორც სხვა ეთნიკური ერთეულები.

ზემოთ აღნიშნული შეცდომის ავტორები აჭარებს ცალკე ერად მიიჩნევენ იმიტომ, რომ აჭარა საქართველოს შემადგენლობაში შედის როგორც ავტონომიური რესპუბლიკა. მთავარ არ იციან, რომ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა შექმნის საფუძვლად უდევს არა ერის ცნების მარქსისტული განსაზღვრების ნიშნები, არამედ საქართველოს ამ მხარის რთული ისტორიული წარსულიდან გამომდინარე ზოგიერთი სპეციფიკურობა.

ნ. ნიკარაგუა და ნ. ჯიბუტის ნაშრომის სახით მკითხველებს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ კარგი ნობათი უძლვნა. მასში ნათლად, გასაგებად, ციფრებისა და ფაქტების ენით მოთხოვნილია თუ რა მისია საბჭოთა ხელისუფლებამ აჭარის მშრომელებს.

მერი გოცირიძე აჭარის ქალები — ახალი ცხოვრების მშენებლები. ბათუმი. 1971 წ. 122 გვ.

რევოლუციამდელ აჭარაში განსაკუთრებით მძიმე იყო მშრომელი ქალის ხევდრი. აյ ფერდალურ-პატრიარქალურ ადათ-წესებს ზედ ერთვოდა ისლამის ფანატიზმი, რომელიც აუტანელ ხუნდებს ადგებდა ქალს. თურქმა დამპრობლებმა აჭარელი ქალები ჩადრით შებურეს, სწავლა-განათლებას, საზოგადოებრივ ასპარეზს სულ მთლიან ჩამოყილებას. დამასახაითებელია, რომ მედრესებში ვაშებს წერა-კოთხვას ასწავლინენ, გოგონებს კი მხოლოდ კითხვას, წერა ქალის საქმე არაა.

მერი გოცირიძე თავისი გამცემულებას პირველ ნაწილში საინტერესო ისტორიულ ექსკურსს აეთებს და უკრძალული აქარელ ქალებს, რომელიც მას მშენებელს გამაპმადიანების წინააღმდეგ, აღვივებდნენ მოძალადეთა მიმართ სიძულვილს, არად აგდებდნენ მძიმე ტანგვასა და სასჯელს. განსაკუთრებით მაინც დანდალოელ ქალებს უსახელებით თავი, იარალი გამოსულან თურქ დამპრობობა წინააღმდეგ.

დიდია აჭარელი ქალის, ამ სწორუბოვარი ქართველი დედის როლი მშობლიური ენის წმინდად დაცა-შენახვაში. მომენტური ქართულ წერა-კითხვასა და ლაპარაკს ისე სდევნიდნენ, როგორც ქრისტიანობას, მაგრამ დედები არავის ეპუბლიკნენ და რუსთველის ენას ბურჯებად ელგნენ.

აჭარაში რუსული მმართველობის დამკვირდებამ ოდნავადაც არ შეამსუბუქა ქალის ტვირთი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ქალს მაშავაცის თანაბარი უფლებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სტეროში. თუ როგორ იცავდნენ მაშინ ქალთა ინტერესებს, ამას ცხადყოფს აჭარის ასსრ საქამასაბჭოს სპეციალური ცირკულარი, რომლის შესახებაც მოთხოვნილია წიგნის 38-ე გვერდზე. ცირკულარი ავალებს ყველა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელებს, ქალის საჩივარი განხილონ არგვარუშე, უსწრაფესად დაკამაყოფილონ მისი სამართლიანი მოთხოვნა.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნარიანად გამოიყენა ქალთა მორის მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, მეოთხოვები, საშუალებანი და წარმატებით გადაწყვიტა საზოგადოებრივ წირმოებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში აჭარის ქალების ჩაბმის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს პროცესი წიგნში გაშუქებულია თანმიმდევრულად, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის საერთო ბრძოლასთან მჭიდრო კავშირში.

66/83



3560 40 353.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118